საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№34 (552)
23 - 29 სექტემბერი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



3

## რატომ არ ცდილობს საქართველოს ხელისუფლება, თავი დააღწიოს დასავლეთის კაბალას?



სოსო ცინცაძე:

## ვერ წარმო-მიდგენია, როგორ ესახებათ დეოკუპაცია მოლაპარაკების გარეშე

5

## «დარწმუნებული ვარ, ჩვენი ურთიერთობა საქართველოსთან აღდგება, მოგვარდება...



## ...დავძლევთ ამჟამინდელ ანომალიურ ვითარებას ჩვენს ქვეყნებს შორის»

2



ვაჟა ოთარაშვილი:

## ესენი არიან ნაციონალურ რეჟიმთან შეჯვარებული პოლიტიკური მუტანტები, რომელთათვისაც არის სამი თუ ოთხი არა: არა რწმენას, არა სამშობლოს, არა ეროვნებას, არა სქესს

4

## ამერიკელების ინსტრუმენტები საგარეო ურთიერთობებში

6-7

ომები, სახელმწიფო გადატრი-ალებები, პრეზიდენ-ტების მკვლელობები



## ჩვენი «დამოუ-კიდებელი» ქვეყანა იმაზეა დამოკიდებული, როგორ გუნებაზე გაიღვიძებს ამერიკის ელჩი

8





## «ევროკავშირში არ უნდა იყოს სქესობრივი გარყვნილებისგან თავისუფალი ზონები!»

11



9

## მართლმადიდებლობის გადამწყვეტი შეტევა დასავლელ ნეოლიბერალებზე



18

## ტვინთხელობა

«უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა»

სხვისი ბამბა ჩხრიალებს, ჩვენი კაკალიც არაო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქართველი ხალხი ბრძენია. მას უყვარს სიცოცხლე, შეიძლება ისევე და იმავე გამოვლინებით, როგორითაც უყვარს რუსეთის ფედერაციის ხალხებს. დავძლევთ ამჟამინდელ ანომალიურ ვითარებას და აღვადგენთ ნორმალურ ურთიერთობას სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის“.

## სერგეი ლავროვი:

# დარწმუნებული ვარ, ჩვენი ურთიერთობა საქართველოსთან აღდგება, მოგვარდება

**17 სექტემბერს საერთაშორისო არხ RTVI-ის ეთერში გავიდა პროგრამა „სპეციალური სტუმარი“, რომელიც წაიყვანა პოპულარულმა ჟურნალისტმა თინა კანდელაკმა. პროექტის პირველი სტუმარი იყო რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, რომელსაც RTVI-ის კორესპონდენტმა ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. მინისტრმა უპასუხა შეკითხვებს ბელარუსში ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებზე, აშშ-ში გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებზე, ალექსანდრე ნავალნის მოწამვლასა და უკრაინისა და საქართველოს მიმართ დამოკიდებულებაზე. გთავაზობთ ჩვენთვის, ქართველებისთვის, საინტერესო ფრაგმენტს ამ ინტერვიუდან:**


სერგეი ლავროვი

**— სერგეი ვიქტორის ძევ, როგორც ქართველმა, აუცილებლად უნდა გკითხოთ: ხომ არ დადგა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივების დრო? უკვე გაიზარდა ქართველების მეორე თაობა, რომელსაც რუსეთი არ უნახავს...**

— ამჟამად ქართველებს შეუძლიათ ვიზის მიღება და რუსეთში ჩამოსვლა. **ვიზის მიღების შემთხვევების ჩამონათვალი გაფართოვდა, ამჟამად არ არსებობს არანაირი შეზღუდვა რუსეთში ჩამოსასვლელად. ეს შეიძლება თბილისში ჩვენი ინტერესების სექციაში ან საზღვარგარეთ ჩვენს დაწესებულებაში ვიზის აღების შემდეგ.**

რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, როგორც თქვენთვის ცნობილია, ერთი წლის წინათ ჩვენ ამისთვის მზად ვიყავით, რამდენიმე ნაბიჯი გვაშორებდა ამის გამოცხადებისგან, მაგრამ მართლმადიდებლობის საერთაშორისო პარლამენტთაშორის ასამბლეაზე მოხდა ის შემთხვევა, როცა სერგეი გავრილოვი მიიწვიეს, ჩასვეს სავარძელში, შემდეგ კი ამის გამო შეეცადნენ, პრაქტიკულად, ძალა გამოეყენებინათ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ურთიერთობა საქართველოსთან აღდგება, მოგვარდება! **ვხედავთ, რომ გამოჩნდნენ ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც ამას მოითხოვენ. ჯერჯერობით ეს მხოლოდ პატარა პარტიებია მმართველ ელიტაში. დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ, მაინც გაიმარჯვებს ტრადიციული ისტორიული სიახლოვე, ჩვენი ხალხების ურთიერთმისწრაფება. პროვოკატორები, რომლებიც ცდილობენ, არ დაუშვან საქართველოს გადასვლა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის რელსებზე, შერცხვენილნი იქნებიან.**

ახლა ცდილობენ, საქართველოც ზუსტად ისე გამოიყენონ, როგორც უკრაინა გამოიყენეს. უკრაინაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი უზარმაზარ როლს თამაშობს. ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ თითოეული ტრანში, რომლებსაც გამოუყოფენ უკრაინას, მოკლევადიანი იყოს.

**— მიკროკრედიტები.**

— მიკროკრედიტები და მოკლე სადავე, რომლის ცოტა დაჭიმვაც ყოველთვის შეიძლება. ასე ცდილობენ საქართველოს გამოყენებასაც. ჩვენ არ გვაქვს არანაირი მიზეზი იმისთვის, რომ ეს ვითარება შენარჩუნდეს. ჩვენ არაფერი წამოგვიწყია ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ყველას ახსოვს, როგორ ვითარდებოდა 2008 წლის მოვლენები, რომ იქ ამერიკელი ინსტრუქტორები ჩავიდნენ და წვრთნიდნენ ქართულ არმიას. ამერიკელებმა შესანიშნავად იცოდნენ **მიხეილ სააკაშვილის** თავშეუკავებლობის შესახებ, რომელმაც დაარღვია ყველა შეთანხმება და გასცა დანაშაულებრივი ბრძანება.

ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ საჭირო იყო, გვერწმუნა სიტყვის. ბევრი შემთხვევა იყო, როცა სიტყვაზე ვენდეთ, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ჰაერი აღმოჩნდა. 2003 წელი, **კოლინ პაუელი,** სინჯარა — ეს აკადემიური ვარიანტია. შემდეგ იყო თავდასხმა **ერაყზე.** წლების შემდეგ **ტონი ბლერმა** აღიარა, რომ არანაირი ბირთვული იარაღი ერაყს არ ჰქონია. ასეთი ისტორიები საკმაოდ ბევრი იყო.

1999 წელს იუგოსლავიის წინააღმდეგ აგრესიის დასაწყებად სასხლეტის როლი შეასრულა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ეუთოს ამერიკელი წარმომადგენლის, **უილიამ უოლკერის,** მოღვაწეობამ, რომელიც ეწვია სოფელ რეჩაკს, რომელშიც 3 ათეული გვამი იპოვეს, და განაცხადა: ეს ალბანელი მოსახლეობის გენოციდიაო. როცა ყოფილი იუგოსლავიის საკითხების საერთაშორისო ტრიბუნალმა სპეციალური გამოძიება ჩაატარა, გაირკვა, რომ ისინი იყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სამხედროები, მაგრამ უოლკერი გაჰყვიროდა, — ეს ყველაფერი გენოციდიაო. ეს განცხადება მყისვე აიტაცეს ვაშინგტონში, ლონდონში, სხვა დედაქალაქებში. ნატომ დაიწყო აგრესია იუგოსლავიის წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც დასრულდა მშვიდობის იძულების 5-დღიანი ოპერაცია, ევროკავშირმა მოხსენება შეუკვეთა ექსპერტთა ჯგუფს, რომელშიც მიიწვიეს შვეიცარიელი დიპლომატი **ჰაიდი ტალიავინი.** შემდეგ ის მინსკის პროცესითაც იყო დაკავებული, იმხანად კი მას სთხოვეს, ეხელმძღვანელა ექსპერტთა ჯგუფისთვის, რომელმაც გამოიკვლია 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების გენეზისი. დასკვნა ერთმნიშვნელოვანი იყო. ეს ყველაფერი მოხდა მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით და მომიზეზება, რომ მას პროვოკაცია მოუწყვეს და გვირაბის მეორე მხარეს ვიღაც ელოდებოდა, მზაკვრული ნათქვამია.

ქართველი ხალხი ბრძენია. მას უყვარს სიცოცხლე, შეიძლება ისევე და იმავე გამოვლინებით, როგორითაც უყვარს რუსეთის ფედერაციის ხალხებს. დავძლევთ ამჟამინდელ ანომალიურ ვითარებას და აღვადგენთ ნორმალურ ურთიერთობას სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის.

**mid.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

«ყველას ახსოვს, როგორ ვითარდებოდა 2008 წლის მოვლენები, რომ იქ ამერიკელი ინსტრუქტორები ჩავიდნენ და წვრთნიდნენ ქართულ არმიას. ამერიკელებმა შესანიშნავად იცოდნენ მიხეილ სააკაშვილის თავშეუკავებლობის შესახებ, რომელმაც დაარღვია ყველა შეთანხმება და გასცა დანაშაულებრივი ბრძანება»


სერგეი ლავროვი და თინა კანდელაკი



«ვხედავთ, რომ გამოჩნდნენ ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც ამას მოითხოვენ. ჯერჯერობით ეს მხოლოდ პატარა პარტიებია მმართველ ელიტაში. დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს ტრადიციული ისტორიული სიახლოვე, ჩვენი ხალხების ურთიერთმისწრაფება. პროვოკატორები, რომლებიც ცდილობენ, არ დაუშვან საქართველოს გადასვლა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის რელსებზე, შერცხვენილნი იქნებიან»

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გლობალისტები საინფორმაციო საშუალებებს კონსერვატორებთან დასაპირისპირებლად იყენებენ, რომლებსაც მხოლოდ ადამიანურად ცხოვრება სურთ და არა ხელოვნურად შექმნილი უბედურება, რომელიც კაცობრიობას ღუპავს“.**

# რატომ არ ცდილობს საქართველოს ხელისუფლება, თავი დააღწიოს დასავლეთის კაბალას?

**რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის ინტერვიუ, რომელიც მას საერთაშორისო სატელევიზიო არხ RTVI -ის ჟურნალისტმა თინა კანდელაკმა ჩამოართვა. „ჩვენ არასდროს არაფერი დაგვიგეგმავს ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ყველას ახსოვს, როგორ ვითარდებოდა მოვლენები 2008 წელს, როგორ იმყოფებოდნენ იქ ამერიკელი ინსტრუქტორები, წვრთნიდნენ ქართულ არმიას. ამერიკელებმა ძალიან კარგად იცოდნენ მიხეილ სააკაშვილის თავშეუკავებლობის შესახებ, რომელმაც დაარღვია ყველა შეთანხმება და გასცა დანაშაულებრივი ბრძანება. მის შემდეგ, რაც დასრულდა 5-დღიანი სამხედრო ოპერაცია მშვიდობის დასამყარებლად, ევროსაბჭომ სპეციალური ანგარიში შეუკვეთა, შექმნეს ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი. გამოიტანეს დასკვნა, რომ ეს ყველაფერი მოხდა მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით... ვფიქრობ, ქართველი ხალხი ბრძენია, მას უყვარს სიცოცხლე, შეიძლება ისევე, როგორც რუსეთის ფედერაციაში შემავალ ერებს. ყოველ შემთხვევაში, მე ვიცი, საერთო მისწრაფებების შესახებ. მჯერა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ისინი გადალახავენ ამ ანომალიურ ვითარებას და ჩვენ აღვადგენთ ნორმალურ ურთიერთობებს ხელისუფლებებსა და ხალხებს შორის“, — განაცხდა სერგეი ლავროვმა ინტერვიუში. აშკარაა, რომ რუსებს ისე არ „ვძულვართ“, როგორც ქართველებს „გვძულს“ ისინი, მაგრამ საკითხავია, რატომ არ ცდილობს საქართველოს ხელისუფლება ურთიერთობის ნორმალიზებას იმ ქვეყანასთან, რომელშიც თითქმის მილიონამდე ქართველი ცხოვრობს, და რომლიდანაც ხორბლის საჭირო რაოდენობის თითქმის 100 პროცენტი შემოგვაქვს, ძალიან ვართ დამოკიდებული მის ენერგომატარებლებსა და იქიდან გადმორიცხულ თანხებზე? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრებიან პოლიტოლოგი — თამარ კიკნაძე და მარტვილი-აბაშა-წალენჯიხა-ჩხოროწყუს სარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვიქტორ ცაავა.**



**«საქართველოსა და რუსეთს შორის ისტორიული კავშირებია, ძალიან გადაჯაჭვულია ჩვენი ბედი ერთმანეთთან»**

**თამარ კიკნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ლექტორი, პროფესორი:**

— საქართველოსა და რუსეთს შორის ისტორიული კავშირებია. ძალიან გადაჯაჭვულია ჩვენი ბედი ერთმანეთთან. ქართველები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ რუსეთის ცხოვრებაში. საქართველოსა და რუსეთს შორის ამჟამინდელი ურთიერთობა ნორმალური არ არის და იმედი უნდა ვიქონიოთ, აუცილებლად გამოსწორდება. გამოსწორდება თუნდაც იმიტომ, რომ ბევრი ჩვენი თანამემამულე რუსეთში ცხოვრობს, მილიონზე მეტი. სამწუხაროა, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა.

ეჭვიც არ მეპარება, რომ ჩვენსა და რუსეთს შორის ურთიერთობები დალაგდება, მაგრამ ეს იქნება საკმაოდ მტკივნეული პროცესი ბევრისთვის.

**სერგეი ლავროვის საუბრიდან აშკარად ჩანდა, რომ რუსეთმა კარგად იცის, რა პროცესებიც მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ მგონია, რომ უკრაინაში, ბელარუსში, მოლდოვასა და საქართველოში მიმდინარე პროცესები რუსებმა ვერ გათვალეს, ვერ გათვალეს, რა მოხდებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, რომ მათ თავის არეალად განიხილავენ.** პროცესები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში განვითარდა, მტკივნეულია რუსეთისთვის და განსაკუთრებით მტკივნეულია საქართველო.

მსოფლიოში რუსეთის დემონიზება მიმდინარეობს. რუსეთის ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფი **ნავალნის** რეიტინგი, სულ რაღაც, ორი პროცენტია, მაგრამ სწორედ მისი მოწამვლა დასწამეს რუსებს, თუმცა არა მგონია, ეს რუსეთის ხელისუფლების ინტერესებში ყოფილიყო. სწორედ ამ შემთხვევის საბაბით ცდილობს დასავლეთი, რუსეთს სანქციები დაუწესოს და შეაჩეროს „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ -ის მშენებლობა.

ნავალნის ვითომდა მოწამვლაზე ატეხილი ამბების გამო საქართველოს ტელევიზიები ერთ ამბავში არიან, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი ტელევიზიების ბრალი არ არის, მსოფლიოში თითქმის ყველა ტელევიზია ლიბერალურია, ასეა თვითონ რუსეთის ფედერაციაშიც. ლიბერალებმა თავის დროზე, როცა საქმიანობას იწყებდნენ, კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ — იდეების გავრცელება დიდად არის დამოკიდებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. ამერიკის პრეზიდენტიც კი ე.წ. ფეიკნიუსებზე საუბრობს. **გლობალისტები საინფორმაციო საშუალებებს კონსერვატორებთან დაპირისპირების გასაღვივებლად იყენებენ, რომლებსაც მხოლოდ ადამიანურად ცხოვრება სურთ და არა ხელოვნურად შექმნილი უბედურება, რომელიც კაცობრიობას ღუპავს.**

**— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ შთაბეჭდილება დამრჩა, საქართველოს მხრიდან ერთი ნაბიჯიც რომ გადაიდგას, რუსეთი ორ ნაბჯს გადმოდგამს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად...**

— თუ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ნაბიჯს ვერ დგამს რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად, არა უშავს, რადგან მსოფლიოში ისეთი პოლიტიკური პროცესები მიდის, რომ მაინც დალაგდება ყველაფერი რეგიონულ დონეზე. სიმართლე გითხრათ, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა ძნელიც არის და თითქმის შეუძლებელიც, რადგან საქართველო განიხილება დასავლურ თანამეგობრობაში და დასავლეთის თამაშს ვთამაშობთ... სუვერენულები არ ვართ და ჩვენი მხრიდან მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა ხელისუფლებისთვის კატაკლიზმებს გამოიწვევს. საქართველოს ურჩევნია, დაელოდოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, რომლებიც უჩვენოდაც დაალაგებს ყველაფერს. მოხდება სავალუტო ზონებად დაყოფა და რეგიონული პრინციპით ქვეყნების ინტეგრაცია, ამიტომ სჯობს, დაველოდოთ...

საქართველოს ხელისუფლებას არათუ დიდ პოლიტიკაში, საკუთარ ქვეყანაშიც არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. კორონავირუსი საუკეთესო გამოსავალია მსოფლიოსთვის, ეკონომიკური კრიზისი სწორედ ამ ვირუსის პანდემიას რომ დააბრალონ, რაშიც ჩართულია პატარა საქართველოც. ჩვენ ვასრულებთ ჯანმოს მითითებებს, რადგან სხვა გზა არ გვაქვს, ისინი ფინანსურადაც გვეხმარებიან, რაც ართულებს ვითარებას.

**— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აგრესიული არ ყოფილა საქართველოს მიმართ. როგორ ფიქრობთ, თუკი რუსებს არ აქვთ ქართველების სიძულვილი, მაშ, რა ხდება? ვისი ბრალია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ასე დაძაბვა?**

— როდესაც ასე გართულებულია ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის, რუსთის ბრალიც არის, საქართველოსიც და საერთაშორისო კონიუნქტურის. საბჭოთა კავშირი რომ დაინგრა, ძალიან კარგად მახსოვს, როგორ გვაგდებდნენ სამანეთო ზონიდან, გვეუბნებოდნენ: თქვენს საქმეს მიხედეთო. უფრო მეტიც, იმხანად მოსკოვში ვსწავლობდი და რუსეთი დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდა, ეს იყო 1995-96 წლები. რუსებს ვეკითხებოდი: რა დამოუკიდებლობას აღნიშნავთ, დანარჩენ რესპუბლიკებს რომ გამოეყავით-მეთქი? ახლა რუსები დამოუკიდებლობის დღის ნაცვლად „რუსეთის დღეს“ აღნიშნავენ. ასე რომ, 1990-იან წლებში რუსეთსაც უჭირდა და გაურკვევლობაში იყო. შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ლიბერალები, რომლებიც თვლიდნენ, რომ საბჭოთა კავშირი უნდა დაშლილიყო. საქართველო პატარა ქვეყანაა, ამიტომ ისე იმოქმედა, როგორც შეეძლო, სხვა საქმეა, რა ჩაიდინა შევარდნაძემ... **ქართველებს გამოცდილება არ გვქონდა, დღეს ყველაფერი ვიცით და ვერკვევით პოლიტიკაში, მაგრამ იმხანად ასე არ იყო, ჩვენ ვმოქმედებდით სხვისი მითითებებით და მივყვებოდით დინებას.** კიდევ ვიმეორებ: საქართველო პატარა ქვეყანაა, ჩვენ არ გვაქვს მკვეთრი ნაბიჯების გადადგმის ფუფუნება, როდესაც მკვეთრი ნაბიჯები გადავდგით საბჭოთა კავშირის დანგრევისას, ნანგრევები თავში **მოვიხვედრეთ. ახლა კი სჯობს, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს დაველოდოთ და ყველაფერი თავისით დალაგდება.**



**«რუსეთმა გადმოდგა ნაბიჯები შერიგებისკენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაა უძლური, ჩვენებს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება არ შეუძლიათ, მათაც ისინი მართავენ, ვინც წინა ხელისუფლებას მართავდა»**

**ვიქტორ ცაავა, „პატრიოტთა ალიანსის“ მარტვილი-აბაშა-წალენჯიხა-ჩხოროწყუს სარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი:**

— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მართალი ბრძანა, როდესაც განაცხადა, რომ დღე-დღეზე უნდა აღმდგარიყო რუსეთ-საქართველოს შორის უვიზო მიმოსვლა. ეს ზუსტად ვიცი. ასევე ზუსტად ვიცი, რომ რუსეთი არ უქმნის პრობლემებს იმ ქართველ ახალგაზრდებს, რომლებსაც რუსეთში სურთ სწავლის გაგრძელება, პირიქით, მათ სწავლის ფულსაც უხდის თავისი ბიუჯეტიდან. ეს უკვე დასტურია მათი კეთილგანწყობისა ჩვენს მიმართ.

მსოფლიოს ნომერ პირველმა დიპლომატმა ინტერვიუში, აგრეთვე, ისაუბრა ე.წ. გავრილოვის ღამეზე. ვიტყვი, რომ ეს იყო გამიზნული პროვოკაცია, ოპოზიციის მოწყობილი. **ანდრეი გავრილოვი დედით ქართველია. ის ყოველ წელს ჩამოდის საქართველოში. ე.წ. ოპოზიციონერები მას ხვდებოდნენ კიდეც და რუსულადაც ესაუბრებოდნენ.** იმ ღამეს რაც მოხდა, იყო ნაცების პატრონების დაკვეთა დასავლეთიდან.

**— თქვენ ლაპარაკობთ ოპოზიციის ქმედებებზე, მაგრამ საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც კი გმობს წინა ხელისუფლების ნამოქმედარს, მაგრამ თვითონ არაფერს აკეთებს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის მოსაგვარებლად...**

**— რუსეთის პრეზიდენტმა რამდენჯერმე მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას დიალოგისკენ, რუსეთმა გადმოდგა ნაბიჯები შერიგებისკენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაა უძლური, ჩვენებს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება არ შეუძლიათ, მათაც ისინი მართავენ, ვინც წინა ხელისუფლებას მართავდა.** მართალია, დღევანდელი ხელისუფლება რუსეთს ისე არ აგინებს, როგორც წინა, მაგრამ ნაბიჯებს ურთიერთობის დასარეგულირებლად ვერ დგამს. რუსეთი კი ლოიალურია და ამის მაგალითად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბოლო ინტერვიუც კმარა. ლავროვს შემთხვევით არ უხსენებია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მოსურნე პატარა პარტიები. რუსეთმა ნაბიჯი გადმოდგა ჩვენსკენ, ახლა ჩვენი ჯერია. რომ არა ე.წ. გავრილოვის ღამე, დღეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დათბებოდა. როგორც ჩანს, დასავლეთში ხელს არ აძლევთ, საქართველომ და რუსეთმა მოაგვარონ ურთიერთობა.

საქართველოში არსებული ყველა საინფორმაციო საშულებებიდან მხოლოდ რუსეთის გინება ისმის, რუსეთის პრეზიდენტის შეურაცხყოფა. რაც უნდა მოხდეს, ყველაფერში რუსეთია დამნაშავე, არავის აინტერსებს ფაქტები და რეალობა, რუსეთი დამნაშავეა და მორჩა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთი ლოიალურია საქართველოს მიმართ. საქართველო ყველა ომში, რომლებიც უახლეს წარსულში ჩვენს ქვეყანაში მოხდა, დამნაშავეა. ჩვენ დამნაშავენი ვართ აფხაზებსა და ოსებთან, ჩვენმა გაუთვლელმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა დაგვაკარგვინა ტერიტორიები და გაგვიფუჭა ურთიერთობა უდიდეს მეზობელთან, რომლის კმაყოფაზეც, გვინდა თუ არა, დღემდე ვრჩებით. ასე რომ, საქართველოს დაფიქრება მართებს, თუნდაც სერგეი ლავროვის ბოლო ინტერვიუს შემდეგ.

**«ჩვენი ხელისუფლების მხრიდან მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა ძნელიც არის და თითქმის შეუძლებელიც, რადგან საქართველო განიხილება დასავლურ თანამეგობრობაში და დასავლეთის თამაშს ვთამაშობთ... სუვერენულები არ ვართ და ჩვენი მხრიდან მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა ხელისუფლებისთვის კატაკლიზმებს გამოიწვევს»**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

«რეკომენდატორები»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ გასაგებად უნდა ვუთხრათ ევროკავშირელ რეკომენდატორებს, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ეროვნული ტრადიციებით, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებებით, სახელმწიფოებრივი ინტერესებით და ქართველებს გვაქვს ჩვენი კონსტიტუცია, ამიტომ თავი დაანებონ ჩვენი ეროვნული ღირსების, ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული კანონების ჩვენთვის თავს მოხვევას. ეს, კიდევ ვიმეორებ, ერის ცნობიერებას ანადგურებს“.**



# ვაჟა ოთარაშვილი: ესენი არიან ნაციონალურ რეჟიმთან შეჯვარებული პოლიტიკური მუტანტები, რომელთათვისაც არის სამი თუ ოთხი არა: არა რწმენას, არა სამშობლოს, არა ეროვნებას, არა სქესს

**16 სექტემბერს ევროპარლამენტის მიერ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ვრცელ ანგარიშში, რომელიც სახელისუფლო მედიამ „ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად აქცია და მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში წარმოაჩინა, ხოლო ანგარიშის შედარებით კრიტიკული მხარე მიზანმიმართულად არ გააშუქა, რიგ საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ქვეყანაში ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ მდგომარეობაზეც გამახვილდა.**

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ, მიუხედავად ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში გატარებული არაერთი წარმატებული რეფორმისა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გადაჭრა მათ შორის გენდერული თანასწორობის პრობლემა, ბოლომდე მაინც ვერ მოხერხდა „მოწყვლადი ჯგუფების“ (სექსუალური უმცირესობების, ქალების, ბავშვების, სხვადასხვა რელიგიური კონფესიის) უფლებების დაცვა (განსაკუთრებით ხაზგასმულია სექსუალური უმცირესობები). ანგარიშის ავტორებმა კიდევ ერთხელ მოუწოდეს საქართველოს მთავრობას, მიიღოს „დამატებითი ზომები“ და გააძლიეროს „ანტიდისკრიმინაციული“ მექანიზმები, რათა უზრუნველყოს, როგორც ლგბტ პირების, ისე ქალებისა და რელიგიური ჯგუფებისადმი დისკრიმინაციის აღმოფხვრა (მოწოდებები, როგორც ყოველთვის, მკაცრი მენტორული ხასიათისაა). თუმცა ანგარიშის ადრესატი, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ხელისუფლება და პოლიტიკური სპექტრი არ არის, დოკუმენტის ავტორები საპატრიარქოსაც მოუწოდებენ თანამშრომლობისკენ, რათა ქვეყანაში კიდევ უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს „ტოლერანტული გარემო...“

ცნობისთვის: ევროპარლამენტი, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მსგავსად, თავის ანგარიშებში ყოველთვის ხაზს უსვამს იმას, რომ თურმე საქართველოში პოზიტიური ცვლილებების ყველაზე სუსტი და ნაკლებად წარმატებული მხარე ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის ეფექტიანად არ თუ ვერ შესრულებაა. თითოეული მსგავსი ანგარიშის შემდეგ ისმის ხოლმე მოწოდებები, რომ მმართველმა გუნდმა ამ მიმართულებით მკაცრ ზომებს უნდა მიმართოს. ხშირად მინიშნებები იმაზეც კეთდება, რომ ხელისუფლება არ უნდა იყოს ლოიალური „აგრესიული რელიგიური ჯგუფების“ მიმართ (აქ, რა თქმა უნდა, ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას გულისხმობენ), რომლებიც, თურმე, ქვეყანაში შუღლსა და სიძულვილს აღვივებენ.

**რას ნიშნავს გარე ძალებისგან ნაკარნახევი ამა თუ იმ კანონის ეფექტიანობისთვის მექანიზმების შექმნა და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ ახლო მომავალში ამ „რეკომენდაციების“ კვალდაკვალ? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თეოლოგიის დოქტორი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, ევროპარლამენტის მიერ საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხელისუფლებამ დამატებითი ზომები უნდა მიიღოს, რათა ქვეყანაში ლგბტ პირების, ქალებისა და რელიგიური ჯგუფების მიმართ ყველანაირი დისკრიმინაცია ეფექტიანად აღმოიფხვრას. რა შეიძლება იგულისხმებოდეს დამატებით ზომებში და რა ცვლილებები შეიძლება განახორციელოს „ოცნებამ“ ამ „რეკომენდაციების“ გათვალისწინებით?**

— დავიწყოთ იმით, რომ მათ მიერ ნაკარნახევი **ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი თავისი არსითა და იდეით არის უძველესი ქრისტიანი ქართველი ერის დისკრიმინაცია, რომლის მიღებითაც კიდევ ერთხელ დაასხეს თავზე ლაფი ქვეყანას.** მეორე — ევროპარლამენტის მხრიდან ეს არის საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა... საერთოდ, **ეს ორგანიზაცია, ევროკავშირს ვგულისხმობ, არის ჩვენი დროის რობოტული იმპერია, რომელიც ჩვენისთანა ქვეყნებზე დემოკრატიის სახელით ახორციელებს ყველა სახის ძალადობას,** მათ შორის ეკონომიკურს, პოლიტიკურს, კულტურულს, იდეოლოგიურს და ა.შ. ეს ერთი და მეორე — დისკრიმინაცია რომ დაუჩემებიათ, როდის იყო საქართველოში ვინმეს დისკრიმინაცია და ჩაგვრა? მაშინაც კი, როცა თბილისში მაჰმადიანი მეფეები ისხდნენ, აქ არ ყოფილა სარწმუნოებრივი დაპირისპირება. ვგულისხმობ შიგნით, თორემ მტრისგან, ბუნებრივია, თავს ვიცავდით. და მთავარი: **ქრისტიანული სარწმუნოება არის სიყვარულის, სათნოების, სასოების, ჰუმანიზმის, კაცთა შორის ძმობა-მეგობრობის სარწმუნოება და არა შუღლისა და სიძულვილის. ქრისტიანობა არის ადამიანთა მოდგმის სულიერი კულტურის უმაღლესი მონაპოვარი.** რაც შეეხება შეკითხვას, რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ მომავალში ხელისუფლებისგან ევროპარლამენტის დირექტივებისა თუ რეკომენდაციების კვალდაკვალ, მე ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: თუ სათავეში ნაციონალურ რეჟიმთან მუტანტურ კავშირში მყოფი „ოცნება“ დარჩა, **კობახიძე-ბოკერია-სააკაშვილის** პოლიტიკური ნაჯვარი, ისინი ყველაფერს გააკეთებენ დასავლელი ნეოლიბერალების დირექტივების ზედმიწევნით განსახორციელებლად და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანენ ე.წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელიც სრულიად საქართველოს დისკრიმინაციაა. ვფიქრობ, **ეს ხელისუფლება, თუ ამ არჩევნებში მისთვის სასურველ შედეგს მიაღწევს, შემდეგ დაიწყებს უფრო თამამი და გაბედული „ლიბერალური“ კანონების მიღებას. ეს იქნება გალაშქრება ეკლესიის წინააღმდეგ, საპატრიარქოს წინააღმდეგ და, რა თქმა უნდა, ჩაატარებს გეიაღლუმებსაც და მამათმავლურ მოძრაობებს გააძლიერებს.** დავუბრუნდეთ ისევ დისკრიმინაციას, საქართველოში დისკრიმინაცია არასოდეს რომ არ ყოფილა და ქართველი კაცი ბუნებით მჩაგვრელი რომ არ არის, ჩვენ ეს ისტორიულად დავამტკიცეთ...

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ, როდესაც ევროპაში რელიგიური ომები მძვინვარებდა და ერთმანეთს ხოცავდნენ, აქ, თბილისის შუაგულში, სულ რაღაც, ორ კვადრატულ კილომეტრში ერთად იყო სინაგოგა, მეჩეთი და მართლმადიდებლური ტაძარი. ჩვენი შემწყნარებლობის ბრწყინვალე მაგალითია ისიც, რომ, აგერ 26 საუკუნეა, ებრაელები ცხოვრობენ საქართველოში და არანაირი დისკრიმინაცია მათ მიმართ არ ყოფილა. სხვათა შორის, არც მაშინ, როცა ისინი მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპაში სასტიკად იდევნებოდნენ. (ამის თაობაზე პირდაპირ თქვა 1949 წელს ისრაელის კნესეტის დამფუძნებელ კრებაზე ისრაელის სახელმწიფოს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და პირველმა პრემიერ-მინისტრმა ბენ-გურიონმა. ორად ორი ქვეყანაა დედამიწაზე, სადაც ებრაელები ყოველთვის მშვიდობით ცხოვრობდნენ და ისინი არასოდეს არ დაურბევიათ. ეს ქვეყნებია ინგლისი და საქართველო — დაახლოებით ასე ბრძანა მან. ს&მ). იოსებ სტალინმა, ქართველმა კაცმა, 1949 წელს მათ შეუქმნა სახელმწიფო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არ ჰქონიათ... აი, ეს ყველაფერი არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორი შემწყნარებელი ერი ვიყავით ჩვენ ისტორიულად და ვართ დღესაც, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენი გონებაჩლუნგი ხელისუფლება, რომელსაც ელემენტარული ცოდნა არ აქვს საკუთარი ისტორიისა, ამ პარალელებს ვერ ავლებს. ეს არის პრობლემა და ამიტომაა, რომ ჩვენ, როგორც სახელმწიფო, გერმანელების, ფრანგების, ინგლისელებისა და სხვა კულტურული ერების მსგავსად, ვერ ვიცავთ ჩვენს ღირსებას პოლიტიკურ დონეზე.

**რაც შეეხება ისევ იმ ე.წ. რეკომენდაციებს, რომ თურმე აქ „ანტიდისკრიმინაციული“ კანონის ეფექტიანობა უნდა გაიზარდოს, ეს კანონი თავისი არსითა და მიზნებით არის ქართველი ხალხის დისკრიმინაცია, ამიტომ, ადრე თუ გვიან, როდესაც სათავეში მოვა ეროვნული ხელისუფლება და იმედია, მოვა, უნდა გააუქმოს ეს კანონი, რომელიც ქართული სულიერებისთვის ისეთივე დამანგრეველია, როგორიც იყო საყდრისის აფეთქება...**

**— რეკომენდაციები ახსენეთ და 2012 წლიდან დღემდე ცალკე ევროპარლამენტმა, ცალკე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა და სხვა გავლენიანმა დასავლურმა ინსტიტუტებმა საქართველოს შესახებ არაერთი ანგარიში გამოაქვეყნეს, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხელისუფლებას თუნდაც ერთ „რეკომენდაციაზე“ კრიტიკული შეფასება გაეკეთებინა და ეთქვა, რომ ის ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, კულტურულ, ტრადიციულ ფასეულობებს და ა.შ. რა უქმნის მმართველ გუნდს მთავარ დაბრკოლებას, რომ ადეკვატური პასუხები გასცეს ხოლმე დასავლეთის გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებსაც „რეკომენდაციებს“ არქმევენ?**

— მოკლედ გიპასუხებთ: გავიხსენოთ პარლამენტის უვიცი ყოფილი თავმჯდომარის — კობახიძის სიტყვები, — „მე არ ვიცი, რას ნიშნავს ეროვნული ცნობიერება“... ამ ფრაზით გასაგებია მისი მენტალიტეტი. აი, ზუსტად ასეთია დღევანდელი „ქართული ოცნება“ რამდენიმე გამონაკლისის გარდა და ეს ბუნებრივია, იმიტომ, რომ თავის დროზე ზუსტად ამ პრინციპით მოუყარეს იქ ადამიანებს თავი. **ესენი არიან ნაციონალურ რეჟიმთან შეჯვარებული პოლიტიკური მუტანტები, რომელთათვისაც არის ასეთი სამი თუ ოთხი არა: არა რწმენას, არა სამშობლოს, არა ეროვნებას, არა სქესს... აი ამ სატანური ფორმულით ცხოვრობენ.**

ჩვენ გასაგებად უნდა ვუთხრათ ევროკავშირელ რეკომენდატორებს, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ეროვნული ტრადიციებით, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებებით, სახელმწიფოებრივი ინტერესებით და ქართველებს გვაქვს ჩვენი კონსტიტუცია, ამიტომ თავი დაანებონ ჩვენი ეროვნული ღირსების, ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული კანონების ჩვენთვის თავს მოხვევას. ეს, კიდევ ვიმეორებ, ერის ცნობიერებას ანადგურებს.

**— თუ მაინც გაძლიერდება მათი მხრიდან პოლიტიკური ზეგავლენა, რა გზა გვრჩება?**

— მაშინ უნდა მიმართო კონკრეტულად იმ ხალხს, რომლისგანაც წამოვა ეს ზეწოლა, რომ თქვენს ოჯახებში დააქორწინეთ ქალი ქალზე და კაცი კაცზე; და არ გამოილიოს ევროკავშირში ასეთი „ქორწინებები“. სხვა რა გითხრათ, დაგვანებონ თავი... **საქართველო არის უძველესი ტრადიციებისა და კულტურის ქვეყანა, რომელმაც კაცობრიობას აჩუქა „ვეფხისა და მოყმის ბალადა“ და „ვეფხისტყაოსანი“ — ფაქტობრივად, უნიკალური კონსტიტუცია ერთა ძმობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების, რომელსაც ვერ შექმნიდა ერი, თუ მას არ ექნებოდა მაღალი სულიერი და ინტელექტუალური კულტურა: „წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა, იქნება ვეფხის დედაი, ჩემზედ მწარედა სტირისა...“** ქართველი კაცი ყოველთვის იყო აღმსარებელი, მიმტევებელი და მაცხოვრის რჯულის ერთგული.

**— არჩევნებამდე ერთ თვეზე ცოტა მეტი რჩება. არსებობს თუნდაც თეორიული შანსი იმისა, რომ 31 ოქტომბრის შემდეგ ვითარება და მთლიანად პოლიტიკური დღის წესრიგი არსებითად შეიცვალოს?**

— ჩემი მოსაზრება ასეთია: დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ერთ მხარეს არის ეროვნულ-პატრიოტული ძალა — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ სახით, მეორე მხარესაა ლეიბორისტების სათბურში შეკრებილი ნაცრეჟიმი, მასთან შეთანხმებულ პარტიებთან ერთად. „ოცნების“ პოლიტიკურ მუტანტებზე არაფერს ვამბობ. **დღეს, ფაქტობრივად, ჩვენ გვაქვს ორი პოლუსი, რომელთაგან ერთი არის ქვეყნის განადგურებისა და გაჩანაგების წინაპირობა, ხოლო მეორე — ჯანსაღი, ეროვნული ძალა, რომლის პოლიტიკაც გულისხმობს სამხედრო მიუმხრობლობას; მოსკოვთან, სოხუმთან, ცხინვალთან პირდაპირ დიალოგს და ა.შ.. რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.** ვფიქრობ, არჩევანი მარტივია. თუმცა, სასურველი და აუცილებელიცაა, ქვეყანაში შეიქმნას კონსერვატიული ძალების კიდევ უფრო დიდი მასშტაბის პოლიტიკური ბირთვი და ამით გაჩნდეს ცვლილებების კიდევ უფრო დიდი პერსპექტივა. ამის გარეშე ნაც-ქოცური მუტანტების ხელისუფლება საბოლოოდ ჩაძირავს ამ ქვეყანას და მოშლის ქართულ სახელმწიფოს, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრ ივერიას, მის ხალხს რჯულს ვერავინ შეუცვლის და ვერ დააჩოქებს ლიბერალურ-სატანური უღლის ქვეშ, რადგან ჩვენთან არს ღმერთი!

**«ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი თავისი არსითა და იდეით არის უძველესი ქრისტიანი ქართველი ერის დისკრიმინაცია. ამ კანონის მიღებით კიდევ ერთხელ დაასხეს თავზე ლაფი ქვეყანას; მეორე — ევროპარლამენტის მხრიდან ეს არის საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა... საერთოდ, ეს ორგანიზაცია, ევროკავშირს ვგულისხმობ, არის ჩვენი დროის რობოტული იმპერია, რომელიც ჩვენისთანა ქვეყნებზე დემოკრატიის სახელით ახორციელებს ყველა სახის ძალადობას»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„ვერასოდეს გავიგებ იმ ხალხის „ლოგიკას“, რომელიც არა მხოლოდ ფიქრობს, გამოდის და აკეთებს წარმოუდგენელი პოლიტიკური სიბეცის გამომხატველ განცხადებას — რაზე უნდა ველაპარაკოთ ოკუპანტსო. ამ რიტორიკაში არათუ პოზიცია, რაციონალიზმის მარცვალიც კი არ არის“.**

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სოსო ცინცაძე: ვერ წარმომიდგენია, როგორ ესახებათ დეოკუპაცია მოლაპარაკების გარეშე

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე საუბრისას განაცხადა, რომ, მიუხედავად თბილისსა და მოსკოვს შორის დაძაბულობისა და სირთულეებისა, დარწმუნებულია, ორი ქვეყნის ისტორიული მეგობრობა აღდგება. მისი თქმით, ის უკვე ხედავს საქართველოში კონკრეტულ პოლიტიკოსებს, რომლებიც ამას მხარს უჭერენ და ეს მისასალმებელი ფაქტია, თუმცა, მისივე განმარტებით, ჯერჯერობით ქართულ პოლიტიკაში დესტრუქციული ძალები ჭარბობენ. მისივე განცხადებით, დღეს საქართველოს, ისევე, როგორც უკრაინას, გარე ძალები იყენებენ, თუმცა „ქართველი ხალხი ამ ანომალიურ მდგომარეობას გადალახავს და ჩვენ აღვადგენთ ნორმალურ ურთიერთობებს სახელმწიფოებსა და ხალხს შორის...“**

შეგახსენებთ, რომ 2012 წლიდან დღემდე რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უკვე მერამდენედ განაცხადა, რომ მზად არის, საქართველოსთან პირდაპირი დიალოგი აწარმოოს (გაიხსენეთ ვლადიმერ პუტინის 2014 წლის განცხადება სოჭში ოლიმპიადის მიმდინარეობისას), მაგრამ ამ განცხადებებზე საქართველოს ხელისუფლებას ერთი პოზიცია ჰქონდა: „საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩართულობისა და მონაწილეობის გარეშე ოკუპანტთან პირდაპირ მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს...“

**რა გზავნილია დღევანდელ ვითარებაში ჩვენთვის ლავროვის განცხადება და ადეკვატურია თუ არა ხელისუფლების მხრიდან ამ განცხადების სრული იგნორირება, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.**

**— ბატონო სოსო, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ადრე თუ გვიან რუსეთ-საქართველოს შორის აღდგება ისტორიული ურთიერთობა, რომელსაც დღეს უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ჩვენთვის ეს განცხადება, რა პოლიტიკური გზავნილია ის და, საერთოდ, ადეკვატურია ხელისუფლების რეაქცია კრემლიდან გაკეთებულ მსგავს განცხადებებზე?**

— ხელისუფლების ქმედება აბსოლუტურად არაადეკვატურია, არარეალისტური და მოკლებული საღ აზრს. მეტიც, **ხელისუფლება არის გარკვეული საინფორმაციო-იდეოლოგიური შანტაჟის ქვეშ, რომელიც მოდის ე.წ. ურაპატრიოტული პოლიტიკური სპექტრისგან და, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს შანტაჟი, უკვე მრავალი წელია, ერთგვარ პრაქტიკად იქცა.**

ახლა რას მოიტანს რუსეთთან დიალოგი და რა პოზიცია იქნებოდა, ჩემი აზრით, საქართველოს მხრიდან ამ საკითხზე მართებული: პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ მე, როგორც დიპლომატიის თეორეტიკოსი, ვარ და ყოველთვის ვიქნები მოლაპარაკების მომხრე, იმიტომ, რომ, როგორც დიპლომატიის მამა **რიშელიე** ბრძანებს, ყველაზე ცუდად და წარუმატებლად დამთავრებული მოლაპარაკებაც კი დადებითი შედეგის მომტანია; თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ამ მოლაპარაკებაზე შენ უკეთ იგებ მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ მესმის და, ალბათ, **ვერასოდეს გავიგებ იმ ხალხის „ლოგიკას“, რომელიც არა მხოლოდ ფიქრობს, გამოდის და აკეთებს წარმოუდგენელი პოლიტიკური სიბეცის გამომხატველ განცხადებას — რაზე უნდა ველაპარაკოთ ოკუპანტსო. ამ რიტორიკაში არათუ პოზიცია, რაციონალიზმის მარცვალიც კი არ არის,** იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ლაპარაკით რა შავდება, გაუგებარია; და მეორე — **ვერ წარმომიდგენია, როგორ ესახებათ მათ, თუნდაც ყველაზე შორეულ პერსპექტივაში, დეოკუპაცია მოლაპარაკების გარეშე. რა, ერთ მშვენიერ დღეს რუსები ჩაალაგებენ ჩემოდნებს, მავთულხლართებს აახვევენ და წავლენ მოსკოვში?! ეს ყველაფერი ხომ ინფანტილიზმია.**

**— ხელისუფლება, ისევე, როგორც მთელი ლიბერალური პოლიტიკური სპექტრი, იმედებს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერაზე ამყარებს. მიაჩნიათ, რომ დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა რუსეთის აგრესიას ადრე თუ გვიან შეაჩერებს. რას ფიქრობთ ამაზე?**

— ესეც ჩვეულებრივი პოლიტიკური ინფანტილიზმია, რომელიც სათავეს სიბეციდან და სიბრიყვიდან იღებს. საერთოდ, ჩვენი დღევანდელი პრობლემა არის ის, რომ არ არსებობს ქართული დიპლომატიური სკოლა. **ქართულ დიპლომატიას წარმართავენ შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების არმქონე დილეტანტები და ენთუზიასტები.** აი, ეს არის რეალობა და **ჩემთვის ისევე მიუღებელია ამ დილეტანტების ყოფნა**

## რას ნიშნავს საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა — არ ვართ სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც თვითონ შეუძლია, ილაპარაკოს თავის სტრატეგიულ ინტერესებზე?!

**პოლიტიკაში, მით უფრო მაღალ ეშელონებში, როგორც მიუღებელია ის ხალხი, რომელიც ისტერიულად ეწინააღმდეგება და გამორიცხავს ყველანაირ დიალოგს კრემლთან.** ისე, მათ ვურჩევ, რიშელიეს პოლიტიკური ანდერძი წაიკითხონ; იქნებ, მიხვდნენ, რომ დიპლომატიაში გაბუტვა, როგორც საპასუხო მოქმედების ფორმა, არ არსებობს. სხვათა შორის, კარგი იქნება, თუ თქვენი გაზეთი, როგორც ერთ-ერთი პოპულარული გამოცემა, ერთხელ მაინც დაბეჭდავს რიშელიეს ანდერძს... რაც შეეხება რიტორიკას, რომ ჩვენთვის საფრთხის შემცველია ერთი-ერთზე ლაპარაკი ოკუპანტთან და ნებისმიერი მოლაპარაკება მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების მეთვალყურეობით უნდა მოხდეს. ჯერ ერთი, რუსეთი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, არასოდეს დაუშვებს მოლაპარაკებებს მესამე მხარის ზედამხედველობით და მეორე — **რას ნიშნავს საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა — არ ვართ სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც თვითონ შეუძლია, ილაპარაკოს თავის სტრატეგიულ ინტერესებზე?!**

**— ვთქვათ, ხელისუფლებას გაუჩნდა პირდაპირი დიალოგის პოლიტიკური ნება, როგორ ფიქრობთ, რა ნიშნულიდან შეიძლება დაიწყოს ეს დიალოგი?**

— ცხადია, არ მაქვს ილუზია, რომ, როგორც კი პირისპირ დავსხდებით რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან და დავიწყებთ მოლაპარაკებებს, აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვიბრუნდება, მაგრამ ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც შესაძლებელია, დააყენოს ასეთ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ, იქნება ბორდერიზაციის თემა. ოღონდ, რა თქმა უნდა, დიპლომატიაში ყველაფერს თავისი ზომა და წონა აქვს და ნებისმიერი მსგავსი მნიშვნელობის საკითხის დაყენება უნდა მოხდეს სწორი პოლიტიკური სტრატეგიით. აი, ამიტომ არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ დიპლომატია დილეტანტებმა და ბეცებმა არ წარმართონ. ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ცუდმა ინჟინერმა შეიძლება გამოიწვიოს შენობის ნგრევა, ცუდმა ექიმმა — ადამიანების სიცოცხლის მოსპობა, ხოლო ცუდმა დიპლომატმა შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს ნგრევა, რომლის უარყოფით შედეგებსაც ქვეყანა ათწლეულები ვერ აღმოფხვრის. რაც შეეხება იმას, **რა შეიძლება მოიტანოს დიალოგმა, უწინარესად, ჩვენ გავიგებთ, რა უნდა რუსეთს ჩვენგან. გავიგებთ კონკრეტულად, რა მიზნები და ინტერესები აქვს.** ეს ხომ თითქოს ძალიან მარტივია, მაგრამ რეალურად დღეს ჩვენ არ ვიცით, რა სურთ მათ... სულ გავიძახით ჯიუტად, ოკუპანტიაო... კი მაგრამ, რა სურთ საბოლოოდ, საქართველოს მიერთება? გამორიცხულია. პუტინი არასოდეს იქნება თანახმა, შეინახოს საქართველო, ერთ დღესაც რომ განვაცხადოთ, შევდივართ რუსეთის შემადგენლობაშიო. ის არასოდეს დათანხმდება, გამოგიგზავნოს საწვავი იაფად, საკვები, ხე-ტყე, წიაღისეული სიმდიდრეები და ა.შ. ასე არ იქნება არც ბელარუსისა და უკრაინის შემთხვევაშიც. თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ გარკვეული შეცდომები იქითა მხრიდანაც არის. **რუსებიც საკმაოდ არასწორ და პოლიტიკურად მათთვისვე წამგებიან ნაბიჯებს დგამენ საქართველოს მიმართ, ეს კი უადვილებს მოქმედებას იმ ხალხს, რომელიც მიზანმიმართულად აფერხებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მოგვარებას...**

**— საუბრის დასაწყისში თქვით, რომ ხელისუფლება ერთგვარი ურაპატრიოტული შანტაჟის ქვეშაა, რაც მას არ აძლევს ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას. რუსეთთან დიალოგის ნაწილში რა არის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი? საზოგადოებაში აშკარად არ არის ისეთი განწყობა, რომ მმართველ გუნდს პოლიტიკური ქულების დაკარგვის ეშინოდეს.**

— გეთანხმებით, საზოგადოებაში ნამდვილად არ არის განწყობა, რომ რუსეთთან დიალოგი არ გვინდა. მე, მაგალითად, **კარგად ვიცნობ კახეთის რეგიონს და, ნებისმიერ კახელ გლეხს რომ ჰკითხოთ, მათი 98% ერთმნიშვნელოვნად მომხრეა რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის. რით არის ეს განპირობებული, აღარ განვავრცობ, ყველასთვის გასაგებია — თითოეული იმ გლეხის მიერ მოწეული პროდუქტის ბედი დამოკიდებულია რუსულ ბაზარზე.** რაც შეეხება ხელისშემშლელ გარემოებებს, **საქართველოში წლების განმავლობაში ერთგვარ პოლიტიკურ პრაქტიკად ჩამოყალიბდა ის, რომ ხელისუფლებაში მყოფი ამა თუ იმ ძალის წარმატების საზომად მიჩნეულია დასავლეთის რეაქციები — თუ ხელისუფლება ზედმიწევნით ასრულებს გარე ძალის თუ ძალების პოლიტიკურ ინსტრუქციებს, უშეცდომოა ამ ყველაფერში და იმსახურებს შექებას იმ ძალებისგან, ესე იგი, წარმატებულია, თუ არა და ნებისმიერ შემთხვევაში განწირულია უმწვავესი კრიტიკისა თუ ცილისწამებისთვის,** მათ შორის ყველაზე ყბადაღებული „არგუმენტითაც“ — „რუსეთის აგენტია...“ აი, ამან ნელ-ნელა მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხარისხი, პრაქტიკულად, ნულია, თუმცა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკურიც... ამის ერთ-ერთი მაგალითია ეპიდემიაც. თავდაპირველად გვეუბნებოდნენ, რომ მკაცრი კარანტინი იყო საჭირო და შეზღუდვების მოხსნა არ შეიძლებოდა არც ერთ სეგმენტში, არც ბიზნესში, არც სხვაგან; ახლა კი, როცა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე მკაცრი შეზღუდვები არ უნდა დაწესდეს, ამათაც მაშინვე შეცვალეს რიტორიკა... კი, მესმის, რომ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, მცირე რესურებისა და შესაძლებლობების მქონე სახელმწიფო, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ვისურვებ, უფრო დამოუკიდებელი ყოფილიყო ქართული პოლიტიკა... ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენი მოსახლეობა, სულ რაღაც, სამ მილიონ-ნახევარია. არ შეიძლება, აქ ისე მიუდგე საკითხს, მათ შორის ეპიდემიასაც, როგორც, ვთქვათ, ჩინეთი უდგება ან ამერიკის შეერთებული შტატები და მოსახლეობით მრავალრიცხოვანი სხვა ქვეყნები...

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს მდგომარეობა ნაწილობრივ მაინც გამოსწორდეს?**

— ისევ მივდივართ იქამდე, რომ პოლიტიკა გამოცდილმა, განათლებულმა და ღრმად განსწავლულმა პოლიტიკოსებმა უნდა აწარმოონ, დიპლომატია — კვალიფიციურმა დიპლომატებმა. დღეს პროფესიონალების სერიოზული დეფიციტია... რა არის საჭირო? უწინარესად, ალბათ, საჭიროა სამეცნიერო კონფერენციები, მსჯელობა და მათ შორის საჯარო დისკუსიები, რათა ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ საღი პოლიტიკური სტრატეგია ჩამოყალიბდეს. მას კი სჭირდება რესურსი და ნება, რომელსაც, სიმართლე გითხრათ, დღევანდელ ვითარებაში მაინცდამაინც ვერავის ვატყობ. ვნახოთ, რა იქნება, ყოველ შემთხვევაში ცვლილებები რომ აუცილებელია, აშკარაა და ამას ყველა ძალა, მიუხედავად ორიენტაციისა და პოლიტიკური მრწამსისა, აღიარებს...

**«საქართველოში წლების განმავლობაში ერთგვარ პოლიტიკურ პრაქტიკად ჩამოყალიბდა ის, რომ ხელისუფლებაში მყოფი ამა თუ იმ ძალის წარმატების საზომად მიჩნეულია დასავლეთის რეაქციები — თუ ხელისუფლება ზედმიწევნით ასრულებს გარე ძალისა თუ ძალების პოლიტიკურ ინსტრუქციებს, უშეცდომოა ამ ყველაფერში და იმსახურებს შექებას მათგან, ესე იგი, წარმატებულია, თუ არადა, ნებისმიერ შემთხვევაში განწირულია უმწვავესი კრიტიკისა თუ ცილისწამებისთვის, მათ შორის ყველაზე ყბადაღებული «არგუმენტითაც»: «რუსეთის აგენტია»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რასაც ახლა ბელარუსში დასავლეთი კადრულობს, მართლაც გამაოგნებელია. ასეთი უხეში ჩარევა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეში, ასეთი ძალმომრეობა რუსეთის ირგვლივ გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ვითარების შესაცვლელად, თვით ამერიკელი პოლიტიკოსებისგანაც კი, რომლებიც მიზნის მისაღწევად არასოდეს არაფერს თაკილობენ და არც არაფრის რცხვენიათ, დაუჯერებელი გეჩვენება.**

# «ოქროს კვეთა»



**ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია**

ოცდამეერთე გადაცემა

## მსოფლიო გლობალური ომის მოლოდინში



**ვალერი კვარაცხელია:** — საით მიექანება მსოფლიო? ეს შეკითხვა საზოგადოების არა მხოლოდ იმ ნაწილს აწუხებს, რომელმაც უკვე გააცნობიერა ის საფრთხე, რომელიც კაცობრიობას ემუქრება, არამედ იმ ნაწილსაც უკარგავს მოსვენებას, რომელიც ამას ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, მაგრამ ქვეცნობიერად გრძნობს.

— მე ოპტიმისტი ვარ, ყველაფერი კარგად იქნება! — ამბობენ ერთნი.

— ღმერთი არ გაწირავს მის მიერ შექმნილ კაცობრიობას! — თავს იმშვიდებენ და დანარჩენებსაც ამშვიდებენ მეორენი.

ოპტიმისტობა და პესიმისტობა რეალობის მეცნიერული ანალიზის შედეგი კი არ არის, უბრალოდ, ადამიანის ხასიათის თავისებურებაა.

რაც შეეხება ღმერთს, **ადამიანებმა, რა თქმა უნდა, არ ვიცით, როგორ მოიქცევა იგი, მაგრამ ის ხომ ვიცით, რომ ღმერთმა ორი მსოფლიო ომი უკვე დაუშვა ამ ცოდვილ დედამიწაზე და ისიც გვახსოვს, რომ ჰიროსიმასა და ნაგასაკის მოწმენდილი ციდან ამერიკული ბირთვული ჯოჯოხეთიც დაუშვა მშვიდობიანი მოსახლეობის თავზე.** არც ის დაგვვიწყნია, რომ სტიქიის სახით მოვლენილი თუ ადამიანის ხელით ნამოქმედარი მრავალი სხვა უბედურებაც დატყდომია თავს ადამის მოდგმას, რომელიც ღმერთს არ შეუჩერებია. ასე რომ, ნურც ვინმეს უსაფუძვლო ოპტიმიზმის იმედად დადგებით და ნურც ვილაცის მუდმივად ცას მიპყრობილ მზერას ჩათვლით სიშვიდის საფუძვლად, ვინაიდან ვითარება კრიტიკულია...

უსაზღვროდ დიდი სიძულვილი დაგროვდა პლანეტაზე;

სიძულვილით გაიჟღინთა ზღვა და ხმელეთი, სიყვარული კი ყველამ მიივიწყა;

იარაღით გაიტენა კოსმოსი, მიწა და ოკეანე, წერტილიც კი არსად დარჩა, რომლიდანაც ვილაცის რაკეტა ვილაცისთვის არ იყოს დამიზნებული;

ძალმომრეობამ ჩაანაცვლა ზნეობა, სამართალი და კანონი;

ბოროტებამ მტკიცედ აიღო ხელში მართვის სადავეები და ცხოვრებიდან განდევნა სიკეთე... ჰუმანიზმი... თანაგრძნობა;

უსამართლობა და უთანასწორობა გამეფდა პლანეტაზე;

ადამიანის გონება დაბინძურდა, გული გაქვავდა, სული გაუხეშდა;

საკუთარი რაობისგან გაუცხოვებული და საკუთარ თავთან დაპირისპირებული ადამიანი მზადაა საკუთარი არსებობის გასანადგურებლად და მიექანება კიდეც ამ მიმართულებით;

ჰომო საპიენსი (გონიერი ადამიანი) თანდათანობით გადაგვარდა და მისგან ჰომო ცერიტუსი და ჰომო იმპრობუსი (უგუნური და უსამართლო ადამიანი) ჩამოყალიბდა!

ყოველ კონკრეტულ ადამიანს ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება, მაგრამ ადამიანის ზოგადი ტიპი ახლა, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ვითარდება.

ახსნა იმისა, რამ გამოიწვია ეს სავალალო ვითარება, ძნელია, რადგან საკითხი ინტერდისციპლინურია და მეცნიერების მრავალი დარგის (ფილოსოფია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ფუტუროლოგია და სხვ.) წარმომადგენელთა ერთობლივი კვლევის საგანს წარმოადგენს, მაგრამ ეს საუბარი შორს წაგიყვანს.

**კონკრეტულად რა სახის კრიზისზეა საუბარი? საუბარია კარსმომდგარ გლობალურ სამხედრო დაპირისპირებაზე.** ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა არ არის. **ბირთვული იარაღის შექმნის შემდეგ, რომელიც, თავისთავად, გლობალური სამხედრო დაპირისპირების ყველაზე საიმედო პრევენცია აღმოჩნდა, კრიზისული ვითარება ყოფილა. მათ შორის ყველაზე კრიტიკული კარიბის ზღვის ცნობილი კრიზისი იყო, რომელიც 1962 წელს წარმოიშვა და, რომლისგანაც კაცობრიობა მართლაც სასწაულმა იხსნა.**

მაშინ უკვე არსებობდა პლანეტაზე სიცოცხლის განადგურების ტექნიკური შესაძლებლობა, რომლის ამოქმედებამდე წუთებიღა რჩებოდა... იმხანად პლანეტა გადარჩა. **აშკარა გადაჭარბება იქნება თქმა იმისა, რომ დღევანდელი კრიზისი ისეთივე მწვავეა, როგორიც კარიბის კრიზისი იყო, მაგრამ მოვლენათა და დაპირისპირებათა მიმართულება დღესაც იგივეა. იმხანად მთავარი აქტორები აშშ და საბჭოთა კავშირი იყვნენ, დღეს აშშ და რუსეთი არიან. მაშინ განხეთქილების ვაშლის როლს კუბა ასრულებდა, დღეს იმავე როლს უკრაინა ასრულებს და ამ კრიზისში ბელარუსის ჩათრევასაც ცდილობენ. ამ ბინძურ საქმეში ჩვენც გარკვეული ფუნქცია გვეკისრება.**

კრიზისი რომ სერიოზულია, ამას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის თვალის ერთი შევლებითაც მიხვდებით.

**რუსული ტელეარხებიდან:** — აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები არიან პასუხისმგებლები ვითარების ესკალაციაზე. ამას ხაზი გაუსვეს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში. უწყებაში აღნიშნეს საზღვარგარეთის სამხედრო გემების შავ ზღვაში შემოსვლის გახშირება, რომლებიც, შესაძლებელია, აღჭურვილნი იყვნენ შორი რადიუსის ზეზუსტი რაკეტებით. ჰაერში კი ყოველდღე ხედავენ ნატოს ბომბდამშენებს, რომლებსაც შეუძლიათ ბირთვული შეიარაღების ტარება. ნატოს თვითმფრინავები, სამხედრო წვრთნის ფარგლებში, სულ უფრო უახლოვდებიან რუსეთის საზღვრებს და ამუშავებენ პირობით დარტყმებს რუსეთის სამხრეთით განთავსებულ სამხედრო შენაერთებზე.

**სერგეი რუდსკოი,** რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, გენერალპოლკოვნიკი: — ჩვენ გვაშფოთებს აშშ-ისა და ნატოში მისი მოკავშირეების ქმედებები, რომლებიც სიტყვიერად აცხადებენ ინციდენტის დაუშვებლობის შესახებ, მაგრამ განაგრძობენ პროვოკაციულ და სახიფათო სამხედრო საქმიანობას შავი ზღვის რეგიონში. ინილბება რა ვითომ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებით, ნატო სულ უფრო უახლოვდება ჩვენს საზღვრებს.

**რუსული ტელეარხებიდან:** — გენშტაბის მონაცემებით, რუსეთის ავიაგამანადგურებლებს მიმდინარე წელს ოცი პროცენტით მეტი გაფრენის შესრულება მოუწიათ ნატოს სამხედრო თვითმფრინავების მოსაგერიებლად. მხოლოდ გასულ კვირას ზედიზედ რამდენიმე ინციდენტი მოხდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთით, აღმოსავლეთითა და დასავლეთით... შავი ზღვიდან განდევნეს სამი ამერიკული B-52, რომლებიც უკრაინის მხრიდან შემოფრინდნენ, კიდევ ერთი ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი — B-1 კამჩატკასთან შენიშნეს. რამდენიმე დღის წინათ შეამჩნიეს ბრიტანეთის სამხედრო თვითმფრინავი, მომდევნო დღეს კი ერთდროულად ორი დაუპატიჟებელი სტუმარი ბალტიის თავზე გამოჩნდა...

ვითარება ჩვენს საზღვრებთან უკიდურესად დაძაბულია, განსაკუთრებით ყირიმთან. პასუხისმგებლობა ვითარების დაძაბვისა და მოსალოდნელი შედეგებისთვის ერთმნიშვნელოვნად დაეკისრებათ აშშ-სა და მის მოკავშირეებს ნატოდან. ზუსტად ასე მოახსენა გენშტაბის წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს.** ამერიკელებს უკვე აღარც ერიდებათ და მათი ბომბდამშენები ღიად ამუშავებენ პირობით ბირთვულ დარტყმებს სევასტოპოლზე. ერთ თვეში სამჯერ გამოჩნდნენ ჩვენს მისადგომებთან და სამივეჯერ უკრაინის ტერიტორიიდან, რომელიც ახლა ოფიციალურად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ის მძიმე სამხედრო ავიაციისთვის უკანა კარად. აშშ-ის მძიმე ავიაცია, ბორტზე სპეციალური დანიშნულების ძალებით, უკრაინის ტერიტორიაზე იმყოფება.

**იური იგნატი,** უკრაინის საავიაციო ძალების მეთაური: — ჩვენ ვიმყოფებით აეროდრომზე ვინიცასთან, სადაც ჩამოფრინდნენ ამერიკული მძიმე თვითმფრინავები. ეს ერთადერთი აეროდრომი არ არის უკრაინაში, სადაც აშშ-ის სამხედრო ავიაცია იქნება.

**რუსული ტელეარხებიდან:** — ეს არის მკვეთრი სიგნალი პუტინისთვის, — ჩვენ თქვენს საზღვართან ვიმყოფებით!

**იური იგნატი:** — ეს წვრთნები მოგვცემს საშუალებას იმის დემონსტრირებისა, რომ შეიარაღებულ აგრესიას პასუხი გავცეთ დამოუკიდებლად ან საერთაშორისო მხარდაჭერით.

**რუსული ტელეარხებიდან:** — აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავები ადრე თუ ნატოს წევრი სახელმწიფოების საზღვრებიდან შემოფრინდებოდნენ, დღეს უკრაინის საზღვრებიდან მოფრინავენ და ეს ფრენები რეგულარულ ხასიათს იძენს.

**ვლადიმერ ზელენსკი,** უკრაინის პრეზიდენტი: — ჩვენი დასავლელი პარტნიორები გვეთანხმებიან, ჩვენ გავერთიანდით არსებული გამოწვევების დასაძლევად და ადეკვატური რეაქციის შესამუშავებლად. მათ შორის ერთ-ერთია უკრაინის ინტეგრაცია ნატოში.

**რუსული ტელეარხებიდან:** — არავინ არაფერს აღარ მალავს. ნატო ემზადება რუსეთზე ბირთვული შეტევის განსახორციელებლად უკრაინის ტერიტორიიდან.

**ვალერი კვარაცხელია:** — აი, თურმე, რისთვის სჭირდებოდათ ამერიკელებს „მაიდნის" სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში. ადრეც ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: **სადაც უნდა მოქმედებდნენ ამერიკელები — ახლო აღმოსავლეთსა თუ ვენესუელაში, ჩრდილოეთ კორეასა თუ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, კავკასიასა თუ უკრაინაში, მოლდოვასა თუ ახლა უკვე ბელარუსში, ისინი ყველგან რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებენ. აი, რისთვის დასჭირდათ ამერიკელებს ფაშისტური ხელისუფლება უკრაინაში, რუსეთის სიძულვილისთვის. მათ ხომ მშვენივრად იციან, რომ რუსეთის მიმართ მხოლოდ თვითონ და ფაშისტები არიან ერთნაირი დაუძლეველი სიძულვილით გაჟღენთილნი.** ახლა ბელარუსს ითრევენ ამ სიბინძურეში, რათა ცოტა ხანში იქაც ანტირუსული სულისკვეთებით გაჟღენთილი ხელისუფლება მოათრიონ, რომლის ერთადერთი მიზანი რუსეთის წინააღმდეგ დაუნდობელი და გააფთრებული ბრძოლის გაჩაღება იქნება.

**ალექსანდრე ლუკაშენკო,** ბელარუსის მოქმედი და არჩეული პრეზიდენტი: — ჩვენ გვიმზადებდნენ ამ სისაძაგლეს. რუსეთს ▶

**სამწუხაროდ, დღეს არ არსებობს სახელმწიფო და ძალა, რომელიც ისევე დაახოქებდა, გაასამართლებდა და მოარჯულებდა ამ მსოფლიო ბოროტებას, როგორც საბჭოთა კავშირმა სტალინის მეთაურობით დაახოქა, გაასამართლა და მოარჯულა ევროპაში გაჩენილი და ამერიკის მიერ გაძლიერებული ფაშისტური ჭირი გასულ საუკუნეში. სამწუხაროდ, არ არის დღეს ისეთი ძალა, როგორსაც საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, და არც ისეთი გენიაა, როგორიც სტალინი იყო. ამითაც არის განპირობებული თავგასულობა ამერიკული იმპერიალისტური მონსტრისა, რომელიც ბოროტებაში თვით სატანასაც კი ტოლს არ უდებს**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშკარა გადაჭარბება იქნება თქმა იმისა, რომ დღევანდელი კრიზისი ისეთივე მწვავეა, როგორიც კარიბის კრიზისი იყო, მაგრამ მოვლენათა და დაპირისპირებათა მიმართულება დღესაც იგივეა. იმხანად მთავარი აქტორები აშშ და საბჭოთა კავშირი იყვნენ, დღეს აშშ და რუსეთი არიან. მაშინ განხეთქილების ვაშლის როლს კუბა ასრულებდა, დღეს იმავე როლს უკრაინა ასრულებს და ამ კრიზისში ბელარუსის ჩათრევასაც ცდილობენ. ამ ბინძურ საქმეში ჩვენც გარკვეული ფუნქცია გვეკისრება.**

## ნამუსგარეცხილმა დასავლურმა პოლიტიკამ ტიხანოვსკაიათი თუ შეძლო სრულიად უპრობლემო ბელარუსის არევა, სააკაშვილით უფრო არ არევს ყელამდე პრობლემებში ჩაფლულ საქართველოს? არევს, რა თქმა უნდა! შესაძლებელია, ვინმეს შეკითხვა გაუჩნდეს: რისთვის სჭირდება დასავლეთს საქართველოს არევა? — სჭირდება და თანაც როგორ. დასავლეთს სჭირდება რუსეთის ირგვლივ მისთვის სრულიად საიმედო ალყა

◀ ეშინოდა, რომ არ დავეკარგეთ. დასავლეთი კი ცდილობდა, მის მხარეს აღმოვჩენილიყავით, რა თქმა უნდა, რუსეთის საწინააღმდეგოდ. მათ ბალტიისა და შავი ზღვის დერეფნის ჩამოყალიბება სურთ — ბალტიის სამი რესპუბლიკა, უკრაინა და ჩვენ. ჩვენ მარტო ვიყავით, ვინც რუსეთის წინააღმდეგ არ მოქმედებდა.

**ვალერი კვარაცხელია: — რასაც ახლა ბელარუსში დასავლეთი კადრულობს, მართლაც გამაოგნებელია. ასეთი უხეში ჩარევა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეში, ასეთი ძალმომრეობა რუსეთის ირგვლივ გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ვითარების შესაცვლელად, თვით ამერიკელი პოლიტიკოსებისგანაც კი, რომლებიც მიზნის მისაღწევად არასოდეს არაფერს თაკილობენ და არც არაფრის რცხვენიათ, დაუჯერებელი გეჩვენება.** ჯერ ხომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და პოლონეთის თახსირი ხელისუფლებები აყვირეს, ბელარუსის პრეზიდენტი **სვეტლანა ტიხანოვსკაია** არისო, ახლა ევროპარლამენტს მიაღებინეს გამაოგნებელი რეზოლუცია.

**РИА Новости:** — 5 ნოემბრის შემდეგ, როდესაც ბელარუსის მოქმედ ავტორიტარ ლიდერს უფლებამოსილების ვადა ოფიციალურად ამოეწურება, ევროპარლამენტი შეწყვეტს მის აღიარებას ქვეყნის პრეზიდენტად.

**ვალერი კვარაცხელია:** — რაო? რუსეთი საბოლოოდ უნდა მოვაქციოთ ნატოს ალყაში და მერე ყველა მხრიდან ერთდროულად მივიტანოთ მასზე იერიშიო. აქ ბელარუსი და მისი პრეზიდენტი არავის ახსოვს. უფრო სწორად, ახსოვთ იმდენად, რამდენადაც რუსეთის მიმართ დადებითად განწყობილი ლუკაშენკო პატარა ბარიერად მიაჩნიათ რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის გაშლაში. **მათი მთავარი მიზანი რუსეთია, რომელზეც მცირეოდენი უპირატესობის გაჩენის შემთხვევაში, ყოველი მხრიდან, ყველა აკრძალული იარაღით (ბირთვულით, ბიოლოგიურით, ქიმიურით, ფსიქოტრონულით) მიიტანენ იერიშს მისი სრული განიარაღებისა და განადგურების მიზნით. ამ უბოროტესი მიზნის მისაღწევად კეთდება ყველაფერი, რაც რუსეთის მიმართულებით ხორციელდება.** აშშ მსოფლიოზე ერთპიროვნული გაბატონების აკვიატებული და აბსურდული, თანაც ყოვლად ამორალური მიზნის მისაღწევად პლანეტაზე უმწვავეს კრიზისულ სიტუაციას ქმნის. აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობებში წარმოქმნილი კრიზისი ხომ მსოფლიო მასშტაბის კრიზისია, რომლიდანაც გამოსავალი არ არსებობს, გარდა აშშ-ის ურჯულო იმპერიის მორჯულებისა. **სამწუხაროდ, დღეს არ არსებობს სახელმწიფო და ძალა, რომელიც ისევე დააჩოქებდა, გაასამართლებდა და მოარჯულებდა ამ მსოფლიო ბოროტებას, როგორც საბჭოთა კავშირმა სტალინის მეთაურობით დააჩოქა, გაასამართლა და მოარჯულა ევროპაში გაჩენილი და ამერიკის მიერ გაძლიერებული ფაშისტური ჭირი გასულ საუკუნეში.** სამწუხაროდ, არ არის დღეს ისეთი ძალა, როგორისაც საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, და არც ისეთი გენიაა, როგორიც სტალინი იყო. **ამითაც არის განპირობებული თავგასულობა ამერიკული იმპერიალისტური მონსტრისა, რომელიც ბოროტებაში თვით სატანასაც კი ტოლს არ უდებს.** თუმცა, მაინც არსებობს მსოფლიოში ერთი ძალა, რომელსაც აშშ-ის დამარცხება შეუძლია. ასეთი ძალა თვითონ აშშ-ია, ვინაიდან იგი თვითონ ამწვავებს და ამძაფრებს წინააღმდეგობებს, რომლებსაც, მართალია, მსოფლიო ჩიხში შეჰყავს, მაგრამ ყველაზე დიდი დარტყმის ქვეშ, პირველ რიგში, მაინც საკუთარ თავს აყენებს. 2020 წლის 3 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების პერიოდი უკვე გასცდა პოლიტიკის სფეროს და აშშ, როგორც მსოფლიო ურჩხული, მთელი თავისი შემაძრწუნებელი შინაარსით გამოვლინდა. **უკვე ვხედავთ, რომ წინასაარჩევნო ბატალიებში დაპირისპირება ვლინდება არა პოლიტიკურ პარტიებსა და განსხვავებულ იდეოლოგიებს შორის, არამედ, თვითონ აშშ-ის შიგნით იმართება დაუნდობელი და გააფთრებული ბრძოლა გლობალური მასშტაბის დამნაშავე პოლუსებს შორის, რომლებმაც კაცობრიობა დემოკრატიის სახელით ბოროტმოქმედებასა და სიბინძურეში ჩაითრიეს.** ისინი აღარც მალავენ ნამდვილ სახეს, მათ უკვე მოიხსნეს ნიღბები. Fox News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ტრამპი აცხადებს.

**დონალდ ტრამპი, აშშ-ის პრეზიდენტი:** — მე მას (სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადს — **ვ.კ.**), ცუდ ადამიანად მივიჩნევდი. მე მას გავასალებდი. მე ყველაფერი მზად მქონდა, მაგრამ **მეტისმა** (პენტაგონის შეფი 2017-19 წწ. — **ვ.კ.**) არ მოინდომა ამის გაკეთება.

**ვალერი კვარაცხელია: — ომები, სახელმწიფო გადატრიალებები, პრეზიდენტების მკვლელობები საგარეო ურთიერთობებში ამერიკელებისთვის ის ინსტრუმენტებია, რომლებსაც ისინი დიალოგის, დიპლომატიის, შეხვედრების, დარწმუნების ნაცვლად იყენებენ. ეს კაცი, დონალდ ტრამპი, რომელიც, როგორც თვითონ აღიარებს, პოტენციური მკვლელია, მსოფლიოს უმაღლეს პრემიაზე წარადგინეს, თანაც, მშვიდობის დარგში. როგორი დაცინვა და მასხრად აგდებაა მშვიდობისა და კაცობრიობის სწრაფვისა მშვიდობისკენ.** ეს გადაცემა შეკითხვით დავიწყე, — საით მიექანება-მეთქი მსოფლიო. მაშინ, როდესაც მშვიდობა გამასხარავებულია, მაშინ, **როდესაც მკვლელი ნობელის პრემიაზეა წარდგენილი, სიკვდილსა და სიცოცხლეს ერთი ფასი აქვს. ხოლო, მაშინ, როდესაც სიკვდილსა და სიცოცხლეს ერთი ფასი აქვს, ომის დაწყება გაიოლებულია და გამარტივებული.** აი, პასუხიც იმ შეკითხვაზე: მსოფლიო ომისკენ მიექანება, დიდი, გლობალური და დაუნდობელი ომისკენ. ისეა ატეხილი (სამგლე გოჭივითო, რომ ვიტყვით ქართველები) მსოფლიო, რომ სანამ გამოსადენ სისხლს არ გამოიდენს, არ დამშვიდდება. დონალდ ტრამპის დანაშაულებრივი ვნებები ხომ ვნახეთ, მოახლოვებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ განსხვავებული სახის დანაშაულის ჩადენისკენ მოუწოდებს ყოფილი სახელმწიფო მდივანი **ჰილარი კლინტონი** პრეზიდენტობის მეორე კანდიდატს საკუთარი პარტიიდან.

**ჰილარი კლინტონი, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი:** — ჯო ბაიდენმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღიაროს დამარცხება!

**ვალერი კვარაცხელია:** — რას ნიშნავს, დამარცხების არაღიარება არავითარ შემთხვევაში? დამარცხების შემთხვევაშიც? კი, მაგრამ, დამარცხების შემთხვევაში დამარცხების არაღიარება მხოლოდ უკანონო საქციელი ხომ არ არის, ძალადობაცაა, მაგრამ ასეთია ამერიკული ცხოვრების წესი. **ამერიკული იმპერიალისტური რეჟიმი ესაა უსასტიკესი რეჟიმი, რომლისთვისაც არ არსებობს არც პოლიტიკური, არც სამართლებრივი, არც ადამიანური და არც მორალური ბარიერები. მათთვის დღესაც, ოცდამეერთე საუკუნეშიც, მისაღებია მაკიაველის შუასაუკუნებრივი პოლიტიკური კრედო — მიზანი ამართლებს საშუალებას.** სატანის ეს თანამედროვე ნაშიერები, რომლებმაც დემოკრატიის სახელით ენით აუწერელი უბედურებები დაატრიალეს მსოფლიოში, ახლა უნიღბო სახით წარდგნენ პლანეტის მოსახლეობის წინაშე და სამარცხვინო განცხადებების კეთებაში თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან. **ხომ არის ეს ნათელი დასტური იმისა, რომ აშშ, მსოფლიოს ეს უდიდესი და უძლიერესი ზესახელმწიფო, ბანდიტების ხელშია და ბანდიტური სახელმწიფოა?! და რაც უფრო დიდია და მძლავრია ასეთი სახელმწიფოს შეიარაღება, მით უფრო საშიში ხდება იგი მსოფლიოსთვის.** რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტი ტრამპი ჟურნალისტებს ასე ელაპარაკა.

**დონალდ ტრამპი:** — გვაქვს შეიარაღების ისეთი სისტემები, რომელთა შესახებაც არავინ იცის. შეიარაღების ისეთი სისტემები, როგორიც აქვს ვაშინგტონს, არ აქვს არც მოსკოვს და არც პეკინს!

**ვალერი კვარაცხელია:** — არ გამოვრიცხავ, რომ აქ ცოტა ნაიტრაბახა ბატონმა ტრამპმა, მაგრამ ეს რეალობას არ ცვლის. ყველამ ვიცით, რომ უამისოდაც ამ სახელმწიფოს ხელშია შეიარაღების სისტემები, რომლებსაც შეუძლია სიცოცხლის მოსპობა დედამიწაზე. თუმცა, **ეს სახელმწიფო საშიში იმით კი არ არის, რომ სიცოცხლისა და მთლიანად პლანეტის მოსპობისთვის საკმარისი სამხედრო არსენალი გააჩნია, არამედ იმით, რომ ამ არსენალის ფლობის პარალელურად შესაბამისი მორალი და პასუხისმგებლობა არ გააჩნია. მას დღეს რამე შემაკავებელი ფაქტორი თუ ზღუდავს, ესაა შიში, მხოლოდ და მხოლოდ ცხოველური შიში და სხვა არაფერი, რომელიც არ არის საკმარისი გარანტია იმისთვის, რომ იგი გლობალური კატასტროფის წინაშე არ დააყენებს მსოფლიოს,** ამიტომაცაა შემაშფოთებელი ვითარება, რომელსაც ისინი რუსეთის ირგვლივ ქმნიან.

**დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნების დღესვე, 31 ოქტომბერს საქართველოშიც დაიწყება ბელარუსის მსგავსი პროცესები, რაც ისევ და ისევ რუსეთის წინააღმდეგ დაგეგმილი გლობალური პროვოკაციის შემადგენელი ნაწილი იქნება.** კარგად გავიაზროთ, რას ნიშნავს სააკაშვილის ბოლოდროინდელი გააქტიურება და თუნდაც ეს ქადილი.

**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ექსპრეზიდენტი და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი:** — მე ქართველ ხალხთან ერთად დავასრულებ **ივანიშვილის** მმართველობას. მოდი, გავწიოთ განზე პოლიტიკოსები. მე არ ვარ პოლიტიკოსი, მე ვარ ქართული თანამედროვე სახელმწიფოებრიობის შემქმნელი. მე ვარ საქართველოს პატრიოტი, მე ვარ ერთ-ერთი თქვენგანი, ვისაც გული შესტკივა იმაზე, რომ ქვეყანა განადგურდა.

**ვალერი კვარაცხელია:** — დავანებოთ თავი იმას, რომ სააკაშვილი თავის „საქართველოს სახელმწიფოებრიობის შემქმნელად“ წარმოუდგენია (ეს თემა ფსიქიატრებს დავუტოვოთ). ჩვენ კი იმაზე დავფიქრდეთ, რომ არჩევნების შემდეგ საქართველოშიც იმ სცენარის გათამაშებაა მოსალოდნელი, რომელ სცენარსაც ახლა ბელარუსში ათამაშებენ. პოლიტიკაში სრულიად უცნობ ვინმე **ტიხანოვსკაიას,** რომლისთვისაც საპრეზიდენტო არჩევნებში დასავლეთმა, სულ რაღაც, ათი პროცენტის დაგროვება შეძლო, რით არ სჯობს ექსპრეზიდენტი და მსოფლიოში ცნობილი (თანაც, დასავლეთისთვის ესოდენ მისაღები) **სააკაშვილი,** რომელიც ხმათა გაცილებით მეტ რაოდენობასაც დააგროვებს და, რაც მთავარია, გაცილებით მეტ მხარდამჭერსაც გაიჩენს საქართველოში, ვიდრე ტიხანოვსკაიამ ბელარუსში გაიჩინა. **ნამუსგარეცხილმა დასავლურმა პოლიტიკამ ტიხანოვსკაიათი თუ შეძლო სრულიად უპრობლემო ბელარუსის არევა, სააკაშვილით უფრო არ არევს ყელამდე პრობლემებში ჩაფლულ საქართველოს?** არევს, რა თქმა უნდა! შესაძლებელია, ვინმეს შეკითხვა გაუჩნდეს: რისთვის სჭირდება დასავლეთს საქართველოს არევა? სჭირდება და, თანაც როგორ. დასავლეთს სჭირდება რუსეთის ირგვლივ მისთვის სრულიად საიმედო ალყა. ამ საქმისთვის ივანიშვილი ისევე ვერ გამოდგება, როგორც ლუკაშენკო ვერ გამოდგა. **ლუკაშენკოც თამაშობდა რუსეთსა და დასავლეთს შორის, მაგრამ დასავლეთში მოთამაშეები არ უყვართ, ერთმნიშვნელოვნად თავიანთი კაცი სჭირდებათ. ივანიშვილიც მოთამაშეა. მართალია, რუსეთთან თამაშს იგი გაცილებით ნაკლებად ავლენს, ვიდრე ლუკაშენკო, მაგრამ, რომ თამაშობს, ფაქტია. დასავლეთს კი ბელარუსშიც და საქართველოშიც ისეთივე ანტირუსული ტანკი სჭირდება, როგორიც სააკაშვილია.** ამერიკელები რუსეთის ირგვლივ ალყის შეკვრას როდესაც დაასრულებენ, მხოლოდ ამის შემდეგ მიადგებიან რუსებს პირდაპირ. ამ მეტისმეტად უსიამოვნო მოვლენაზე უკვე ლაღადებს რუსული მასმედია. თუმცა, რაღა მასმედია, როდესაც ამაზე ხმაურიან განცხადებებს უმაღლესი სახელმწიფო ჩინებიც კი აღარ ერიდებიან.

**სერგეი შოიგუ, რუსეთის თავდაცვის მინისტრი:** — დაიწყეს რეგულარული ფრენები და შემოსვლები. ვარჯიშობენ სარაკეტო დარტყმების იმიტაციაში. უნდათ, მიგვაჩვიონ აზრს ერთპოლარულ მსოფლიოზე, მიგვაჩვიონ აზრს, რომ მსოფლიოს ჰყავს ერთი მბრძანებელი.

**ვალერი კვარაცხელია:** — იმის მიუხედავად, რომ დღეს მსოფლიო ნამდვილად აღარ არის ერთპოლუსიანი, აშშ-ში ვერ ელევიან ერთპოლუსიან მსოფლიოზე ოცნებას. ესაა ის, რაც მსოფლიოს გლობალური ომის საშინელებისკენ მიაქანებს.

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე!



**P. S.საქართველოში დასავლეთის „მეხუთე კოლონა“ და მასთან მიტმასნილი პროდასავლური ხროვა გახარებულია მსოფლიოსთვის ამ უაღრესად საშიში და სახიფათო მოვლენით. ისინი გახარებული არიან საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილის მობრუნების პერსპექტივითა და ბელარუსში ლუკაშენკოს მოსალოდნელი ჩამოცილებით ძალაუფლებისგან. გახარებული არიან, ვინაიდან დასავლეთის შემდგომ სამიზნედ რუსეთსა და პუტინს განიხილავენ, თუმცა იოტისოდენა წარმოდგენაც არ აქვთ, რის ფასად შეიძლება დაუჯდეს ეს ყველაფერი საქართველოს.**

**რუსეთის მიმართ დასავლური გეგმების რეალიზების შემთხვევაში საქართველო ისე აღიგვება პირისაგან მიწისა, თითქოს არასოდეს ეარსებოს, ვინაიდან ქართული სახელმწიფოს ფიზიკურ არსებობას, მიუხედავად სახელმწიფო დონეზე ურთიერთობებში არსებული პრობლემებისა და ტერიტორიული დანაკარგებისა, დღეს რუსული ფაქტორის არსებობა განაპირობებს. როგორც კი მოიხსნება რუსეთის მსოფლიო გეოპოლიტიკური ფაქტორი, საქართველო ელვის სისწრაფით გაიჭყლიტება რეგიონში ცუნამივით მოვარდნილ ახალ რეალობასა და მძლავრი სახელმწიფოების სრულიად შეუზღუდავ გეოპოლიტიკურ თამაშებში. შესაძლებელია, იციან კიდეც ეს ყველაფერი, მაგრამ ისინი ხომ თავიანთ ვიგინდარულ ვნებებს საქართველოზე და მსოფლიოზე მაღლა აყენებენ.**

**ვალერი კვარაცხელია**

თანამედროვე ბატონყმობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ბოლო ორ კვირაში მეორედ განგვიცხადა, — მოლაპარაკებების მაგიდას მივუსხდეთო, მაგრამ ჩვენ უარს ვამბობთ, რადგან ამის უფლებას დასავლელი „სტრატეგიული“ პარტნიორები არ გვაძლევენ.**

# ჩვენი «დამოუკიდებელი» ქვეყანა იმაზეა დამოკიდებული, როგორ გუნებაზე გაიღვიძებს ამერიკის ელჩი

## დასავლელ «პარტნიორებს» არ სურთ, რუსეთთან სასაუბროდ პირისპირ დაგვსვან

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ბოლო კვირაში საქართველოს მიმართ ორი განცხადება გააკეთა. ორივე განცხადება პირდაპირ მიანიშნებდა, რომ რუსეთი მზად არის საქართველოსთან სასაუბროდ და, როცა ასეთ მინიშნებას რიგითი სახელმწიფო მოხელე კი არა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი აკეთებს, თანაც ისეთი მინისტრი, როგორიც სერგეი ლავროვია, აშკარად ყურადსაღებია.**

„ჩვენ ვხედავთ, რომ გამოჩნდნენ ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც დიალოგს მხარს უჭერენ. ჯერჯერობით ეს მცირე პარტიებია მმართველ ელიტაში. დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოოდ იზეიმებს ჩვენი ტრადიციული ისტორიული ახლობლობა, ჩვენი ხალხების ურთიერთსწრაფვა“, — ეს არის ამონარიდი ლავროვის განცხადებიდან. შეგახსენებთ, რომ მანამდე ლავროვმა მზადყოფნა გამოთქვა საქართველოსა და რუსეთს შორის ფრენების აღდგენაზე, მაგრამ მკვახე პასუხი მიიღო საქართველოს პრემიერისგან. **გიორგი გახარიამ** განაცხადა, არანაირ საუბარს არ ვაპირებთ, ფრენები რუსეთმა გააუქმა და მანვე აღადგინოსო. ჰოდა, ეს თემა გაურკვეველი ვადით დაკონსერვდა და ვინ დაზარალდა? სწორია — რიგითი მოქალაქეები, ისინი, ვინც ოჯახს სწორედ რუსეთიდან არჩენს და ასეთი ოჯახი მილიონამდეა.

**რაც შეეხება მეორე განცხადებას, მასზე პასუხი პარლამენტის მოქმედმა და მომავალმა (ასე დაგვიანონსეს) თავმჯდომარემ — არჩილ თალაკვაძემ გასცა.**

„რუსეთთან ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზება არის შესაძლებელი მას შემდეგ, რაც მოხდება ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთის ჯარისკაცები, რომლებიც უკანონოდ იმყოფებიან საქართველოს ორ რეგიონში, დატოვებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება უკვე საუბარი ჩვენი ურთიერთობების ნორმალიზაციაზე. რაც შეეხება დღეს არსებულ ფორმატებს, ეს არის ჟენევის ფორმატი, საერთაშორისო ფორმატი, სადაც ჩვენ გვაქვს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობა — ვხედავთ, რომ არც ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების პუნქტებთან დაკავშირებით, არც სხვა საკითხებზე რუსეთის მხრიდან არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული, შესაბამისად, მხოლოდ განცხადებები ვერ ცვლის იმ მძიმე ფონს, რომელიც, სამწუხაროდ, ორივე ოკუპირებულ რეგიონში გვაქვს — ეს არის ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, ის ინციდენტები და პროვოკაციები, რომლებიც რეგულარულად ხდება. რაც შეეხება რუსეთის შესაძლო ინტერესებს საქართველოში, რა თქმა უნდა, ახალი არ არის, რომ რუსეთი ცდილობს, ხელი შეუშალოს ჩვენს დემოკრატიულ განვითარებას — რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევს ჩვენი ქვეყანა, მით მეტად ცდილობს, შეუშალოს ხელი ამ წარმატებას. ამას აკეთებს დეზინფორმაციით, მასთან დაკავშირებული ჯგუფების გააქტიურებით, მათ შორის პოლიტიკაში. ხელისუფლება და ჩვენი პოლიტიკური გუნდი, რომელსაც აქვს მკაფიოდ განსაზღვრული პროდასავლური პოლიტიკა, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ადამიანებს ჰქონდეთ ობიექტური ინფორმაცია და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ჩვენი საზოგადოების გადაწყვეტილებაზე დეზინფორმაცია ვერ მოახდენს გავლენას“, — განაცხადა თალაკვაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება სრულად იმიტომ შემოგთავაზეთ, რომ ის რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შეეხო. ყველაზე საინტერესო არის ის, რომ თურმე დღეს გვაქვს **„ჟენევის ფორმატი, საერთაშორისო ფორმატები, სადაც ჩვენ გვაქვს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობა...“** არც ერთ ჟურნალისტს თავში აზრადაც არ მოსვლია, თალაკვაძისთვის ეკითხა — **რომელი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტეს თუნდაც ჟენევის ფორმატში და ამ მოლაპარაკებების შედეგად რაზე შეთანხმდნენ ნებისმიერი მიმართულებით? ამ ჟენევისა თუ სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატების გადამკიდე, რა მიიღო ქვეყანამ საბოლოო ჯამში? პასუხი მარტივია — არაფერი!** ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჟენევის ფორმატი მხოლოდ სათქმელად არის მოფიქრებული, თორემ, ამ ფორმატში რეალურად არაფერი კეთდება. ვერავინ ვერ გაიხსენებს ერთ შედეგს მაინც, რომელიც ჟენევაში გამართულმა მოლაპარაკებებმა მოიტანა. **კარასინსა** და **აბაშიძეს** კი ერთმანეთთან სასაუბრო რომ აღარ აქვთ, აბაშიძის ბოლოდროინდელი განცხადებებიდანაც ჩანს. ყველა შეხვედრის შემდეგ აბაშიძე სტანდარტულად პასუხობს, რომ განიხილეს რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, თუმცა არც საკითხებს ასახელებს და არც განხილვების შედეგად მიღებულ შედეგს. მიზეზი მარტივია — არც მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება და, შესაბამისად, არც შედეგია. ჰო, აბაშიძის ვიზიტები რამდენიმე ათეულობით ათასი რომ გვიჯდება ყოველწლიურად, ეს ცალკე თემაა და ხმასაც არავინ ამოიღებს, შედეგი რომ იყოს.



არჩილ თალაკვაძე და ამერიკის ელჩი კელი დეგნანი

**არჩილ თალაკვაძის განცხადებით, მოლაპარაკებებისთვის დღეს გვაქვს «ჟენევის ფორმატი, საერთაშორისო ფორმატები, სადაც ჩვენ გვაქვს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობა...» არც ერთ ჟურნალისტს თავში აზრად არ მოსვლია, თალაკვაძისთვის ეკითხა — რომელი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტეს თუნდაც ჟენევის ფორმატში და ამ მოლაპარაკებების შედეგად რაზე შეთანხმდნენ ნებისმიერი მიმართულებით? ამ ჟენევისა თუ სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატების გადამკიდე, რა მიიღო ქვეყანამ საბოლოო ჯამში? პასუხი მარტივია — არაფერი!**

ისევ არჩილ თალაკვაძეს დავუბრუნდეთ. ფაქტია, რომ ქართული ოცნება რუსეთთან პირისპირ საუბარს არ აპირებს და არ აპირებს იმის მიუხედავად, ვინ სთავაზობს. თუ ჩვენი პოლიტიკოსები ელოდებიან, რომ **ვლადიმერ პუტინი** გამოვა თხოვნით, ყელს გამოიღადრავს, ოღონდ თქვენ დაგველაპარაკეთო, ძალიან ცდება. რეალურად, **ლავროვის განცხადებები არის მაქსიმუმი, რასაც რუსეთი საქართველოს მიმართ გააკეთებს და ადვილი მისახვედრია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის პირით სწორედ ქვეყნის პირველი პირი საუბრობს.**

სამაგიეროდ, **ჩვენი „დამოუკიდებელი“ ქვეყანა იმაზეა დამოკიდებული, როგორ გუნებაზე გაიღვიძებს ამერიკის ელჩი. მნიშვნელობა არ აქვს ელჩის სახელსა და გვარს, მთავარია სტატუსი და, ამ სტატუსის უკან ქალი იქნება თუ კაცი, ნაკლებად საინტერესოა. ჰოდა, თუ ამერიკის ელჩი უგუნებოდაა, შეიძლება კონსტიტუცია შეგვაცვლევინოს, თანაც ისე, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ამის წინააღმდეგი იყოს.** ფაქტია: დასავლელ „პარტნიორებს“ არ სურთ, რუსეთთან პირისპირ დაგვსვან სასაუბროდ და ამიტომ საერთაშორისო ფორმატებზე აკეთებენ აქცენტს — იქ, სადაც საქართველო და რუსეთი მარტო ვერ დარჩებიან.

ამის ფონზე სასაცილოდაც აღარ ჩანს ის, **რომ საქართველოში პურის გამოსაცხობად საჭირო ხორბლის 100 პროცენტი რუსეთიდან შემოდის; რომ საყოველთაო პანდემიის ფონზე რუსეთიდან ფულადი გზავნილები ყველა დანარჩენ ქვეყანაზე მეტია; რომ ენერგომატარებლებით სწორედ რუსეთზე ვართ ჩამოკიდებულნი; რომ საქართველოში ინვესტიციების განხორციელების სურვილი მხოლოდ რუს ბიზნესმენებს შერჩათ.**

იმის მიუხედავად, რომ რუსულ მხარეს ჯერჯერობით სიტყვაც არ დაუძრავს საქართველოში მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე, ვისაც არ ეზარება, ყველა მტკიცებით ფორმაში ამბობს, რომ რუსეთი უხეშად ერევა ქართულ პოლიტიკაში, რომ ამ ქვეყანას თავისი ინტერესები აქვს და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენას შეეცდება. ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ დასავლეთი ათასობით დამკვირვებლის გამოგზავნას აპირებს, დასავლელი „პარტნიორები“ საუბრობენ პროცენტებზე, მიგვანიშნებენ, ზოგჯერ პირდაპირ გვეუბნებიან, რომ თურმე ხმების 40%-ზე მეტი არც ერთმა პარტიამ არ უნდა მიიღოს, რადგან უნდა შეიქმნას კოალიციური მთავრობა. და ეს არ არის თურმე საშინაო პოლიტიკაში ჩარევა და უხეშ ჩარევას თურმე დუმილი ნიშნავს.

თბილისის „ლოკომოტივისა“ და მოსკოვის „დინამოს“ საფეხბურთო მატჩზეც ვთქვათ. ქართულმა კლუბმა მოსკოვური 2:1 დაამარცხა და ევროპალიგის მომდევნო ეტაპზე გავიდა. რუსმა გულშემატკივრებმა მარცხი მტკივნეულად აღიქვეს და კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე დაწერეს, რომ რაღაც აუცილებლად შესაცვლელია, რადგან სეზონის წინ დახარჯული 60 მილიონი დოლარი წყალში გადაყრილი გამოდის. საოცარი ის არის, რომ **რუსული კლუბის ვებგვერდზე გაკეთებული სამი ათასი კომენტარიდან ორი ათასზე მეტი ქართველის იყო. ამ კომენტარების უმრავლესობა კი გინებასა და ქილიკს შეიცავდა, — აქაოდა, რუსეთი დავდეთ ბეჭებზეო. კარგია, რომ მოვიგეთ, ქართული კლუბი შემდეგ ეტაპზე გავიდა, მაგრამ ეს მატჩია, საფეხბურთო მატჩი და მეტი არაფერი. რუსმა გულშემატკივრებმა გაოცებით აღნიშნეს: რატომ გვაგინებთ, რა დაგიშავეთო?! ქართველები კი... მოსკოვის „დინამოს“ ვებგვერდზე ფეხბურთის რუს გულშემატკივრებს აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნებას სთხოვდნენ(?).**

არადა, **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ბოლო ორ კვირაში მეორედ განგვიცხადა, — მოლაპარაკებების მაგიდას მივუსხდეთო, მაგრამ ჩვენ უარს ვამბობთ, რადგან ამის უფლებას დასავლელი „სტრატეგიული“ პარტნიორები არ გვაძლევენ.**

**ბესო ბარბაქაძე**

**თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო (ისლამური სამყაროს გამოკლებით) მეტ-ნაკლებად ლიბერასტულია, გამოდის, რომ მსოფლიო ებრძვის ტრადიციული იდეოლოგიის, ღირებულებების დამცველ რუსეთს. ეს რომ ასეა, ბელარუსში მიმდინარე მოვლენებიც მოწმობს — ნათლად ჩანს, რომ მინსკში დასავლეთის მთავარი პრობლემა ლუკაშენკოს წასვლა-დარჩენა კი არა, რუსეთია.**



ახალი მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მართლმადიდებლობის გადამწყვეტი შეტევა დასავლელ ნეოლიბერალებზე

**ადრე საწინააღმდეგო შინაარსის სათაურებით ვიწყებდი მკითხველთან მსგავს თემებზე საუბარს, მაგალითად, „ნეოლიბერასტების გადამწყვეტი შეტევა საქართველოს დედაეკლესიაზე“, ან „მეუფე ყანდურთა გადამწყვეტი შეტევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე, გნებავთ, „ბუდარა-ბუდარიხები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ“ და ა.შ. ამ წერილების შინაარსი პატარა საქართველოს მაგალითზე მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მსოფლიო ე.წ. ნეოლიბერასტების დიდი შეთქმულების მხილება იყო. ამ შეთქმულებას სათავე დაუდო მასონთა მამამთავარმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ, რომელმაც ე.წ. ცივ ომში მუხანათური ღალატით (ღალატით, რომლის მთავარი აქტორები, სსრკ-ის უმაღლეს ხელისუფლებაში დასავლეთის მიერ თავის დროზე ჩანერგილი ან „დავერბოვკებული ე.წ. გავლენის აგენტები — გორბაჩოვ-შევარდნაძე-იაკოვლევები იყვნენ) სსრკ-ის დამარცხების შემდეგ დაუფარავად, თავხედურად განაცხადა, რომ ამიერიდან დასავლური „დემოკრატიის“ მთავარი ამოცანა გლობალიზაციის ძლიერი მოწინააღმდეგის, მართლმადიდებელი ქრისტიანობის დამარცხებაა.**



მართლმადიდებლობის დამარცხება თავისთავად ნიშნავს რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და, რაც მთავარია, სამხედრო დამარცხებას. გარდა იმისა, რომ რუსეთი პეტრე დიდიდან დაწყებული დღემდე მსოფლიოს უდიდესი იმპერია იყო, ამ ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიაც არავის უთმობდა პირველობას მართლმადიდებელ სამყაროში, დევიზით — რუსეთი მესამე რომია, მეოთხე არ იქნება!

სწორედ ამიტომ არ მიაჩნდათ **ბჟეზინსკის** მსგავს დასავლელ იდეოლოგებს მხოლოდ წითელი იმპერიის დაშლა საკმარისად, რადგან სსრკ-ის პოლიტიკური რუკიდან გაქრობა სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაც საბჭოთა სახელმწიფოს ბედს გაიზიარებდა, პირიქით, ქვეყანაში სსრკ-ის ათეისტური იდეოლოგია მართლმადიდებელი ეკლესიის იდეოლოგიამ ჩაანაცვლა — 70-წლიანი კომუნისტური იძულებითი პაუზის შემდეგ რუსეთში დაბრუნდა მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებელი იდეოლოგია — ღმერთი, მამული, მეფე, ე.ი., პატრიოტიზმი. სწორედ რუსეთის უდიდესი და უმდიდრესი მართლმადიდებელი ეკლესიის დამსახურებით, ამერიკელების მონა **ბორის ელცინის** რუსეთი ისე არ გაიძარცვა და დაინგრა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი ყოფილიყო. ეს რომ იცოდნენ ლიბერასტულ დასავლეთში, ამიტომაც ჩქარობდნენ მართლმადიდებლობის მოშთობას რუსეთში, რომელსაც, ბირთვულის (რაც დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობას ნიშნავდა) გარდა, დასავლეთისკენ შეტევაზე გადასვლის პოლიტიკურ-სამხედრო პოტენციალი აღარ ჰქონდა და სწორედ ამიტომ სამოქალაქო ომის ხანძარში გახვეულ რუსეთს ვლადიმერ პუტინის გამოჩენამდე გლობალურ პოლიტიკაში მხოლოდ თავდაცვითი პოზიცია ეკავა.

რუსეთის ახალმოვლენილმა პრეზიდენტმა პირველი რიგის ამოცანად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება დაისახა მიზნად. ამ პატრიოტულ ძალისხმევაში პუტინს აქტიურად უჭერდა მხარს მართლმადიდებელი ეკლესია — ჯერ სტალინისდროინდელი პატრიარქი **ალექსი II,** ხოლო მისი გარდაცვალების (სხვათა შორის, ალექსი II-ის ანდერძის ძალით, მას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია II**-მ აუგო წესი) შემდეგ სრულიად რუსეთის პატრიარქი **კირილე.** ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის დღევანდელი სამხედრო ძლიერება, რუსი ერისა და ბერის ერთობის დამსახურებაა.

როდესაც „დასავლელი მეგობრები“ ჯერ სირიის, შემდეგ სხვა მაგალითზეც დარწმუნდნენ, რომ რუსეთის სამხედრო გაძლიერება, პროპაგანდისტული მულტფილმი კი არა, რეალობაა. როგორც **კონსტანტინე გამსახურდია** იტყოდა, „გველის კაჭრობა“ დაემართათ და ტონს დაუწიეს. რუსეთის პრეზიდენტმა ახალგაზრდობასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ თავისი მოღვაწეობის 20 წელიწადი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ისეთ გაძლიერებას შეალია, რომ გარედან ვერავის გაებედა რუსეთისთვის „რეკომენდაცია-რჩევების“ მიცემა, როგორ იცხოვროს და იქვე დასძინა, რომ ახლა უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების მქონე რუსეთის ეკონომიკის აღმშენებლობისთვის უნდა ვიზრუნოო... ეს ზრუნვა რომ მითი არ არის და რეალურად დაწყებულია, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებიც მოწმობს. **დასავლეთისთვის ყველაზე მიუღებელი ის ცვლილებაა, რომლის ძალითაც რუსეთის კანონმდებლობა საერთაშორისო კანონმდებლობაზე მაღლა დგას. ამიერიდან რუსეთის ფედერაციას, უკაცრავად პასუხია და, სულ ფეხებზე ჰკიდია, რას იტყვის ბრიუსელი, სტრასბურგი, ჰააგა და ვაშინგტონი...** და, რადგან რუსეთთან ცივი დაპირისპირების გადაზრდა ცხელ სამხედრო კონფლიქტში, პრაქტიკულად, გამორიცხულია, დასავლეთმა რუსეთის წინააღმდეგ კარგად დავიწყებულ ძველს მიმართა — რბილი ძალის თეორიას, ე.წ. ფერად რევოლუციას, მაგრამ დასავლური დემოკრატიის მშვიდობის მტრედებს ერთი „პატარა“ რამ გამორჩათ მხედველობიდან: **რუსეთი არც იუგოსლავიაა (სხვათა შორის, როცა ნატოს ავიაცია 1999 წელს სერბეთს უმოწყალოდ ბომბავდა, სამიზნეში, უწინარესად, მართლმადიდებელი ტაძრები ჰყავდა ამოღებული) „ფერადი რევოლუციის“ პირველი მსხვერპლი, რომელიც რამდენიმე „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოდ დაშალეს, არც საქართველოა და არც უკრაინა, რომლებმაც მსგავსად იუგოსლავიისა ტერიტორიები დაკარგეს (უკრაინა უფრო შორს წავიდა — „დემოკრატიის“ დამყარებისთანავე პირველი, რაც გააკეთეს, კიევში გრანდიოზული გეიაღლუმი ჩაატარეს, ხოლო შემდეგ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ორ ნაწილად გახლიჩეს). აღარაფერს ვიტყვი ე.წ. არაბულ გაზაფხულებზე, რომელთა შედეგად მიგრანტებმა დასავლეთ ევროპა წალეკეს.**

**რუსეთი არც იუგოსლავიაა (სხვათა შორის, როცა ნატოს ავიაცია 1999 წელს სერბეთს უმოწყალოდ ბომბავდა, სამიზნეში, უწინარესად, მართლმადიდებელი ტაძრები ამოიღო) «ფერადი რევოლუციის» პირველი მსხვერპლი, რომელიც რამდენიმე «დამოუკიდებელ» სახელმწიფოდ დაშალეს, არც საქართველოა და არც უკრაინა, რომლებმაც იუგოსლავიის მსგავსად ტერიტორიები დაკარგეს, აღარაფერს ვიტყვი ე.წ. არაბულ გაზაფხულებზე, რომელთა შედეგად მიგრანტებმა დასავლეთ ევროპა წალეკეს**

მსოფლიოში კულტივირებულ-პროპაგანდირებული ნეოლიბერალიზმი და მულტიკულტურიზმი, ბუმერანგივით უკან დაუბრუნდათ ამერიკელებს და მის შედეგებს დღეს თვითონ იმკიან. ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ გავიმეორებ — სირია იქნება, უკრაინა თუ სხვა ცხელი თუ ნელთბილი წერტილი, ეს, პრაქტიკულად, „ლიბერასტული“ დასავლეთის ბრძოლაა რუსეთისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. **თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო (ისლამური სამყაროს გამოკლებით) მეტ-ნაკლებად ლიბერასტულია, გამოდის, რომ მსოფლიო ებრძვის ტრადიციული იდეოლოგიის, ღირებულებების დამცველ რუსეთს. ეს რომ ასეა, ბელარუსში მიმდინარე მოვლენებიც მოწმობს — ნათლად ჩანს, რომ მინსკში დასავლეთის მთავარი პრობლემა ლუკაშენკოს წასვლა-დარჩენა კი არა, რუსეთია.**

ავადსახსენებელმა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ თავის დროზე ისიც თქვა, რომ რუსეთი უკრაინა-ბელარუსის გარეშე დასავლეთისთვის (წაიკითხე, აშშ) რეგიონული პრობლემაა, ხოლო მათთან ერთად — გლობალური. ნახევარი უკრაინა იმიტომ დაკარგა რუსეთმა, რომ ენდო დასავლელი ლიდერებისა (საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ის) და **იანუკოვიჩის** ოფიციალურ შეთანხმებას, რომლის ძალითაც ე.წ. მაიდანი უნდა შეწყვეტილიყო და ხელახალი არჩევნები ჩატარებულიყო, მაგრამ დასავლეთმა იანუკოვიჩი (წაიკითხე, პუტინი) გადააგდო. იანუკოვიჩმა ძლივს გაასწრო სიკვდილს და ახლა თავს როსტოვს აფარებს. პუტინმა სამაგიერო უკრაინას (წაიკითხე, აშშ-ს) იმით გადაუხადა, რომ ჯერ დონბას-ლუგანსკი გამოეყო ბანდერელთა ფაშისტურ უკრაინას, ხოლო შემდეგ ფილიგრანული ოპერაციით, ისე, რომ ტყვია არ გაუსროლია, ყირიმი „აახია“, რითიც (რაც არ უნდა იყიყინონ დასავლელმა ლიბერალებმა) აღადგინა ისტორიული სამართლიანობა. ვლადიმერ პუტინის განცხადებით, ყირიმის თემა მოლაპარაკების საგანი არავისთან და არასდროს არ იქნება, რაც კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებშიც აისახა.

ამ ყველაფრიდან და შემდგომ განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, მოსკოვი მიხვდა, რომ დასავლეთის ნდობა არ შეიძლება, რადგან ის ორმაგი სტანდარტით მოქმედებს და მხოლოდ უხეში ძალის ენა ესმის. სწორედ ეს ხდება დღეს მინსკში. ამას წინათ რუსეთის საგარეო მინისტრმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დათმობს მოძმე ბელარუსს, მით უმეტეს, რომ მოსკოვი და მინსკი დეკლარირებულად მოკავშირე სახელმწიფოები არიან, შემდგომ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების რეალური პერსპექტივით. იგივე გაიმეორა ვლადიმერ პუტინმა სოჭში ალექსანდრე ლუკაშენკოსთან ტეტ-ატეტ საუბრისას და, მას ძალაც რომ შესწევს ქადილისა, მსოფლიო ლიბერასტები არაერთხელ დარწმუნებულან.

როგორც ჩანს, რუსეთმა გააცნობიერა, რომ საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა და ბელარუსში შეტევაზე გადავიდა — ალექსანდრე ლუკაშენკომ ქვეყნის დასავლეთი საზღვრები ჩაკეტა. მათ შორის, პირველ რიგში, პოლონეთ-უკრაინასთან, რადგან სწორედ აქ მოუყარა თავი ნატომ მრავალრიცხოვან ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკას. უკრაინის საჰაერო სივრცეში, როგორც საკუთარში, ისე დაფრინავენ ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენები რუსეთის საზღვრიდან, სულ რაღაც, 15 კილომეტრში. ამ აშკარად დასაშინებელ სამხედრო აქციას რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ბელარუსის არმიასთან ერთად დასავლეთ საზღვრებთან ჩაატარა სრულმასშტაბიანი სამხედრო სწავლება „სლავური ძმობის“ სახელწოდებით და, რადგან ხსენებულ სწავლებებს პირობითად თუ შეიძლება „სლავური ძმობა“ ვუწოდოთ (სლავები რუსებსა და ბელარუსებთან ერთად არიან უკრაინელები, პოლონელები, სლოვაკები და ა.შ.), გამოჩნდა იდეა, ხსენებულ სწავლებებს, სლავური კი არა, „მართლმადიდებელთა ძმობის“ სწავლებები დაერქვას, რომლის მონაწილე, ჩვენს ქოც-ნაცთა ხელისუფლებას ჭკუა რომ ჰქონდეს, საქართველოც შეიძლებოდა ყოფილიყო. თუმცა, **რომელ ჭკუაზეა ლაპარაკი, როდესაც აშშ-ის ელჩის დაუკითხავად ქოც-ნაცებს ჩაიც ვერ დაულევიათ და, მართლმადიდებელთა ძმობა კი არა, საკუთარ ტერიტორიაზე ნატოსთან ერთად სახიფათო სწავლებით ყელყელაობენ; სახიფათო, რადგან რუსეთის შეტევაზე გადასვლა პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლის აღდგენასაც გულისხმობს. ამიერ და იმიერკავკასიაში დედის წინ მორბენალი კვიცის როლს საქართველოს ათამაშებენ და, თუ ჭკუით არ ვიქნებით, ასეთ კვიცს რომ ჭამენ, კარგად ვიცით ყველამ.**

**დავით მხეიძე**

**P.S.** **შინაური ლიბერასტებისგან ხშირად მსმენია საყვედურის ტონით ნათქვამი: რუსები ჩვენი გადარჩენის სანაცვლოდ, მხოლოდ ცეკვა-სიმღერას ითხოვდნენ და საქართველო ერთ დიდ რესტორნად აქციესო, რაც მტკნარი სიცრუეა, რადგან საქართველოში მეცნიერება, სპორტი, კულტურა და მრეწველობა თუ სოფლის მეურნეობა არასდროს არ ყოფილა ისე აყვავებული, როგორც რუსეთის ორივე (ცარისტულ და კომუნისტურ) იმპერიაში ორი ერთმორწმუნე ერის თანაცხოვრებისას. მინსკის ქუჩებში უკვე გამოჩნდნენ ლგბტ დროშებით შეიარაღებული „ოპოზიციონერები“, რომლებსაც, მათი დასავლელი პატრონების დარად, მხოლოდ უხეში ძალის ენა ესმით, რომელსაც, მიუხედავად ევროპარლამენტის პროტესტისა, ალექსანდრე ლუკაშენკო არ აკლებს, რადგან „ბატკას“ მარცხი ლიბერასტების გამარჯვებას ნიშნავს, ხოლო მათი გამარჯვება — მართლმადიდებლობა, მხოლოდ წინ და მხოლოდ შეტევაზე!**

**როგორც დიდი სტალინი ამბობდა, არც ერთი ნაბიჯით უკან! ჩვენ უკან გმირი წინაპრების საფლავებია და ჩვენი შვილების მომავალი.**

ეროვნული ვალუტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სულ რაღაც 20-30 მილიონი დოლარია თურმე საჭირო, ლარი რომ არ გაუფასურდეს. სახელმწიფოს ეკონომიკა 20-30 მილიონ დოლარზეა ჩამოკიდებული; თანხაზე, რომელიც, სახელმწიფოს მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ისეთი უმნიშვნელოა, სხვა ქვეყანას რომ ვუთხრათ, შეიძლება არც დაგვიჯეროს. მიახლოებით მაინც თუ ხვდებით, ბატონებო, რომ ერი ისეა გაღარიბებული, ეს 30 მილიონი დოლარი (მაქსიმუმი ავიღოთ) მოსახლეობაზე რომ გადაანაწილოთ, თითო ადამიანს 8 დოლარი უწევს. თითო მოსახლეს 8 დოლარი რომ ჰქონდეს (ოჯახს — დაახლოებით 30 დოლარი), ლარის კურსი სტაბილური იქნება, მაგრამ ეს 30 დოლარია სწორედ პრობლემა და აუხდენელი ოცნება.**

# თავისუფალ ცურვაში მიშვებული ლარი როდის ჩაყვინთავს სამუდამოდ, კაცმა არ იცის

## თურმე ჩვენ რეგიონში ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ოღონდ ყველაზე ღარიბები ვართ

**კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნების გათვალისწინებით, დიდი ალბათობით, ნათია თურნავა იქნება მოქმედი მთავრობის ბოლო მინისტრი, რომელიც პარლამენტში მივიდა. ლარის გაუფასურებისა და ეკონომიკის პრაქტიკულად განადგურების ფონზე, მინისტრის მოსმენა საინტერესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ქალბატონმა ნათიამ, პრაქტიკულად, არაფერზე ისაუბრა და კონკრეტული არაფერი თქვა, რაც მომავლის იმედს მოგვცემდა. მთავარი თემით, ლარის გაუფასურებით, დავიწყოთ, რადგან ეს ყველას გვეხება და, რაც უნდა მოხდეს, უმთავრესი სწორედ ის არის, რამდენად მსყიდველუნარიანია ვალუტა, რომელსაც ასე წვალებითა და ოფლით შოულობს ერი.**

ბოლო კვირის განმავლობაში ლარი ისევ გაიქცა და მისი გამჩერებელი ჯერ არ ჩანს. ნათია თურნავას თუ დავუჯერებთ, თურმე ეროვნულ ბანკს აქვს ყველა ბერკეტი, ლარის გაუფასურება გააჩეროს. აი, იმ კანომდებლებს მინდა ვკითხო, რომელთაგან ზოგი ტაშს უკრავდა მინისტრს, ზოგი კი ვითომ აკრიტიკებდა — რატომ არც ერთმა არ ჰკითხეთ: **თუ ეროვნულ ბანკს აქვს ეს ბერკეტი და მშვიდად უნდა ვიყოთ, რატომ არ აამოქმედა, რას ელოდება? ყოველდღიური გაუფასურების რეჟიმში ხომ შეიძლებოდა, ეროვნული ბანკი ჩარეულიყო და შეეჩერებინა?** მაგრამ არა, ვალუტის კურსის თამაშისას სხვები ერთ ადგილს ათამაშებენ და დიდ ფულს შოულობენ, შემდეგ საქმეში ერთვება ეროვნული ბანკი, მაგალითად, 10 პუნქტით გაქცეულ ვალუტას, 2-3 პუნქტით ამყარებს და გვიხარია. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, **ამ ყველაფერს მივეჩვიეთ და მოსახლეობას რეაქციაც აღარ აქვს. გაუფასურდა ლარი? — მერე რა, ასე ხდება. გაძვირდა პროდუქტი? — აბა, როგორ გინდათ, ლარი ხომ გაუფასურდა?! რეგიონში მხოლოდ ჩვენთან რომ ხდება ვალუტის ასეთი მკვეთრი რყევა და თურქეთში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში რომ არ ხდება არაფერი, რისი ბრალია?** ეგ იმიტომ, რომ რუსეთში **პუტინია,** აზერბაიჯანში — **ალიევი,** თურქეთში — **ერდოღანი** და ხომ იცით, ისინი დიქტატორები არიან და ხალხს აშინებენ. აი, სომხეთში დემოკრატიაა, **ფაშინიანს** საერთაშორისო ორგანიზაციები ეხმარებიან და უჭირავთ დრამი... ჰო, ასეთი ახსნები არცთუ იშვიათია კულუარულად და თან იმასაც ამბობენ, სააკაშვილის პერიოდში იმიტომ არ თამაშობდა ლარი, ისიც დიქტატორი იყოო. ამ ლოგიკით, გამოდის, რომ თურმე **ჩვენ რეგიონში ყველაზე დემოკრატიულ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ოღონდ ყველაზე ღარიბები ვართ.**

არადა, პარლამენტში თურნავას მისვლამდე „ვისოლი ჯგუფის" ხელმძღვანელმა **ლევან ფხაკაძემ** განაცხადა: მხოლოდ ეროვნული ბანკის ინტერვენციები ლარს ვერ დაიჭერს, დროებითი მოვლენაა და გრძელვადიან პერსპექტივაში დამღუპველიაო. ფხაკაძემ ისიც თქვა, თუ უცხოური ინვესტიციები არ შემოვა, თუ რაღაცის წარმოებას არ დავიწყებთ, იმპორტისა და ექსპორტის სალდო თუ არ გათანაბრდება, ვალუტას არაფერი ეშველებაო. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ **ცნობილი ბიზნესმენის ფრთხილ, მაგრამ აშკარად რეალისტურ განცხადებას ლამის ყველა ექსპერტი და ეკონომიკის მინისტრიც კი დაეთანხმა, მაგრამ ეს ერთი კვირის წინათ იყო. ერთი კვირის შემდეგ კი აქცენტი ისევ იმაზე გაკეთდა, რომ ეროვნული ბანკის ხელშია ლარის სიმყარე.** სასაცილო თუ სატირალი, იცით, რა არის? სულ რაღაც **20-30 მილიონი დოლარია თურმე საჭირო, რომ ლარი არ გაუფასურდეს. სახელმწიფოს ეკონომიკა 20-30 მილიონ დოლარზეა ჩამოკიდებული;** თანხაზე, რომელიც, სახელმწიფოს მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, ისეთი უმნიშვნელოა, სხვა ქვეყანას რომ ვუთხრათ, შეიძლება არც დაგვიჯეროს. **მიახლოებით მაინც თუ ხვდებით, ბატონებო, რომ ერი ისეა გაღარიბებული, ეს 30 მილიონი დოლარი (მაქსიმუმი ავიღოთ) მოსახლეობაზე რომ გადაანაწილოთ, თითო ადამიანს 8 დოლარი უწევს. თითო მოსახლეს 8 დოლარი რომ ჰქონდეს (ოჯახს დაახლოებით 30 დოლარი, ანუ 100 ლარიც არა), ლარის კურსი სტაბილური იქნება, მაგრამ ეს 30 დოლარია სწორედ პრობლემა და აუხდენელი ოცნება.**

აბა, როგორ არ უნდა ვთქვათ, რომ დასავლეთის სურვილების ასრულების სანაცვლოდ, ქვეყანა ყოველდღიურად ვითომ დემოკრატიის განვითარებისთვის სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტიდან თუ საერთაშორისო ორგანიზაციიდან ყოველწლიურად დაახლოებით 150 მილიონ დოლარს იღებს სუფთა დახმარების სახით. რეგიონში ყველაზე დემოკრატიულები რომ ვართ, უკვე დამტკიცებული გვქონია და არ შეიძლება, ეს თანხა რამე პროექტის განხორციელებისთვის მოგვცენ? წელიწადში 4-5 აფეთქება რომ აქვს ლარს, ჰყოფნის ეს ფული 30-30 მილიონად დანაწევრებული. მაგრამ არა, **ასეთ შემთხვევაში, სტაბილურობის განცდა გაჩნდება, ასეთ შემთხვევაში ხომ შეიძლება ლარის კურსის თამაში დაგვავიწყდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა, შესაძლოა, რაღაც გათვლები გააკეთონ, ცოტა ფული გადადონ და, რაც მთავარია, გადადონ ეროვნული ვალუტა.** ეს ცუდია, რადგან მერე ხომ აღარ ვიქნებით მათხოვრები და, როცა ცოტა სიძლიერეს ვიგრძნობთ, სხვა რაღაცებიც მოგვინდება — ნამდვილი დემოკრატია, უკეთესი ცხოვრება. ასე კი, ყოველდღიურად მხოლოდ საშოვარზე ვართ გადაგებულნი და ყოველდღიურ პურის ფულზე გვიწევს ზრუნვა.

> **რეგიონში ყველაზე დემოკრატიულები რომ ვართ, უკვე დამტკიცებული გვქონია და არ შეიძლება, ეს თანხა რამე პროექტის განხორციელებისთვის მოგვცენ? წელიწადში 4-5 აფეთქება რომ აქვს ლარს, ჰყოფნის ეს ფული 30-30 მილიონად დანაწევრებული. მაგრამ არა, ასეთ შემთხვევაში, სტაბილურობის განცდა გაჩნდება, ასეთ შემთხვევაში ხომ შეიძლება ლარის კურსის თამაში დაგვავიწყდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა, შესაძლოა, რაღაც გათვლები გააკეთონ, ცოტა ფული გადადონ და, რაც მთავარია, გადადონ ეროვნული ვალუტა. ეს ცუდია, რადგან მერე ხომ აღარ ვიქნებით მათხოვრები და, როცა ცოტა სიძლიერეს ვიგრძნობთ, სხვა რაღაცებიც მოგვინდება — ნამდვილი დემოკრატია, უკეთესი ცხოვრება. ასე კი, ყოველდღიურად მხოლოდ საშოვარზე ვართ გადაგებულნი და ყოველდღიურ პურის ფულზე გვიწევს ზრუნვა**



სხვა საკითხია, **რატომ გვიმტკიცებს ეკონომიკის მინისტრი, რომ ეროვნული ბანკია ყველაფრის წამალი, მაშინ, როცა ზუსტად იცის, რომ ეს არის დროებითი და, რაც მთავარია, გრძელვადიან პერსპექტივაში საზიანოც კი. არადა, ბოლო წლებია, ყოველთვის ამას ვაკეთებთ — უფასურდება ლარი, ეროვნულ ბანკს გამოაქვს გასაყიდად დოლარი და შემდეგ ყველას ერთად გვიხარია. გვიხარია ის, რაც რეალურად, სასიხარულო კი არა, საქართველოს ეკონომიკისთვის მომაკვდინებელია.**

მწარე რეალობაა, მაგრამ ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული, რომ მოგვანიჭეს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი, ამ იარლიყს ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი. არადა, სწორედ ესაა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იმისა, რომ წინ ვერ მივდივართ. განვითარებად ქვეყნებს აკრძალული აქვთ კონკრეტულ კვოტაზე მეტი პროდუქციის წარმოება და გატანა, ანუ მუდმივად ერთ წრეზე უნდა იტრიალონ, სანამ ან ისე არ დაიწყებენ წარმოებას, რომ ჭარბი ოდენობის პროდუქტი, უბრალოდ, ველარსად დაეტევა, ან სანამ დასავლელი პარტნიორები არ გამოიჩენენ კეთილ ნებას და არ იტყვიან, რომ განვითარებადი ქვეყანა განვითარდა და მათ გვერდით ტოლ-სწორად უნდა იდგეს. შესაბამისად, **მხოლოდ ჰაერზე ნათქვამი სიტყვებია, რომ თურმე ევროპული ქვეყნებისთვის უმნიშვნელოვანესი პარტნიორი, მათი ტოლი და სწორი ვართ. აქამდეც გვითქვამს და კიდევ ვიტყვით, რომ დასავლეთს საქართველო სტრატეგიული მდებარეობის გამო აინტერესებს, თორემ ჩვენზე კარგად იციან, რას წარმოადგენს ქვეყანა, რომლის ფულის სტაბილურობა 30 მლნ დოლარის ბაზარზე ჩაშვებაზე რომ არის დამოკიდებული.** დასავლეთმა კარგად იცის, რომ ჩვენს ეკონომიკაში დომინანტის როლის სათამაშოდ, ეროვნულ ვალუტაზე გავლენის მოსახდენად, სულ რაღაც, 30 მილიონია საჭირო და ამაზე მეტ თანხას თუ გაიმეტებს, საერთოდ, თავდაყირა დააყენებენ ყველაფერს. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ **2003 წელს, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ყველაფერი გვიკვირდა და გვიხაროდა, რადგან ამ მცირე თანხით მოახერხეს ეკონომიკის ამოყირავება, ილუზიის შექმნა, რომ წინ მივდიოდით და, როგორ მივდიოდით, წლების შემდეგ გამოჩნდა.** ზუსტად ისე გამოჩნდა, როგორც წლების შემდეგ გამოჩნდება, რომ თურმე ახლაც ერთ ადგილს ვტკეპნით. სხვა საკითხია, ვტკეპნით თუ გვატკეპნინებენ, მაგრამ ფაქტია, რომ **ქვეყანას, აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია, არ ეშველა და შველის პერსპექტივა არც სამომავლოდ ჩანს.**

წესითა და რიგით, რამდენიმე თვეში ახალი მთავრობა გვეყოლება, თუმცა, ამ გადასახედიდან ისე ჩანს, რომ აზრი არ აქვს, ვინ იქნებიან ეკონომიკის, ფინანსთა და განათლების მინისტრები, იმიტომ, რომ ამ სამ სფეროს ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, ჩვენ ვერაფერს ვაკეთებთ და ვქმნით. განათლების ყველა მინისტრმა დაიწყო რეფორმები და ბოლომდე ვერ მიიყვანა, რადგან ჩანასახშივე გამოჩნდა, რომ არ გაამართლებდა. ფინანსთა ყველა მინისტრი ცდილობდა, ლარის ავადმყოფობის რამე გაეგო და, ვინც გაიგო, ხმამაღლა ვერ თქვა, იმიტომ, რომ თანამდებობას დაკარგავდა, აი, ეკონომიკას კი დასავლეთი გვისაზღვრავს — რომელ წელს რამდენპროცენტიანი ზრდა უნდა გვქონდეს და მერე რა, რომ ეს პროცენტები ხალხზე არ აისახება. მთავარია, ფურცელზე ეწეროს; მთავარია, დანარჩენ მსოფლიოს ეს ფურცელი ვუფრიალოთ და ვიძახოთ, რომ წინ მივიწევთ და, რეალურად რა ხდება, ვის აინტერესებს. ამიტომაცაა, განათლების დონემ რომ იკლო ჩვენთან, ეკონომიკა, უბრალოდ, აღარ გვაქვს, ეროვნული ვალუტა კი... **თავისუფალ ცურვაშია ლარი და, როდის ჩაყვინთავს სამუდამოდ, კაცმა არ იცის.**

**ბესო ბარბაქაძე**

**პრეზიდენტი კენედი აცნობიერებდა საფრთხეს და ამბობდა, რომ აპირებს, „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დაშალოს ათას ნაწილად“, მაგრამ მათ დაასწრეს და მოკლეს აშშ-ის პრეზიდენტი. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს შეეძლო, ტრამპიც მოეკლა, მაგრამ „მარტოხელა მკვლელი“ ძალიან ხშირად იყო გამოყენებული, ამიტომ გადაწყვიტეს, ტრამპი სხვა გზით მოიშორონ.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პოლ კრეიგ რობერტსი: ორი თვის შემდეგ აშშ-ში შეიძლება რევოლუცია დაიწყოს

**აშშ-სა და მის კონსტიტუციას ორი თვე დარჩა, შემდეგ ქვეყანაში დაიწყება „ფერადი რევოლუცია“, — წერს თავის ბლოგში ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური და ეკონომიკური მიმომხილველი, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ადმინისტრაციაში აშშ-ის ფინანსთა მინისტრის თანაშემწე — პოლ კრეიგ რობერტსი.**


პოლ კრეიგ რობერტსი

აშშ-ში ერთ-ერთმა წამყვანმა გამომძიებელმა ჟურნალისტმა, გაზეთ The Washington Post-ის რედაქტორმა **ბობ ვუდვორდმა** განაცხადა, რომ პენტაგონის ყოფილმა ხელმძღვანელმა, გენერალმა **ჯეიმს მეტისმა** და ეროვნული დაზვერვის ყოფილმა დირექტორმა **დენ კოუტსმა** (ორივე 2019 წელს დაითხოვა აშშ-ის პრეზიდენტმა) იმსჯელეს თანამდებობიდან დონალდ ტრამპის გადაყენების „კოლექტიურ ქმედებაზე“.

„ტრამპი სახიფათოა, ის უვარგისია“, — განაცხადა მეტისმა. ასე ლაპარაკობდნენ პენტაგონისა და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში პრეზიდენტ **ჯონ კენედიზეც.**

**როდესაც ისინი ამბობენ, პრეზიდენტი სახიფათოაო, გულისხმობენ, რომ ის სახიფათოა მათი პირადი ბიუჯეტისთვის. „უსარგებლობაში“ კი ისინი გულისხმობენ იმას, რომ ომის მომხრე არ არის, შესაბამისად, არ მოუმატებს თავდაცვისა და უსაფრთხოების ხარჯებს. მათ ეს არ სურთ, რადგან ილვწიან სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებისთვის და არა თავიანთი ქვეყნის კეთილდღეობისთვის.** ტრამპს, ისევე როგორც კენედის, სურს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება და ამერიკელი სამხედროების შინ დაბრუნება.

კენედი ვერ შეაჩერეს და ამიტომ მოკლეს. ტრამპის შესაჩერებლად შეთითხნეს რაშაგეიტი უამრავი დაუსაბუთებელი და დაუმტკიცებელი ბრალდებით, შემდეგ კი შეეცადნენ იმპიჩმენტს, მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელი იყო.

ტრამპის წინააღმდეგ ახლა „ფერადი რევოლუციის“ აგორებას ცდილობენ 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ნოემბერში. ჩვენ მივაღწევთ ქვეყნის დაშლის წერტილს, თუმცა ეს ბევრს არ სჯერა.

**ამერიკულ და ევროპულ მედიასაშუალებებს, უკვე დიდი ხანია, აკონტროლებს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. გაზეთები, ტელეარხები, ვებგვერდები არ აწვდიან მოსახლეობას რეალურ ახალ ამბებს. ისინი გადასცემენ „სიღრმისეული სახელმწიფოსთვის“ საჭირო ინფორმაციას, რათა რეალობამ ხელი არ შეუშალოს დღის წესრიგს.**

**კენედი ვერ შეაჩერეს და ამიტომ მოკლეს. ტრამპის შესაჩერებლად შეთითხნეს რაშაგეიტი უამრავი დაუსაბუთებელი და დაუმტკიცებელი ბრალდებით, შემდეგ კი შეეცადნენ იმპიჩმენტს, მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელი იყო. ტრამპის წინააღმდეგ ახლა «ფერადი რევოლუციის» აგორებას ცდილობენ 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ნოემბერში. ჩვენ მივაღწევთ ქვეყნის დაშლის წერტილს, თუმცა ეს ბევრს არ სჯერა**



არსებობს ორი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო: პირველი — ეს არის ყველასთვის ცნობილი სამმართველო, რომელიც მეტ-ნაკლებად ობიექტურ ინფორმაციას აწვდის პოლიტიკოსებს, მეორე — საიდუმლო ოპერაციების სამმართველო, რომელიც კლავს ადამიანებს და ამხობს მათთვის მიუღებელ მთავრობებს.

პრეზიდენტი კენედი აცნობიერებდა საფრთხეს და ამბობდა, რომ აპირებს, „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დაშალოს ათას ნაწილად“, მაგრამ მათ დაასწრეს და მოკლეს აშშ-ის პრეზიდენტი. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს შეეძლო ტრამპიც მოეკლა, მაგრამ „მარტოხელა მკვლელი“ ძალიან ხშირად იყო გამოყენებული, ამიტომ გადაწყვიტეს, ტრამპი სხვა გზით მოიშორონ.

მას შემდეგ, რაც ცენტრალური სამმართველო ტრამპს დაამხობს, რასებს შორის ომის გასაღვივებლად გამოიყენებს მოძრაობა „ანტიფას“ და Black Lives Matter-ს, ამის შემდეგ მოსახლეობა სრულიად დაემორჩილება ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, აშშ-ში ხომ მატყუარებს უფრო ენდობიან, ვიდრე სიმართლის მთქმელებს.

**topcor.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# ტრამპის თანაშემწე: არჩევნები ცხელი იქნება, მოიმარაგეთ იარაღი!


მაიკლ კაპუტო

**აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის თანაშემწემ ჯანდაცვის საკითხებში — მაიკლ კაპუტომ მეცნიერები სახელმწიფო მეთაურის წინააღმდეგ შეთქმულებაში დაადანაშაულა და პრეზიდენტის მომხრეებს შეიარაღებისკენ მოუწოდა, რადგან ტრამპის კონკურენტი ჯო ბაიდენი დამარცხებას არ აღიარებს, — იუწყება The New York Times-ი.**

კაპუტომ ვიდეოში, რომელიც „ფეისბუკში“ გამოაქვეყნა, დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრი დაადანაშაულა, რომ იქ იმალება წინააღმდეგობის რაზმი, რომელიც მოწოდებულია ტრამპის დისკრედიტაციისთვის, თუნდაც ამ პოზიციამ გამოიწვიოს კოვიდ-19-ის მსხვერპლთა რაოდენობის მატება.

„მთავრობისთვის მომუშავე მეცნიერებში არიან ისეთები, რომლებსაც არ სურთ, ამერიკაში ვითარება გამოსწორდეს მანამ, სანამ **ჯო ბაიდენი** პრეზიდენტი არ გახდება. **ადამიანების გადასარჩენად ხელი არ გაანძრიო იმიტომ, რომ მოიპოვო პრეზიდენტის შეცვლის შესაძლებლობა, მძიმე ცოდვაა“,** — განაცხადა კაპუტომ და დასძინა, რომ ყველა, ვინც ამ შეთქმულებაში მონაწილეობს, „ჯოჯოხეთში მოხვდება“. კაპუტომ, აგრეთვე, გააფრთხილა ტრამპის მომხრეები, რომ ისინი მზად უნდა იყვნენ შეიარაღებული აჯანყებისთვის, რადგან ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში დემოკრატების კანდიდატი **ჯო ბაიდენი** უარს იტყვის არჩევნების შედეგების აღიარებაზე.

„როცა ინაუგურაციის მომენტი დადგება და ტრამპი უარს იტყვის გადადგომაზე, ატყდება სროლა. და, თუ არ გაქვთ იარაღი, ქალბატონებო და ბატონებო, იყიდეთ; თუ გაქვთ, მოიმარაგეთ ვაზნები, რადგან მერე მისი შოვნა გაგიჭირდებათ“, — გააფრთხილა კაპუტომ ტრამპის მომხრეები.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**



პოლონეთი ლგბტ-სგან თავისუფალი ტერიტორიებით

# ულტიმატუმი პოლონეთს: ევროკავშირში არ უნდა იყოს სქესობრივი გარყვნილებისგან თავისუფალი ზონები!


ურსულა ფონ დერ ლაიენი

## პოლონეთს რეპრესიებით ემუქრებიან

**ევროკომისიის ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ „ევროკავშირში არ უნდა იყოს ლგბტ-ისგან თავისუფალი ზონები“. ეს, რა თქმა უნდა, ულტიმატუმია პოლონეთის მიმართ, სადაც 2019 წლიდან რიგ ვოევოდებსა და ქალაქებში ოფიციალურად აიკრძალა სქესობრივი გადახრების პროპაგანდა. ევროკავშირის ბოლო გაფრთხილება შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ პოლონეთი თავისი პოზიციისთვის შეიძლება დაისაჯოს — დაკარგოს ფინანსური დახმარება.**

ურსულა ფონ დერ ლაიენმა 16 სექტემბერს განაცხადა, რომ სტრუქტურა, რომელსაც ხელმძღვანელობს, მალე წარმოადგენს „იმ პირების უფლებების დაცვის სტრატეგიას, რომლებიც სექსუალურ უმცირესობას მიეკუთვნებიან“.

**„მინდა, შემოვიტანო სიცხადე: ლგბტ-ისგან თავისუფალი ზონები — ეს არის ჰუმანისტური ფასეულობებისგან თავისუფალი ზონები. ასეთი ზონები არ უნდა იყოს ჩვენს ევროპულ კავშირში“,** — განაცხადა ფონ დერ ლაიენმა ევროპარლამენტში გამოსვლისას.

ივლისში გამართულ ევროკავშირის სამიტზე ბრიუსელმა ოფიციალურ ვარშავას პირობა წაუყენა — კრედიტს მისცემდა მხოლოდ „კანონის უზენაესობის“ დაცვის შემთხვევაში. პოლიტოლოგებმა მაშინვე ივარაუდეს, რომ ევროკავშირი „კანონის უზენაესობის დაცვაში“ გულისხმობდა პოლონეთს მხრიდან „მწვანე შუქის“ ანთებას სექსუალური გადახრების პროპაგანდისთვის, უწინარესად — სკოლებში.

„ეს მექანიზმი რეპრესიებია ევროკავშირის მხრიდან“, — ასე შეაფასა პოლონური მოძრაობა „რუხ ნაროდოვის“ წევრმა **მიხეილ ვავერმა** ევროკავშირის გადაწყვეტილება.

ამ ამბების პარალელურად, რამდენიმე დღის წინათ სკანდალური ინციდენტი მოხდა პოლონურ მედიასივრცეში. ცნობილმა პოლონელმა რადიოჟურნალისტმა, RMF FM-ის მიმომხილველმა **რობერტ მაზურეკმა** ინტერვიუ შეწყვიტა პარტია „ლევიტას“ ლიდერ **კშიშტოფ გავკოვსკისთან** იმის გამო, რომ პოლიტიკოსმა პოლონეთში ჰომოსექსუალების დევნა მეორე მსოფლიო ომში ფაშისტების მიერ ებრაელთა რეპრესიებს შეადარა და ასე დაუჭირა მხარი ევროპარლამენტში პოლონელ დეპუტატს, ჰომოსექსუალ **რობერტ ბიედრონს.** მისმა ნათქვამმა აღაშფოთა რობერტ მაზურეკი, რომელმაც განაცხადა, რომ ებრაელების დევნის შედარება „არაჰეტერონორმატიულ ადამიანებთან, უბრალოდ, საშინელება და საზიზღრობაა“.

„როგორ შეგიძლიათ, ასეთი რამ თქვათ? თქვენ ფიქრობთ, რომ გეებს ყრიან ბინებიდან, ათავსებენ საკონცენტრაციო ბანაკებში, მათთვის ქმნიან გეტოებს? ეს ყველაფერი იყო მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე“, — განუცხადა მაზურეკმა გავკოვსკის და ინტერვიუ შეწყვიტა.

**Ru-an.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინმა რევოლუციურად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკა, სამართალი და საზოგადოების მორალური კოდექსი. შესაბამისად, ბოლო მოუღო კლასობრივ სამართალს, კლასობრივ ეკონომიკასა და უზნეობის თავისუფლებას. დედამიწის საბჭოთა ნაწილში აღკვეთა რეაქციული კერძო საკუთრების მონოპოლია. ამით დაამტკიცა, რომ კლასობრივი საზოგადოების, ანუ კერძო საკუთრების მონოპოლიის შეუცვლელობის თეორია ფარსია.**

„ცოცხლების მოსაშველებლად
მკვდრებიდან გამოყოფილნი“
ვაჟა

# სტალინი სამ განზომილებაში



«საბჭოთა სოციალისტური ქვეყნის კონსტიტუცია, ღარიბთა და გაჭირვებულთადმი თანადგომით, მშრომელთა დაპურებისა და ჯანმრთელობაზე ზრუნვით, უბრალო ადამიანის სრული სოციალური თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით სრულად უპასუხებს იმ უკეთილშობილეს მოძღვრებას, რომელიც ქრისტემ იქადაგა. ასე რომ, ვერც ერთი ქვეყნის კონსტიტუცია ახლოს ვერ მივა საბჭოთა სოციალისტურ კონსტიტუციასთან. მანამდელი კონსტიტუციები — ეს არის კაპიტალისტური ქვეყნის კონსტიტუციები, რომლებიც ცარიელ ადგილად თვლის უქონელსა და გაჭირვებულ ადამიანს. ეს კონსტიტუციები მესაკუთრეებისაა, შეძლებული უმცირესობის კეთილდღეობისა და ფუფუნებისთვის შექმნილი»

**თემას, რომელსაც ვიწყებ, არ ვიცი, როდის დავამთავრებ. დღეს ცხოვრება აჩქარებულია და მკითხველს არ რჩება დრო, ვრცლად მიმოიხილოს მოვლენები, ამიტომ შევეცდები, მოკლედ მოგაწოდოთ თქვენთვის საინტერესო ფაქტები. უწინარესად, უნდა განვიხილოთ სტალინი მეორე განზომილებაში, რომელშიც უწევდა მოღვაწეობა, მერე განვიხილავთ პირველ განზომილებას — წარსულს, საიდანაც შემოვიდა კვლევის ობიექტი მეორე განზომილებაში და დავასრულებ მესამე განზომილებით — მომავლით, რომელშიაც განიბნა სტალინი.**

სტალინს სიკვდილი არ უწერია. ზოგიერთ ტვინდაბერებულ ჭკვიან კაცს მიაჩნია, რომ სტალინური ეპოქა დამთავრდა და მას არავინ გაიხსენებს და აღადგენს. რას ნიშნავს სტალინის აღდგენა-რეაბილიტაცია? სტალინი ბუნების მოვლენაა და ის არც აღდგენას ექვემდებარება და არც რეაბილიტაციას. როგორ უნდა დააზიანო ჭექა-ქუხილი ან ჩაუტარო მას რეაბილიტაცია? როგორ უნდა შეაჩერო მყინვარის დნობა ან გამყინვარება? როგორ უნდა შეაჩერო მზის ამოსვლა ან ჩასვლა? ესენი ბუნებრივი მოვლენებია და იარსებებს მანამ, სანამ პლანეტა იარსებებს. ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა ბუნებრივი მოვლენების დაზიანება-რეაბილიტაციაზე, არამედ ბუნების მოვლენების სწორ შეფასებასა და გამოცნობაზე.

## სტალინი – ქვეყნის შემოქმედი

ვინ უნდა გამოიკვლიოს სტალინი — ბუნებისა და ადამიანთა მოდგმის ეს განსაკუთრებული მოვლენა? — ქართველმა მკვლევარმა. არის კი ადამიანი, რომელსაც შესწევს ამისი ძალა, ცოდნა, შეუპოვრობა და გამბედაობა? — არის! მაგრამ ის ამ საქმეს ჯერ არ შესდგომია. დიდ მოვლენას ყოველთვის ჰყავს დიდი ჟამთაალმწერელი. თუ ის დღეს არ არის, ხვალ იქნება. ისტორიას, როგორც მატერიას, საზღვრები არ აქვს. აწ განსვენებულმა პროფესორმა **ვახტანგ გოგუაძემ** სიკვდილის წინ თავის წიგნის სასიგნალო ეგზემპლარს, რომელიც მე მომიძღვნა, შემდეგი შინაარსის სიტყვები წააწერა:

**„ბატონ
გრიგოლ ონიანს!**

**დიდად დასაფასებელი კაცი ხართ. ისტორია არ დაივიწყებს თქვენს ალღოს, ნებისყოფას, სიკეთის სიყვარულს, დიადის სიყვარულის ძალას. მე ცხოვრებაშო ორ კაცს მოვუხადე ბოდიში — სტალინსა და გრიშა ონიანს. ჩვენ ისევ სტალინი თუ მოგვხედავს. მისი სახელი, მოძღვრება უდიადესი იხსნის ჩვენს ხალხს. რომელმა ერმა მისცა კაცობრიობას მსგავსი ფენომენი — ღმერთზე ნაკლები და კაცზე მეტი. ქრისტესმიერი, სტალინისეული სიყვარულით,**

**ვახტანგ გოგუაძე
25.02. 07.“**

ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ თავის წიგნში „სტალინი და საშინელი სამსჯავრო“, მოგვცა განმარტება სტალინური კონსტიტუციისა და პარალელიც გაავლო „ახალ აღთქმასთან“. უფრო გასაგები რომ იყოს მკითხველისთვის, როგორ აქვს წარმოდგენილი ბატონ ვახტანგს ეს პარალელი, ტექსტს უცვლელად წარმოგიდგენთ:

**„მსოფლიოს ვერც ერთი კონსტიტუცია, პირველ ყოვლისა, მხედველობაში მაქვს დასავლეთის ცივილიზაცია, ახლოს ვერ მივა ბიბლიასთან, ანუ საღვთო კონსტიტუციასთან. მეტიც: საბჭოთა სოციალისტური ქვეყნის კონსტიტუცია, ღარიბთა და გაჭირვებულთადმი თანადგომით, მშრომელთა დაპურებისა და ჯანმრთელობაზე ზრუნვით, უბრალო ადამიანის სრული სოციალური თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით სრულად უპასუხებს იმ უკეთილშობილეს მოძღვრებას, რომელიც ქრისტემ იქადაგა. ასე რომ, ვერც ერთი ქვეყნის კონსტიტუცია ახლოს ვერ მივა საბჭოთა სოციალისტურ კონსტიტუციასთან. მანამდელი კონსტიტუციები — ეს არის კაპიტალისტური ქვეყნის კონსტიტუციები, რომლებიც ცარიელ ადგილად თვლის უქონელსა და გაჭირვებულ ადამიანს. ეს კონსტიტუციები მესაკუთრეებისაა, შეძლებული უმცირესობის კეთილდღეობისა და ფუფუნებისთვის შექმნილი. ასეთ შემთხვევაში ზნეობაზე ლაპარაკის უფლებას არ მოგვცემს სახარება“.**

ქრესტომათიული „სიბრძნე“ თქვა საქართველოს პრეზიდენტმა 1997 წელს: „აბა, უფული და გატყვავებულ კაცს რა უნდა ხელისუფლებაში? ხელისუფლებაში მდიდარი ადამიანები უნდა მოვიდნენ“. ის კი არ თქვა, ხელისუფლებაში რა უნდა უზნეო ადამიანებს, ქურდებს, მძარცველებს, რომლებიც ხალხს ატყუებენო... ახლა კი ცხვირაწეული საქართველოს ცხვირის ჩამოშვების ჟამია. სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი ქართველი ხალხისთვის მხოლოდ ლიტერატურული პერსონაჟი როდია... მასზე იცინოდა ყველა მისი ავტორის ჩათვლით. და აი, ყოველგვარ ღირსებას მოკლებული მეჯღანუაშვილი ყველაფრის კადრების წყალობით შოულობს ფულს, მდიდრდება და უნდა ნახოთ, როგორ იქცევა თეატრში, კულტურულ გარემოში. დასცინით ხომ მეჯღანუაშვილს? მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში და დაიპყრო თუ არა საქართველო? დღეს საქართველო მეჯღანუაშვილებისაა, მათი იდეოლოგიაა გაბატონებული. ეს დაიმსახურა ჩვენმა ხალხმა.

**„ყოველი ხალხს ჰყავს ის ხელისუფლება, რომელსაც იმსახურებს“ (ჟოზეფ დე მესტრი).**

ჩავხედოთ სტალინურ კონსტიტუციას.

***120-ე მუხლი:** „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში, აგრეთვე, ავადმყოფობისა და შრომის უნარის შემთხვევაში. ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე მუშებისა და მომსახურეების სოციალური დაზღვევის ფართო განვითარებით, მშრომელთათვის უფასო სამედიცინო დახმარებით, მშრომელთა სარგებლობაში კურორტთა ფართო ქსელის გადაცემით.

*** 121-ე მუხლი:** საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უფასო შვიდწლიანი განათლებით, სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით უმაღლესი სკოლის მოსწავლეებისთვის, სკოლებში დედა ენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო, ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით“.

უახლესი ისტორიის ბრწყინვალე მკვლევარი, პროფესორი **ვახტანგ გურული** თავის გენიალურ გამოკვლევაში „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“ მიდის დასკვნამდე, რომ **„იოსებ სტალინი, როგორც მოაზროვნე და როგორც პოლიტიკური მოღვაწე, დიდხანს დარჩება შეუცნობელი ან ბოლომდე შეუცნობელი. სტალინის შესახებ დაწერილი ყველა ნაშრომი უეჭველად ამტკიცებს ერთ ჭეშმარიტებას: სტალინის ნააზრევისა და ნაღვაწის შეცნობა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება ... როგორც უნდა ვაფასებდეთ სტალინს, იგი უკვე ისტორიის კუთვნილებაა“.**

**ილია ჭავჭავაძის** მიმართ სტალინი განსაკუთრებულ ტაქტსა და თავშეკავებას იჩენდა. იგი არც 1901-1904 წლებში და არც შემდეგ პერიოდში ილიას წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში არ ჩაბმულა. ილიას მიერ ხელდასხმულ მოღვაწეს კარგად ესმოდა ერის მამის დამსახურება, მისი ადგილი საქართველოს ახალ ისტორიაში. სტალინი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის ევროპიზაცია შეუძლებელი გახლდათ. რუსეთი კიდევ დიდხანს დარჩებოდა თვითმყოფად, მხოლოდ რუსულ სახელმწიფოდ. რუსეთისთვის მიუღებელი იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების გარდაქმნა-განახლების ნებისმიერი თეორია, მათ შორის ევროპაში იმხანად ძალზე პოპულარული სოციალისტური დოქტრინა. რუსეთს განახლების თავისი ორიგინალური გზა უნდა ეპოვა. იოსებ სტალინის იდეური მოწინააღმდეგენი ნიჭიერი, ღრმად განსწავლული მოღვაწეები იყვნენ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებოდნენ. **იოსებ ჯუღაშვილი** კი განგებამ ჩვეულებრივი ადამიანებისგან გამოარჩია და დიდი და გამორჩეული მისია დააკისრა. რუსეთი მისი სამშობლო არ იყო. რუსეთი იყო ქვეყანა, რომელშიც მის ზებუნებრივ ნიჭსა და ენერგიას გასაქანი უნდა ეპოვა. **1917 წლის 25 ოქტომბრის დიდი გამარჯვება სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე რუსეთი ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერებამ მიიყვანა. პოლიტიკურ პარტიებს რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშიათ. ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკების პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს, არა ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს.** სტალინმა პირველმა აუხილა თვალი კაცობრიობას, დაუმტკიცა მაშინდელ მსოფლიოს, რომ მუშებსა და გლეხებს ჰქონდათ ამოუწურავი ინტელექტუალური პოტენციალი, ეს იმჟამინდელი კაცობრიობისათვის სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო. **სტალინმა რევოლუციურად შეცვალა ქვეყნის ეკონომიკა, სამართალი და საზოგადოების მორალური კოდექსი. შესაბამისად, ბოლო მოუღო კლასობრივ სამართალს, კლასობრივ ეკონომიკასა და უზნეობის თავისუფლებას. დედამიწის საბჭოთა ნაწილში აღკვეთა რეაქციული კერძო საკუთრების მონოპოლია. ამით დაამტკიცა, რომ კლასობრივი საზოგადოების, ანუ კერძო საკუთრების მონოპოლიის შეუცვლელობის თეორია ფარსია.** სტალინმა ათასი სხვა დოგმაც დაამსხვრია და უარყო, რაც ცალკე შესწავლის საგანია. ▶



**1917 წლის 25 ოქტომბრის დიდი გამარჯვება სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით, იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე რუსეთი ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერებამ მიიყვანა. პოლიტიკურ პარტიებს რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშიათ. ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკების პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს, არა ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «იოსებ სტალინი, როგორც მოაზროვნე და როგორც პოლიტიკური მოღვაწე, დიდხანს დარჩება შეუცნობელი ან ბოლომდე შეუცნობელი. სტალინის შესახებ დაწერილი ყველა ნაშრომი უეჭველად ამტკიცებს ერთ ჭეშმარიტებას: სტალინის ნააზრევისა და ნაღვაწის შეცნობა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება... როგორც უნდა ვაფასებდეთ სტალინს, იგი უკვე ისტორიის კუთვნილებაა»

◀ აქვე მოვიყვან თანამედროვე გეოპოლიტიკის არქიტექტორ **ჰენრი კისინჯერის** შეფასებას სტალინზე: „სტალინი დემოკრატიული ქვეყნების სხვა ლიდერებზე მეტად მზად იყო, ნებისმიერ დროს შესდგომოდა ძალთა თანაფარდობის ძირფესვიანად შესწავლას და რწმენით, რომ ის იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს; ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადული ინეტრესების ტვირთით“.

**რატომ არ იმძიმებდა თავს ფარისევლური მორალით სტალინი?** როგორც ირკვევა, სტალინი ორი ცხოვრებით ცხოვრობდა — პოლიტიკოსისა და რაინდი ქართველის (როგორც ამას დიდი ბრიტანეთის 64-ე პრემიერმინისტრი **ენტონი იდენი** შენიშნავს) ცხოვრებით. სტალინი, როგორც ბუნების აუხსნელი ფენომენი, მართალია როგორც ცხოვრებაში, ისე პოლიტიკაში. სწორედ სტალინურ პოლიტიკას უწოდეს მსოფლიოს უდიდესმა პოლიტიკოსებმა რეალპოლიტიკა. სტალინის რეალპოლიტიკაზე ქვემოთაც გვექნება საუბარი. სტალინის სიცოცხლეში დადგმული ძეგლები ისევ დგას და იდგება ცივილიზაციის დასასრულამდე. ესენია:

***1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია; *კოლექტივიზაცია; *ინდუსტრიალიზაცია; *მსოფლიოს გადარჩენა ხაკისფერი ჭირისაგან და *კოსმოსში გაჭრა.**

გადავიდეთ სტალინის პირველ განზომილებაში — **წარსულში.** სტალინის მტკიცე ხელი და ყოვლისმომცველი ხედვა აკონტროლებდა არა მხოლოდ თავის ეპოქას, არამედ წარსულსაც. წარსული მისთვის მტკიცე საფუძველი იყო ახლის ასაშენებლად. ამბობენ, სტალინი ქართველი იყო და რუსულ საქმეს აკეთებდაო, მაგრამ **საკითხავია, ვინ უფრო დიდი ქართველი იყო — სტალინი და ბერია, როდესაც ისინი კავკასიის დაცვის სტრატეგიულ გეგმას ადგენდნენ, თუ ნიკო ბაგრატიონი, რომელიც ცხრა მთას იქით, სამხრეთ აფრიკაში ბურებთან ერთად იბრძოდა და არ იცოდა რისთვის?**

ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველოში გვაქვს ნაპოლეონის ნიღაბი, სტალინის ნიღაბს კი დალეწვით ვემუქრებით და გვინდა, მისი ძეგლების ადგილას ჰიტლერისა და ტროცკის მემორიალები აღვმართოთ სტალინის მშობლიურ ქალაქ გორში. თბილისში კი უკვე დგას **რეიგანის, ალიევისა** და სხვათა ძეგლები... **აკაკი წერეთელი** სჭირდება საქართველოს ამჟამად, თუ მასაც პირი არ აქვს გამშრალი, ჩვენი ყოფის შემყურეს.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინი რუსი არ იყო, მიაჩნდა, რომ რუსეთის მუშათა კლასმა დაასრულა მისი აღზრდა და სიცოცხლე თავის აღმზრდელ და მხარდამჭერ რუს ხალხს დაუკავშირა, მაგრამ, როგორც ახლა, ამ გაჭირვების ჟამს საქართველოს მოსახლეობა იკვებება რუსეთიდან და იქ დასაქმებული ქართველების ჯიბეებიდან, ისე იკვებებოდა საქართველო საბჭოთა კავშირის საერთო ჯიბიდან და იკვებებოდა არცთუ ცუდად. **დღეს არ გვაქვს და არც არავის სჭირდება ჩვენი ჩაი და ციტრუსები, ბორჯომის მინერალური წყალი და კაკლის მურაბა.** ბორჯომის წყლის რეალიზაცია ერთ დღეში 3 მილიონ ბოთლს შეადგენდა და საბჭოთა კავშირის მასშტაბით დეფიციტი იყო. დღეს რეალიზაცია, ალბათ, 30 000 ბოთლსაც ვეღარ აღწევს. თურმე აღარ ყოფილა ჩვენი რჩენის ძირითადი წყარო ჩაი და ბორჯომი, როგორც ჩვენი არაფორმალები ფიქრობდნენ. სტალინმა კარგად იცოდა, საიდან და როგორ უნდა ეკვება თავისი პატარა საქართველო, როგორ დაეცვა და აღეზარდა ქართველი ახალგაზრდობა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით მხოლოდ საქართველოში იყო 11-წლიანი საშუალო სკოლა, რომელიც უამრავ ხარჯთან იყო დაკავშირებული, სხვა პრივილეგიებზე რომ არაფერი ვთქვათ, თუმცა, რომ ვთქვა, ბევრი არც დაიჯერებს. სტალინი თავგამოდებით იცავდა არა მხოლოდ მის მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირის ინტერესებს, ის ერთგული იყო რუსი ხალხის ისტორიისა და მისი წარსულის. სულ სხვა საქმე იყო მაშინ, როდესაც რევოლუციის პერიოდში ლანძღავდა ცარიზმს და რუსეთს ხალხთა საპყრობილეს ეძახდა. ეს მისი პოლიტიკური ბრძოლის იარაღი იყო. სტალინი ბოლომდე იცავდა სლავი ხალხის ინტერესებს, განსაკუთრებით, რუსი ერისას.

1934 წელს სტალინს მიუტანეს **ფრიდრიხ ენგელსის** ნაშრომი, რომელიც გერმანიაში დაიბეჭდა 1906 წელს. ჟურნალ „ბოლშევიკის“ რედაქცია სთხოვდა თანხმობას სტალინს, დაებეჭდა ენგელსის სტატია, რომელიც შეეხებოდა მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკას. ენგელსს ცუდად ჰყავდა მოხსენიებული რუსეთი და მისი იმპერატორი. სტალინმა გულმოდგინედ წაიკითხა ენგელსის წერილი და თავისი შენიშვნებით უკან დაუბრუნა ჟურნალის რედაქციას. შენიშვნებში სტალინი წერს:

**„ა)** გადაფასება მეფის რუსეთის კონსტანტინოპოლისკენ სწრაფვის როლისა მსოფლიო ომის მოახლოების საქმეში. მართალია, თავდაპირველად ენგელსი ომის ფაქტორებში პირველ ადგილზე აყენებს გერმანიის მიერ ელზას-ლოტარინგიის ანექსიას, მაგრამ შემდეგ უკანა პლანზე სწევს ამ მომენტს და წინა პლანზე გამოაქვს მეფის რუსეთის სწრაფვა დაპყრობისკენ; ამტკიცებს, რომ „ამ მსოფლიო ომის ეს საშიშროება გაქრება იმ დღეს, როდესაც რუსეთში საქმეები შემოტრიალდება ისე, რომ რუსი ხალხი შეძლებს, დაუსვას ჯვარი თავისი მეფეების ტრადიციულ დამპყრობლურ პოლიტიკას“.

ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებაა.

**ბ)** გადაფასება რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუციის როლისა და „რუსულიეროვნული კრების“ (ბურჟუაზიული პარლამენტი) როლისა მოახლოებული მსოფლიო ომის თავიდან აცილების საქმეში. ენგელსი ამტკიცებს, რომ რუსეთის ცარიზმის დაცემა მსოფლიო ომის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა. ეს აშკარად გადაჭარბებულია.



ჰენრი კისინჯერი

ახალი ბურჟუაზიული წყობა რუსეთში მისი „ეროვნული კრებით“ ვერ შეძლებდა, თავიდან აეცილებინა ომი თუნდაც იმიტომ, რომ ამ ომის მთავარი ზამბარები ჩადებული იყო ძირითად იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ბრძოლის სიბრტყეში. საქმე ის არის, რომ ყირიმის დამარცხების დღიდან (გასული ასწლეულის ორმოცდაათიანი წლები) ცარიზმის დამოუკიდებელმა როლმა ევროპის საგარეო პოლიტიკის დარგში მნიშვნელოვნად იწყო დაცემა, ხოლო მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინა მომენტამდე მეფის რუსეთი არსებითად

## ჰენრი კისინჯერი: «სტალინი დემოკრატიული ქვეყნების სხვა ლიდერებზე მეტად მზად იყო, ნებისმიერ დროს შესდგომოდა ძალთა თანაფარდობის ძირფესვიანად შესწავლას რწმენით, რომ ის იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს; ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადული ინტერესების ტვირთით»







ასრულებდა დამხმარე რეზერვის როლს ევროპის მთავარი სახელმწიფოებისთვის.

**გ)** „სამეფო ძალაუფლების როლი, როგორც „საერთო ევროპული რეაქციის ძლიერი საყრდენი“ (ენგელსის სიტყვებია). სამეფო ძალაუფლება რუსეთში რომ იყო საერთო ევროპული რეაქციის ძლიერი საყრდენი, ამაში საეჭვო არაფერია. მაგრამ ის, რომ მას შეეძლო ყოფილიყო ამ რეაქციის ბოლო საყრდენი, ეჭვის შეტანა დასაშვებია.

უნდა აღინიშნოს, რომ ენგელსის სტატიის ეს ნაკლოვანებები წარმოადგენს არა მხოლოდ „ისტორიულ ღირებულებებს“, არამედ მათ აქვთ ან უნდა ჰქონდეთ კიდევ პრაქტიკული მნიშვნელობაც. სინამდვილეში: თუ იმპერიალისტური ბრძოლა კოლონიებისთვის და გავლენის სფეროები გამორჩენილია მხედველობიდან, როგორც მოახლოებული მსოფლიო ომის ფაქტორი, აგრეთვე, გამორჩენილია მხედველობიდან ინგლისსა და გერმანიას შორის იმპერიალისტური წინააღმდეგობები თუ გერმანიის მიერ ელზასისა და ლოტარინგიის ანექსია, როგორც ომის ფაქტორი, გადაწეულია უკანა პლანზე რუსული ცარიზმის კონსტანტინოპოლისკენ სწრაფვასთან შედარებით, როგორც ომის უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორი. ბოლოს და ბოლოს, რუსული ცარიზმი წარმოადგენს საერთო ევროპული რეაქციის ბოლო საყრდენს, ნუთუ გასაგები არ არის, რომ ომი, ვთქვათ, ბურჟუაზიული გერმანიისა მეფის რუსეთთან არის არა იმპერიალისტური, არა მძარცველური, არა სახელმწიფოებრივი, არამედ განმათავისუფლებელი ან თითქმის განმათავისუფლებელი ომი?! ნუთუ შეიძლება საეჭვო იყოს, რომ მსგავს აზროვნებას შეეძლო, შეემსუბუქებინა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დაცემა 1914 წლის 4 აგვისტოს, როდესაც მან გადაწყვიტა, ხმა მიეცა სამხედრო კრედიტებისათვის და გამოაქვეყნა მეფის რუსეთისგან, ე.წ. რუსული ბარბაროსობისგან, ბურჟუაზიული სამშობლოს დაცვის ლოზუნგი და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ ბებელისადმი მიწერილ წერილებში, რომლებიც დაიწერა 1891 წელს (ენგელსის სტატიის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ) და რომლებშიც ლაპარაკია მოახლებული ომის პერსპექტივებზე, ენგელსი პირდაპირ ამბობს, რომ „გერმანიის გამარჯვება რევოლუციის გამარჯვებაა, თუ რუსეთი დაიწყებს ომს რუსეთის მოკავშირეებთან, ვინც უნდა იყვნენ ისინი“. გასაგებია, რომ ამგვარ აზროვნებაში არ რჩება ადგილი რევოლუციური დამარცხებისთვის, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ლენინური პოლიტიკისთვის. ამგვარად არის საქმე ენგელსის სტატიის ნაკლოვანებების შესახებ. როგორც ჩანს, ენგელსმა, აღშფოთებულმა ფრანკო-რუსული კავშირის მოგვარებით (1890-1891წ.), რომელიც თავისი მახვილით მიმართული იყო ავსტრო-გერმანული კოალიციის წინააღმდეგ, თავის სტატიაში მიზნად დაისახა, თავს დასხმოდა რუსული ცარიზმის საგარეო პოლიტიკას და მისთვის დაეკარგა ყოველგვარი ნდობა ევროპისა და, უწინარესად, ინგლისის საზოგადოებრივი აზრის თვალში, მაგრამ, მიილტვოდა რა ამ მიზნისკენ, მას მხედველობიდან გამორჩა სხვა მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი მომენტებიც კი. ამის შედეგია სტატიის ცალმხრივობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ღირს კი ენგელსის სტატიის დაბეჭდვა ჩვენს საბრძოლო ორგანო „ბოლშევიკში“, როგორც სახელმძღვანელო სტატია ან ღრმად შემეცნებითი, რადგან გასაგებია, მისი დაბეჭდვა „ბოლშევიკში“ ნიშნავს, მას ჩუმად მიეცეს ზუსტად ასეთი რეკომენდაცია?

ვფიქრობ, არ ღირს.
1934წ. 19 ივლისი.
ი. სტალინი“

## ამბობენ, სტალინი ქართველი იყო და რუსულ საქმეს აკეთებდაო, მაგრამ საკითხავია, ვინ უფრო დიდი ქართველი იყო – სტალინი და ბერია, როდესაც ისინი კავკასიის დაცვის სტრატეგიულ გეგმას ადგენდნენ, თუ ნიკო ბაგრატიონი, რომელიც ცხრა მთას იქით, სამხრეთ აფრიკაში ბურებთან ერთად იბრძოდა და არ იცოდა რისთვის?

**(გაგრძელება იქნება)**

ომის ფასი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ დაწყებული მიგრაცია აღემატება 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შედეგად დაწყებულ მიგრაციას (6 მლნ), აგრეთვე, პირველი მსოფლიო ომით (10 მლნ), ინდოეთისა და პაკისტანის გაყოფით (14 მლნ), აღმოსავლეთ ბენგალიის გაყოფით (10 მლნ) და ვიეტნამის ომის შედეგად გამოწვეულ მიგრაციებს.**

# აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ გაჩაღებულმა ომებმა 37 მლნ ადამიანი ლტოლვილად აქცია

## ამერიკული ომების ფასი დოლარებსა და დაღუპულთა რაოდენობაში

**ევროპას მიგრანტები მიაწყდნენ და, როგორც ქალაქ პროვიდენსის (როდ აილენდი, აშშ) ბრაუნის სახელობის უნივერსიტეტის კვლევის შედეგებმა წარმოაჩინა, ამის მთავარი მიზეზი არის 2001 წლიდან აშშ-ის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში გაჩაღებული 8 ომი, რომელთა გამოც 37 მლნ ადამიანი ლტოლვილად იქცა, — წერს ბრიტანული გამოცემა Indenpedent-ი.**

ლტოლვილები მიაწყდნენ დიდ ბრიტანეთს, იქ კი საპროტესტო აქციები იმართება მათ წინააღმდეგ. ლონდონი პარიზს ადანაშაულებს, რომ არაფერს აკეთებს ლტოლვილთა ნაკადების შესაჩერებლად, მაგრამ არავის აინტერესებს, „რატომ აკეთებენ ამას ლტოლვილები, რატომ რისკავენ ამისთვის თავისუფლებას და ზოგჯერ სიცოცხლესაც", — წერს სტატიის ავტორი, ახლო აღმოსავლეთის საკითხების სპეციალისტი **პატრიკ კოკბერნი.**

„მათ შორის, **ვინც გადალახა ლა-მანშის სრუტე ევროპის კონტინენტსა და ბრიტანეთს შორის, უმრავლესობა გამოქცეულია ქვეყნებიდან, სადაც აშშ-მა ან მისმა მოკავშირეებმა სამხედრო ძალა გამოიყენეს. ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის შედეგად, რომელსაც აშშ 2001 წლიდან აწარმოებს, 37 მლნ ადამიანი იძულებული შეიქნა, სახლ-კარი მიეტოვებინა",** — წერს კოკბერნი ბრაუნის უნივერსიტეტის მოხსენების Cosr of war („ომის ფარის") კომენტირებისას.

**ამ 37 მილიონიდან 8 მილიონი საზღვარგარეთ გაქცეული ლტოლვილია, 29 მლნ — ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირი, რომლებიც საომარ მოქმედებებს გაექცნენ. მოხსენებაში განხილულია 8 ომი — ავღანეთში, ერაყში, სირიაში, იემენში, ლიბიაში, სომალიში, პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთსა და ფილიპინებზე.**

მოხსენების ავტორთა მტკიცებით, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ დაწყებული მილიონობით ადამიანის გადაადგილება თითქმის უპრეცედენტოა და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომმა გამოიწვია უფრო მასობრივი გადასახლებები. **2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ დაწყებული მიგრაცია აღემატება 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შედეგად დაწყებულ მიგრაციას (6 მლნ), აგრეთვე, პირველი მსოფლიო ომით (10 მლნ), ინდოეთისა და პაკისტანის გაყოფით (14 მლნ), აღმოსავლეთ ბენგალიის გაყოფითა (10 მლნ) და ვიეტნამის ომის შედეგად გამოწვეულ მიგრაციებს.**

„ომების გაჩაღებისა და მხარდაჭერისთვის მზადყოფნა გაცილებით ნაკლები იქნებოდა, თუ ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერებს მათ მიერ ჩადენილის გამო პოლიტიკური საფასურის გადახდა მოუწევდათ. სამწუხაროდ, ამომრჩევლებს არასდროს ესმოდათ, რომ ლტოლვილების ნაკადები, რომელთა წინააღმდეგაც ბევრი მათგანი გამოდის, 11 სექტემბრის შემდეგ გაჩაღებული ომებით გამოწვეული მასობრივი გადასახლების შედეგია", — წერს Indenpendent-ი.

2013 წელს სირია ლტოლვილების რაოდენობით პირველ ადგილზე გავიდა (ჩამოიტოვა ავღანეთი). სირიელი ლტოლვილების რაოდენობა, ალბათ, მომავალშიც მოიმატებს.

**აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ გაჩაღებული 8 ომის საერთო მახასიათებელი არის ის, რომ „არც ერთი მათგანი არ დასრულებულა, მიუხედავად წლების განმავლობაში წარმოებული ბრძოლებისა". ამ მიზეზის გამო ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე XX საუკუნის სასტიკი, მაგრამ ხანმოკლე კონფლიქტების შემდეგ იყო.**

დასავლური სახელმწიფოები და მათი მოკავშირეები ისეთ სახეს იღებენ, თითქოს „შეუსვენებლად მუშაობენ ამ ომების შესაწყვეტად, მაგრამ მათ მშვიდობა მხოლოდ თავიანთი პირობებით სურთ, მაგალითად, სირიაში. პრეზიდენტმა **ბაშარ ასადმა,** რომელსაც მხარს უჭერდნენ რუსეთი და ირანი, 2018 წელს გაიმარჯვა თავისი ოპონენტების წინააღმდეგ ომში, მაგრამ ვაშინგტონსა და მის მოკავშირეებს არ სურდათ, რომ ასადს, რუსეთსა და ირანს სრული გამარჯვება მოეპოვებინათ, ამიტომ ცდილობენ, განაგრძონ კონფლიქტი, რომელშიც სირიელები საზარბაზნე ხორცს წარმოადგენენ.

ბრაუნის უნივერსიტეტის მოხსენებამ ფართო რეზონანსი გამოიწვია. **ბრაუნის უნივერსიტეტის პროფესორმა, პროექტ „ომის ფასის" თანადირექტორმა კეტრინ ლუტცმა ფორდჰემის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკი) იურიდიული სკოლის პორტალისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ „ტერორიზმთან ბრძოლის" ეგიდით გაჩაღებული და დაუსრულებელი ომების ძირითადი მიზეზი ამ ომების კომერციალიზაციაა.**

2001 წლიდან აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი ყოველწლიურად მატულობს. „ტერორიზმთან გლობალური ბრძოლისთვის დახარჯულია 6,4 ტრილიონი დოლარი. რადგან ეს ომები ფინანსდებოდა აღებული სესხებით, აშშ-ის მთავრობა ყოველწლიურად ტრილიონ დოლარზე მეტს იხდის პროცენტებში. შედეგად, აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტმა გააკოტრა ყველა სახელმწიფო სოციალური პროგრამა და გადააჭარბა განათლებაზე, ჯანდაცვაზე, ეკოლოგიაზე, პანდემიასთან საბრძოლველად გაწეულ ხარჯებს ერთად აღებულს.

კეტრინ ლუტცი მიუთითებს, რომ აშშ-ის მიერ გაჩაღებულ ომებში 7 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, ხოლო დაღუპულთა საერთო რაოდენობა 800 ათასზე მეტია.






„ეს არის მხოლოდ ბომბებითა და ტყვიებით დაღუპულთა რაოდენობა"; მათი რაოდენობა კი, ვინც სასიცოცხლოდ აუცილებელი ინფრასტრუქტურის განადგურებით გამოესალმა სიცოცხლეს, მეტია.

ლუტცის თქმით, ამერიკის პრობლემა არის:

* „რომ აშშ-ში არის პოლიტიკური სისტემა, რომელშიც კომპანია Lokheed Martin-მა ბოლო ოცი წლის განმავლობაში ტრილიონობით დოლარი მიიღო... და ეს ინტერესები ჯაბნის ეროვნული უსაფრთხოების რაციონალურ პოლიტიკას";

* **„ამერიკელთა უმრავლესობამ, ალბათ, არც კი იცის, რომ აშშ სამხედრო ოპერაციებს ახორციელებდა არა მხოლოდ ავღანეთში, ერაყსა და სირიაში, არამედ კიდევ 21 სხვა ქვეყანაში მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უმცროსმა „ტერორიზმს გლობალური ომი გამოუცხადა",** — წერს ჟურნალისტური გამოძიების საამქროს (The Investigative Reporting Workshop, IRW) პორტალზე ბრაუნის უნივერსიტეტის მოხსენების ერთ-ერთი ავტორი, ამერიკის უნივერსიტეტის (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი) პროფესორი **დევიდ ვაინი.**

**„აშშ-ის მთავრობას ეკისრება პასუხისმგებლობა არა მხოლოდ 37 მლნ ადამიანის გადასახლებაზე, არამედ იმაზეც, რასაც სჩადიოდნენ თალიბები, ერაყელი სუნიტები, შიიტების ლაშქარი, „ალ-ქაიდა", დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს" წევრები და სხვა „ბოევიკები",** — მიაჩნია ამერიკელ მეცნიერს. მის ხელთ არსებული მონაცემებით, აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ გაჩაღებული ომების შედეგად ლტოლვილად იქცა 5,3 მლნ ავღანელი, 3,7 მლნ პაკისტანელი, 1,7 მლნ ფილიპინელი, 4,2 მლნ სომალელი, 4,4 მლნ იემენელი, 9,2 მლნ ერაყელი, 1,2 მლნ ლიბიელი და 7,1 მლნ სირიელი.

დაახლოებით მილიონმა ლტოლვილმა გერმანიას მიაღწია, ასიათასობით დევნილი ჩავიდა ევროპის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე, აშშ-ში. ფილიპინელების, ლიბიელებისა და იემენელების უმრავლესობამ კი თავიანთ ქვეყნებში შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი.

**„დაღუპულთა საერთო რაოდენობამ ავღანეთში, ერაყში, სირიაში, პაკისტანსა და იემენში შეიძლება 3-4 მლნ-ს მიაღწიოს, თუ ბომბებითა და ტყვიით მოკლულებს, ომით გამოწვეული შიმშილითა და დაავადებებით დაღუპულებს დაუ-**

►

**ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური სამსახურის ხელმძღვანელმა ჟოზეპ ბორელმა ევროპარლამენტის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენ ლუკაშენკოს უკრაინის არალეგიტიმურ პრეზიდენტად განვიხილავთ“, — დიახ, სახელდობრ, უკრაინის, წამოცდენა შემთხვევითი არ არის: ბორელი განსხვავებას ვერ ხედავს ხელისუფლების შეცვლის უკრაინულ და ბელარუსულ სცენარებს შორის.**

მარიონეტების თეატრი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხუანა გუაიდოვსკაია

## ბელარუსის მაიდნის ლიდერებმა ნიღბები ჩამოიხსნეს — რუსეთში ლუკაშენკოს ვიზიტის შემდეგ ბელარუსის ხელისუფლების ოპოზიციამ დასავლეთს «3-4 მილიარდი» მოსთხოვა

**ბელარუსის მაიდნის მიზნები და ამოცანები უკვე ცნობილია და მხოლოდ აბსოლუტურად გულუბრყვილო ადამიანები განაგრძობენ ფიქრს, რომ საპროტესტო აქციების მიზანი ე.წ. პატიოსანი არჩევნების ჩატარებაა ხელისუფლებიდან ალექსანდრე ლუკაშენკოს ჩამოცილების შემდეგ.**



ხუანა გუაიდოვსკაია — სვეტლანა ტიხანოვსკაია

ოპოზიციის საკოორდინაციო საბჭომ მიითვისა უფლება, წარმოადგენდეს ბელარუსი ხალხის თუ სრულიად არა, მისი საპროტესტოდ განწყობილი ნაწილის ინტერესებს, ეს ნაწილი კი მინსკსა და პროვინციებში დაახლოებით 100 ათასია. **ბელარუსული მაიდნის მომწყობნი საკმაოდ ბევრნი არიან, მაგრამ არა მოსახლეობის 97% (როგორც ამის წარმოჩენას ცდილობენ ოპოზიციონერები), ეს რაოდენობა არც 50%-ია და არც 20%.**

ის, რაც ხდება ბელარუსში, არის უმცირესობის მორიგი რევოლუცია, რომელიც თავს უმრავლესობას უწოდებს, მაგრამ უმრავლესობის ინტერესების დაცვას არ აპირებს. ბელარუსში ოპოზიციონერები მეტ თავისუფლებას ითხოვენ, ამისთვის საპროტესტო აქციებს აწყობენ და ვერ თუ არ ამჩნევენ, რომ ამ აქციების მომწყობებისა და კოორდინატორების მიზნები უკვე გაშიშვლებული და ნათელია. თეთრ-წითელ-თეთრი დროშის ქვეშ ადამიანები მიჰყავთ იმ გზით, რომლითაც მიჰყავდათ უკრაინელები კიევში 2013-2014 წლებში.

ბელარუსის მაიდნის მეთაურებს მჭიდრო კონტაქტები აქვთ დასავლეთში ან უკრაინაში და იქ ხვდებიან რუსეთისა და ბელარუს-რუსეთის ურთიერთობის გაღრმავების მოძულეთა ხელში. **სვეტლანა ტიხანოვსკაიამ** ფოტოც გადაიღო **ბერნარ-ანრი ლევისთან** — ომის სვავთან, რომელიც ყოველთვის გრძნობს „მშვიდობიანი საპროტესტო აქციების“ თანმდევი სისხლის სუნს. ბელარუსის ქუჩებში გამოსულ ადამიანებს შეიძლება არც ესმით, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ისინი ამ მარშებმა და დემარშებმა, მაგრამ ეს კარგად ესმით მათ, ვინც დგანან მათ უკან.

რუსეთში ალექსანდრე ლუკაშენკოს გამგზავრების შემდეგ ბელარუსის ოპოზიციამ ნილაბი ჩამოიხსნა და კამოფლაჟი შემოძარცვა თავის მიზნებს. სვეტლანა ტიხანოვსკაიამ, რომელიც ლიტვაში ბელარუსელ **ხუან გუაიდოდ** (ხუან გუაიდო — ვენესუელელი ე.წ. პოლიტიკოსი, რომელიც აშშ-მა და მისმა სატელიტებმა ვენესუელის პრეზიდენტად აღიარეს და არად ჩააგდეს ის, რომ **ნიკოლას მადურო** ქვეყნის კანონიერად არჩეული პრეზიდენტია) აღიარეს, განაცხადა: **„მინდა, შევახსენო ვლადიმერ პუტინს, რომ, რაზეც უნდა მოილაპარაკონ, ეს არ იქნება კანონიერი. ყველა შეთანხმებას, რომლებსაც ხელს მოაწერს არალეგიტიმური ლუკაშენკო, გადახედავს ბელარუსის ახალი ხელისუფლება“.**

ბელარუსელ ხუანას მიაჩნია, რომ ბელარუსმა არ უნდა დააბრუნოს რუსეთის მიერ გაცემული 1,5 მლრდ დოლარის კრედიტი, — ვალს ლუკაშენკო იღებს და არა ბელარუსი ხალხიო.



ჟოზეპ ბორელი

ეს არის ცნობილი უკრაინული სქემა: როგორც ვაშინგტონმა დანიშნა უკრაინაში ახალი ხელისუფლება და მან უარი განაცხადა **იანუკოვიჩის** მიერ აღებული ვალის რუსეთისთვის დაბრუნებაზე, ზუსტად ასე სურს ლიტვას ახალი მთავრობის დანიშვნა ბელარუსში, რომელიც ასევე უარს იტყვის რუსეთისთვის ვალის დაბრუნებაზე. ტიხანოვსკაია მიჰყვება **პოროშენკოს** მიერ გატკეპნილ გზას იმ განსხვავებით, რომ „დასავლეთმა უკრაინაში შეძლო ე.წ. ღირსების რევოლუციის („რევოლუცია გიდნოსტი“) მოწყობა, და პოროშენკო პოლონეთიდან არ ულიარებიათ პრეზიდენტად — ის მაიდნის რეჟისორებმა „სუფთა არჩევნების“ (რა თქმა უნდა, გაყალბებულის) პროცედურით ჩასვეს სახელმწიფო მეთაურის სავარძელში, სახელმწიფოსი, რომელიც ახლა ყველაზე ღარიბად ითვლება ევროპაში და რომელსაც დონბასში, რუსეთის საზღვართან, ომი აქვს გაჩაღებული. **თვითონ ტიხანოვსკაია, შეიძლება, სულაც არ ფიქრობს ბელარუსის ასეთ პერსპექტივაზე, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მის მაგივრად ფიქრობენ. მაგალითად, ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური სამსახურის ხელმძღვანელმა ჟოზეპ ბორელმა ევროპარლამენტის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენ ლუკაშენკოს უკრაინის არალეგიტიმურ პრეზიდენტად განვიხილავთ“. დიახ, სახელდობრ, უკრაინის, წამოცდენა შემთხვევითი არ არის: ბორელი განსხვავებას ვერ ხედავს ხელისუფლების შეცვლის უკრაინულ და ბელარუსულ სცენარებს შორის.** მსოფლიო ისე შეიცვალა, რომ არავის აკვირვებს არც ბორელის აღიარება, არც ვილნიუსისა და ვარშავის „ღირებული მითითებები“ მინსკისთვის.

ბელარუსის ოპოზიციის საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდიუმის წევრ **პაველ ლატუშკოს** განცხადების საბაბი რუსული კრედიტი იყო: **„ჩვენ ევროკავშირისგან ველოდებით მოქმედების გეგმას და ბელარუსის დემოკრატიზაციის მხარდაჭერას. აქ უნდა იყოს არა 1,5 მილიარდი დოლარი, რომელიც შემოგვთავაზა აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანამ, არამედ ფინანსური დახმარების ზომების პაკეტი 3-4 მილიონის ფარგლებში“.**

ბელარუსელი ოპოზიციონერები **პოროშენკოს მსგავსად იწყებენ — მსოფლიოს წინაშე ხელგაწვდილნი დგანან: კეთილო ადამიანებო, შეეწიეთ დემოკრატიას!** არადა, ერთი თვეც არ გასულა ამ საბჭოს განცხადებიდან, რომ არ მიიღებს არანაირ უცხოურ დახმარებას, და აი რამდენიმე კვირის შემდეგ გაეხსნათ მადა — აითვისონ „3-4 მილიარდი“ და განახორციელონ ევროკავშირის მიერ შემუშავებული „მოქმედების გეგმა“. **სად არის აქ თავისუფლება და სუვერენიტეტი?**

**ბელარუსელი მკვირცხლი „კოორდინატორების“ კამპანია ევროპისგან მითითებებს და, რა თქმა უნდა, დიდძალ ფულს ელის. ამაში ახალი არაფერია.**

კარგია, რომ პუტინისა და ლუკაშენკოს შეხვედრის შემდეგ ბელარუსული საპროტესტო აქციების მთავარმა პირებმა გამოხატეს თავიანთი პოზიცია: მოითხოვეს ფული დასავლეთისგან და უარყვეს რუსეთის დახმარება, რითაც გააშიშვლეს ბელარუსული მაიდნის ჭეშმარიტი მიზანი — **რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილი ქვეყნის დანგრევა.**

ყველაფრის მიუხედავად, ბელარუსში სტარტი აიღო სამხედრო სწავლებამ „სლავური ძმობა — 2020“, რომლის პირველი ეტაპი 25 სექტემბერს დასრულდება. რუსეთიდან ამ სწავლებაში მონაწილეობს 1500 სამხედრო. პარალელურად ბელარუსი სამხედროები მონაწილეობას მიიღებენ სწავლებაში „კავკასია-2020“, ოქტომბერში კი ვიტებსკის ოლქში (ბელარუსი) გაიმართება სწავლება, რომელშიც, რუსებისა და ბელარუსების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ სომეხი, ყაზახი, ყირგიზი და ტაჯიკი სამხედროებიც.

რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტების სოჭში შეხვედრის შემდეგ დღის წესრიგში დადგა რუსეთსა და ბელარუსს შორის ურთიერთობის განმტკიცების გეგმის განხორციელება, მაგრამ ამ პერსპექტივაზე დარწმუნებით მაშინ შეიძლება საუბარი, როცა საბოლოოდ გაირკვევა, გამოაფხიზლა თუ არა ბელარუსის ხელისუფლება მაიდანმა, რომლის მთავარი მიზანი არა ლუკაშენკოს პოსტიდან გადაყენება, არამედ ბელარუსის სახელმწიფოს საფუძვლების დანგრევაა და მის ადგილას ისეთი სახელმწიფოს აშენება, როგორიც დასავლეთს სურს.

**aurora.network-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი ბაჩეჩილაძე**



## აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გაჩაღებული ომების შედეგად ლტოლვილად იქცა 5,3 მლნ ავღანელი, 3,7 მლნ პაკისტანელი, 1,7 მლნ ფილიპინელი, 4,2 მლნ სომალელი, 4,4 მლნ იემენელი, 9,2 მლნ ერაყელი, 1,2 მლნ ლიბიელი და 7,1 მლნ სირიელი




◀ **მატებთ. დაჭრილთა და დაშავებულთა რაოდენობა კი 10 მლნ-ზე მეტია“,** — წერს დევიდ ვაინი.

აშშ, აგრეთვე, მონაწილეობდა **ბურკინა-ფასოს, კამერუნის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, ჩადის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, კენიის, მალის, მავრიტანიის, ნიგერიის, საუდის არაბეთის, სუდანის, ტუნისისა** და **უგანდის** კონფლიქტებში.

დევიდ ვაინი თავის წიგნში „აშშ-ის ომები: ამერიკის უსასრულო კონფლიქტები კოლუმბიდან „ისლამურ სახელმწიფომდე“, წერს, რომ **„ამერიკის კოლეჯების სტუდენტების უმრავლესობას არ ახსოვს, როდის არ იყო მათი ქვეყანა ომში ჩართული. ომი აშშ-ის ისტორიაში ნორმაა“.**

ბრაუნის უნივერსიტეტის კვლევას ამერიკული პრესა თავისებურად გამოეხმაურა. „რა მიიღო აშშ-მა ავღანეთის ომში დახარჯული 2 ტრილიონი დოლარით?“ — სვამს კითხვას The New York Times-ი, „თითქოს ომის ფასი“ უსარგებლოდ გადაყრილი ფული იყოს.

„სამხედრო მოიჯარეების გამოყენება ომის ჭეშმარიტ ფასს მალავს“, — მოხსენებიდან მხოლოდ ამას მიაპყრო ყურადღება The Washington Post-მა.

აშშ-ის მიერ ახლო აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნების ომებში დახარჯულ 6,4 ტრილიონზე მოთქვამს ტელეარხი CNBC, რომელმაც გაკვრით ახსენა ამ ომებს მსხვერპლად შეწირული 800 ათასი ადამიანი.

ამ ომების წინააღმდეგ გამოსვლას ამერიკელ საზოგადოებას მხოლოდ გიგანტური ხარჯები აიძულებს და არა მილიონობით მსხვერპლი. ამჟამად კი ნებისმიერი, თვით ყველაზე დრამატული თემატიკაც კი წინასაარჩევნო ბრძოლის ინსტრუმენტად იქცევა ამერიკაში.

**Fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი ბაჩეჩილაძე**

## 37 მილიონიდან 8 მილიონი საზღვარგარეთ გაქცეული ლტოლვილია, 29 მლნ — ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები, რომლებიც საომარ მოქმედებებს გაექცნენ. მოხსენებაში განხილულია 8 ომი — ავღანეთში, ერაყში, სირიაში, იემენში, ლიბიაში, სომალიში, პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთსა და ფილიპინებზე

პოლიტ-განათლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ელიტები არა მხოლოდ ფართოდ ავრცელებენ ოკულტურ სწავლებას, არამედ ადამიანების მართვის ტექნიკასაც, რომელიც დამუშავებულია ოკულტურ სექტებსა და მოძრაობებში. მან ფეხი მოიკიდა ნეოლიბერალურ ეკონომიკაშიც, რაც გასაკვირი არ არის, რადგან აქ ბატონობს ტოტალური კონტროლის კულტი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სწორედ ამაზეა დამოკიდებული თვით სექტისა და კორპორაციის არა მარტო წარმატება, არამედ სიცოცხლისუნარიანობაც. მან საფუძველი მისცა ზოგიერთ მკვლევარს, თანამედროვე სექტისთვის „მომავლის მართვის ლაბორატორია“ ეწოდებინა.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №25, 26, 28-33, 2020 წ.

# ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია

## გეგმები, მექანიზმები, შედეგები



**რა სპექტაკლებიც უნდა გაითამაშონ პოლიტიკოსებმა, ისინი კვლავაც დარჩებიან მარიონეტებად მსოფლიოს უმსხვილესი კლანების ხელში, რომლებიც ემზადებიან თავიანთი ტოტალური ძალაუფლების დასამყარებლად მსოფლიოში**

### 9. ევროპის „ხელმძღვანელი სულიერი რასის“ კონსოლიდაცია

საერთოევროპული და მსოფლიო ბაბილონის მშენებლობაში გლობალისტების გეგმების რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს პირობად გვევლინება ევროპის ხალხების ფსიქოლოგიური მზადყოფნა, მიიღონ მსოფლიო მთავრობის იდეა, როგორც განვითარების ერთადერთი შესაძლებელი და გადაუდებელი გზა.

მაგრამ იმის გამო, რომ ეს გზა ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკისა და სოციალური სფეროსთვის არის დამანგრეველი, სდევს მოსახლეობის ოდენობის შემცირება და საზოგადოებაზე კონტროლის დაწესების უკანონო ფორმები, ვერავითარი მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია ვერ გაამართლებს მის არალეგიტიმურობას, მმართველობის რაციონალური მეთოდები მასზე გავლენას ვერ იქონიებს.

ასეთ პირობებში **საფინანსო ელიტებს შეეძლებათ, ამოქმედონ თავიანთი გეგმები მხოლოდ მაშინ, თუ კაცობრიობა მუდმივად ეყოლებათ ქაოსის, საყოველთაო კატასტროფის, ტერორიზმის მუქარის მუდმივ შიშში და, ამასთანავე, განახორციელებენ ადამიანის გონიერებაზე ყველაზე უფრო დახვეწილი ზემოქმედების ფორმებს. „ადამიანის სულის ინჟინრების“ მიზანი არის ისეთი გარემოს ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობს არჩევანის უნარის მქონე მოქალაქეების ნაცვლად იოლად მანიპულირებული ადეპტების მიღებას.**

ამაზე ჯერ კიდევ 1960-იანი წლების ბოლოს წერდა **ზბიგნევ ბჟეზინსკი: „გაძლიერდება პიროვნებაზე სოციალური და პოლიტიკური ზეგავლენის შესაძლებლობა. მალე შესაძლებელი იქნება თითოეულ მოქალაქეზე მუდმივი კონტროლის დაწესება, დაინერგება სისტემატურად განახლებადი ფაილ-დოსიეები, რომლებშიც გარდა ჩვეულებრივი ინფორმაციებისა ჩაწერილი იქნება თითოეული ადამიანის კონფიდენციური მონაცემები — ჯანმრთელობის მდგომარეობა, ქცევის თავისებურებანი და ა.შ. შესაბამის ორგანოებს საშუალება ექნებათ, მყისიერად გაეცნონ ამ ფაილებს. ძალაუფლება მათ ხელთ იქნება, ვინც ფლობს ინფორმაციას და აკონტროლებს მას. რამდენიმე ათწლეულში წარმოიქმნება ტენდენციები, რომლებიც ტექნოტრონულ ერამდე მიგვიყვანს — დიქტატურამდე, რომლის დროსაც თითქმის სრულად გაუქმდება დღეს არსებული პოლიტიკური პროცედურები“.**

მას შემდეგ ადამიანზე კონტროლის დაწესების საქმეში დასავლეთის საზოგადოებამ ისე წინ წაიწია, რომ თავისთავად დადგა საკითხი პიროვნების კონცეფციის შესაძლო შეცვლის შესახებ. ამ თვალსაზრისით თვალსაჩინოა 2005 წლის მარტში ევროკავშირის მიერ მიღებული დოკუმენტი (მეცნიერებაში ეთიკისა და ახალი ტექნოლოგიების შესახებ (№20), რომლის მეხუთე კარში ჩაწერილია: **„თანამედროვე საზოგადოება პირისპირ დარჩა იმ ცვლილებათა წინაშე, რომელთაც უნდა დაექვემდებაროს ადამიანის რაობა, დაკვირვება ვიდეოთვალთვალისა და ბიომეტრიის საშუალებით, ასევე, ადამიანის ორგანიზმში ჩანერგილი სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობით, კანქვეშა მიკროსქემებითა და სმარტ-დამღებით. პიროვნებები იმ ზომამდე არიან შესწავლილი, რომ უფრო და უფრო ემსგავსებიან ქსელის შემადგენელ ელემენტებს. მათ დროდადრო უნდა მიიღონ და გადასცენ ადამიანის გადაადგილების, ჩვეულებათა განხორციელებისა და სხვა კონტაქტების სიგნალები, რომლებსაც უნდა დააკვირდნენ და შეაფასონ**. მან უნდა შეცვალოს ადამიანის ავტონომია და შინაარსი. იცვლება მისი ღირსების მნიშვნელობაც. ასეთი ტრანსფორმაციისას ირღვევა „პიროვნების ფუნდამენტური უფლებები, მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლება“. კნინდება ადამიანის სულისკვეთება და ყალიბდება სულიერი მონობა.

მსოფლიო მასშტაბით, ფაქტობრივად, ყალიბდება ადამიანის მართვის მოდელი. ამ მიმართულებით მუშაობს თანამედროვე რელიგიური სისტემების უმრავლესობა, რომელთა შორის მთავარ როლს ასრულებს ოკულტური მოძრაობა „ნიუ ეიჯი“, ეს ერთი; მეორე — თანამედროვე კათოლიციზმი და მესამე — თალმუდისტური იუდაიზმი.

როგორ წარმოუდგენიათ მათ კაცობრიობის ჩართვა ამ ახალ გლობალურ წესრიგში?

**1.** ადამიანის შეგნება ნიველირდება ყოვლისმომცველი „უკანასკნელი მსოფლიო რელიგიის დახმარებით, რომლის ხილულ ზედაპირულ ფორმად წარმოგვიდგება ეკუმენიზმი, რეალურ შინაარსად კი — „ნიუ ეიჯის“ მსოფლმხედველობა. **იგი მრავალსაუკუნოვანი ოკულტიზმის გადმომღერებაა და ამჟამად არსებული ე.წ. ახალი რელიგიური მოძრაობებისა და სექტების უმეტესობის საფუძველთა საფუძველია. ამ მოძრაობას აქვს პრეტენზია, დააარსოს უკანასკნელი სინთეთიკური რელიგია, რომელმაც უნდა შეცვალოს ქრისტიანობა და შექმნას სულიერების ახალი ტიპი; ყველაფერთან შეგუებული, რომელსაც ექნება უფლება, ყველას მისცეს ის, რაც მოესურვება და რაც მას დააკმაყოფილებს.** მისი მთავარი მახასიათებელია პლურალისტური უნივერსალიზმი და გლობალური აზროვნება, რომელთა საშუალებით შეიძლება ყველა რელიგიისა და რასის გაერთიანება, სულის „კოლექტივიზაციის“ იდეის ცხოვრებაში დანერგვაც და პიროვნების ნიველირებაც. ასეთ ვითარებაში, როგორც ერთმა მკვლევარმა განაცხადა, ადამიანები გადაიქცევიან „მუდმივად ცვალებადი ცნობიერების მოლივლივე ნაკადად“.

იდეური თვალსაზრისით, „ნიუ ეიჯის“ მოძრაობა მოუხელთებელია, იგი უფრო აზროვნების თავისებურებაა, გონების მიმართულება და სულიერი მდგომარეობაა. იგი თითქოს თავსმოხვეული არ არის და ასატანია, მაგრამ ეს მხოლოდ ფსიქოლოგიური ილუზია და ტაქტიკური სვლაა და მოწოდებულია, მიიზიდოს რაც შეიძლება მეტი თანამოაზრე. მოჩვენებითი მრავალფეროვნების მიღმა კი იმალება მსოფლიოს აღქმის საოცარი ერთსულოვნება, რომელიც განსაზღვრულია არა იმდენად შეხედულებათა მსგავსებით, რამდენადაც ცხოვრებისადმი განსაკუთრებული მისტიკური დამოკიდებულებით. ამ განსაკუთრებული დამოკიდებულების საფუძველია საყოველთაო ერთიანობის იდეა, რომლის მთავარი დებულებებია მონისტური პანთეიზმი, გნოსტიციზმი, სინკრეტიზმი, „ევოლუციის ნახტომის მოლოდინი“ და რეინკარნაცია.

**„ნიუ ეიჯის“ სწავლება წარმოდგენას ღმერთზე, ადამიანსა და ცხოვრების არსზე ისეთ ეთიკურ სისტემად აყალიბებს, რომელიც აბსოლუტურად არ ეთანხმება არა მხოლოდ ქრისტიანულ, არამედ საერთოდ განმანათლებლურ ჰუმანიზმს. იმის გამო, რომ ნიუეჯერელები უარყოფენ შემქმნელის იდეას, ადამიანი ღვთაებრივს თავის თავში ეძებს, თავის შინაგან „მეში“, ე.ი. პიროვნული ღმერთი გაღმერთებულ ადამიანად ამაღლდება, მაშასადამე, იგი მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე არის პასუხისმგებელი, ქმნის საკუთარ რეალობას და ანგარიშვალდებული არ არის უზენაესი ზნეობრივი კანონების წინაშე.**

„ნიუ ეიჯის“ მიზანია სხვადასხვა მეთოდის დახმარებით თვალსაწიერის ისეთ კოსმოსურ მასშტაბებამდე გაფართოება, რომელშიც ადამიანი ვეღარ იგრძნობს საკუთარი „მეს“ საზღვრებს და „ღვთიური ყოვლისშემძლეობის“ მდგომარეობას მიაღწევს. ამგვარი მისტიციზმის განცდა უზენაეს ჭეშმარიტებად აქვთ წარმოდგენილი, სხვა ყველაფერი მეორე რიგშია გადაწეული. იგი დაკავშირებული არ არის ზნეობრიობასთან, სიკეთისა და ბოროტების წარმოდგენასთან, ე.ი., მიმდინარეობს მორალური კატეგორიების, ეთიკის მიღმა. ამასთანავე, „ნიუ ეიჯს“ წინა პლანზე გამოჰყავს ეგოიზმი და პირადი წარმატების იდეა, რაც ზუსტად ეწერება თანამედროვე კულტურის ფასეულობებში თავისი სამომხმარებლო მორალით, თავისუფლების საკრალიზაციით, ინდივიდუალიზმითა და, ამასთან ერთად, ზებუნებრივის მიღწევის წყურვილითა და სულიერების „მოდურობით“.

**„ნიუ ეიჯის“ ძირითად იდეად შეიძლება ჩავთვალოთ ის იდეები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ეკუთვნოდა ეზოთერიკულ, საიდუმლო საზოგადოებებს, გარდაიქმნა ეკზოთერიკულად, ე.ი., ყველასთვის ხელმისაწვდომად და ფართოდ გასავრცელებელ იდეებად. ისეთი თვალსაზრისის წყალობით, როგორებიცაა „საყოველთაო ინტეგრაცია“, „შემწყნარებლობა“. ეს ყველაფერი ისეთი საკრალურობით შეიმოსა, რომელიც საშუალებას არ იძლევა, განვიხილოთ რაციონალური ტერმინებით, მაშასადამე, კრიტიკულად მივუდგეთ განვითარების იმ გენერალურ მიმართულებას, რომელსაც დღეს თავს გვახვევს მონდიალისტური წრეები.**

**ის, რაც დღეს ხდება დასავლეთის სულიერ ცხოვრებაში, შეიძლება გამოვხატოთ დევიზით „ოკულტიზმი — მასებში!“ ოკულტურ-სექტანტური იდეები აღარ აღიქმება, როგორც უცხო ან სკანდალური, და სტანდარტული აზრების კრებულის სახეს იღებს. საზოგადოებრიობა აქტიურად ითვისებს ოკულტურ-სექტანტურობის აზროვნების წესსა და თვისებას, ენასაც და ნორმად მიიჩნევს. ოკულტური იდეები თავს იჩენს მასკულატურაში, მუსიკაში და, განსაკუთრებით, კინოინდუსტრიაში. საკმარისია, დავასახელოთ ისეთი ფილმები, როგორებიცაა „ვარსკვლავური ომები“, „ბეტმენი“, „პოლტერგეიტსი“, „ინდიანა ჯონსი“, აღარაფერი რომ არ ვთქვათ პოტერის შესახებ დაწერილი წიგნების ეკრანიზაციაზე.**

მსოფლიო ელიტები არა მხოლოდ ფართოდ ავრცელებენ ოკულტურ სწავლებას, არამედ ადამიანების მართვის ტექნიკასაც, რომელიც დამუშავებულია ოკულტურ სექტებსა და მოძრაობებში. მან ფეხი მოიკიდა ნეოლიბერალურ ეკონომიკაშიც, რაც გასაკვირი არ არის, რადგან აქ ბატონობს ტოტალური კონტროლის კულტი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სწორედ ამაზეა დამოკიდებული თვით სექტისა და კორპორაციის არა მხოლოდ წარმატება, არამედ სიცოცხლისუნარიანობაც. მან საფუძველი მისცა ზოგიერთ მკვლევარს, თანამედროვე სექტისთვის „მომავლის მართვის ლაბორატორია“ ეწოდებინა.

**ყველაზე უფრო რამ დააინტერესა კორპორაციული ელიტები?**

**უწინარეს ყოვლისა,** იზოლაციისა და „ოჯახთან“ სრულად დამოკიდებულმა მეთოდებმა. სექტა წარმოგვიდგება როგორც „რჩეულთა“ საზოგადოება, ამიტომ მისი მთავარი მახასიათებელია სისტემის გარეშე არსებობა, რეალურ სოციალურ გარემოსთან და მის ფასეულობებთან დაპირისპირება. იგი სარგებლობს იმით, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ზნეობრივი ფასეულობების კრიტერიუმი, სიკეთისა და ბოროტების კატეგორიების შეფასება განსხვავებულია. სექტას აქვს პრეტენზია, შექმნას ახალი მორალის ეტალონი. ამ მორალს აყალიბებს სექტის ხელმძღვანელი (გურუ), რომელიც განახორციელებს პიროვნებაზე ფსიქიკურ, სულიერ და ინფორმაციულ ძალადობას. ადეპტი კარგავს საკუთარ ნებას, გარდაიქმნება ბიორობოტად და ზომბად, რომელიც მზად არის, შეასრულოს ხელმძღვანელობის ნებისმიერი ბრძანება.

**მეორე** — „რჩეულთა“ საზოგადოება მკვეთრად არის გაყოფილი ელიტას დამორჩილებულ ადეპტებად — უმაღლეს და უმდაბლეს ფენებად. თავის დახსნა შეუძლიათ იყიდონ რჩეულებმა, მდიდრებმა. უმდაბლესები კი ტოტალურ მონობაში რჩებიან. უსახსრონი თავს დაიხსნიან უსიტყვო მორჩილებითა და ინტენსიური შრომით. ადეპტი არასოდეს დაეჭვდება არსებული ვითარების სამართლიანობაში, რადგან დაკარგული აქვს ნებისყოფა და კრიტიკული აზროვნების უნარი.

ადეპტები არ იბრძვიან ხელფასების გაზრდისთვის, შრომის პირობების გაუმჯობესებისთვის, არ წამოაყენებენ არავითარ სოცია- ▶

პოლიტ-განათლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იმის გამო, რომ სახელმწიფო კომპეტენციების სფერო, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას გადაეცემა, თანდათან ფართოვდება, გამორიცხული არ არის, სახელმწიფომ სრულად დაკარგოს თავისი სუვერენიტეტი და უფლება, განაგოს საკუთარი რესურსები.

◀ ლურ მოთხოვნებს. ისინი საუკეთესო შემსრულებლები არიან სწორედ ჩაკეტილობის გამო. სექტას შეუძლია განახორციელოს ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები, აწარმოოს ისეთი მეცნიერული კვლევები, რომლებიც მედიცინის ეთიკის თვალსაზრისით მიუღებელია.

**მესამე** — სექტისთვის უცხოა კოლექტივიზმისა და სოლიდარობის სულისკვეთება. იგი წაახალისებს ადეპტების ინდივიდუალიზმსა და მეტოქეობას. ეს აღიქმება, როგორც პარადოქსი, რადგან სექტა შეკრულ კოლექტივად წარმოგვიდგება, ერთიან „ოჯახად“, რომელიც შიდაჯგუფური ფასეულობებით ცხოვრობს, მაგრამ საქმე ის არის, რომ **სექტის არსებობის მთავარი მოტივი არის გამორჩეულობის განცდა, რომელსაც ადეპტი ადასტურებს თავისი გურუს ნების სრული მორჩილებითა და აღსრულებით** — სექტაში არ არსებობს ჰორიზონტული ურთიერთობა, მოქმედებს მხოლოდ ვერტიკალური ურთიერთობა — ადეპტი და ლიდერი.

ამასთანავე, გურუ ყოველთვის მართალია. და თუ ადეპტი რომელიმე საქმეში წარუმატებელია, ეს მისი ბრალია. ადეპტები თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს ერთგულების გამოხატვაში, ასე ამტკიცებენ თავიანთ „გამორჩეულობას“. აქედან იბადება და ვითარდება ეჭვიანობა ერთმანეთისადმი, ერთმანეთის თვალთვალი და ჯაშუშობა, რომელიც მიუღებელია ქრისტიანული მორალისთვის.

**ოკულტური ხელმძღვანელობის მიერ დაგროვებული ადამიანების გონების მართვის გამოცდილება, ფაქტობრივად, მთლიანად გამოიყენება თანამედროვე ტრანსეროვნული კომპანიების მართვის პროცესში, რომლებიც (კომპანიები) სულ უფრო ემსგავსებიან კვაზირელიგიურ საზოგადოებებს და წარმოგვიდგებიან თეოკრატიული საწარმოების სახით.**

შაკმარისია, ამაში დასარწმუნებლად გავეცნოთ თანამედროვე ლიტერატურას მენეჯმენტის, მარკეტინგისა და რეკლამის საკითხებში. ამ კუთხით თვალსაჩინოა **შვედი მეწარმის — იესპერ კუნდეს წიგნი „კორპორაციული რელიგია“. ავტორი რელიგიური ტერმინოლოგიის გამოყენებით ცდილობს, დაასაბუთოს ახალი რელიგია — ბრენდის რელიგია.**

„ჩვენი არჩევანი სულ უფრო დამოკიდებულია რელიგიაზე, — წერს იგი, — სწორედ გემოვნება და ბრენდის უპირატესობის რწმენა არის განმსაზღვრელი. ბრენდები გახდებიან რელიგიები და ადამიანები, რომლებიც საკუთარი ბრენდების განსახიერებად გადაიქცევიან, თვითონ გახდებიან რელიგიები, ამის ტიპური მაგალითია **ბილ გეითსი** — „ბაზრისა და კომპანიის რელიგიური ბელადი“. **მყიდველის ქვეცნობიერზე ზემოქმედებით კომპანია მას (მყიდველს) იმორჩილებს და სწორედ ეს არის ცნობიერების მანიპულირება. ნიშანდობლივია, რომ თავდაპირველი მნიშვნელობა ინგლისური სიტყვისა brand არის „დამღის დასმა“, „მეხსიერებაში ანაბეჭდის დატოვება“.**

თეოკრატულ კორპორაციაში ყველა კომერციული ცნება — მოგება, ბაზარი — საკრალიზებულია, ხოლო მისი ეკონომიკური ძალაუფლების აგენტები — მენეჯერები — გვევლინებიან ქარიზმულ, რელიგიურ ლიდერებად — გურუებად. მენეჯერი დღეს მებრძოლია, „ეკონომიკური ომის ჯვაროსანი“, რომლის მიზანია, უზრუნველყოს გამარჯვება ბაზრის უმკაცრესი კონკურენციის პირობებში. კომპანიების მართვის მეთოდები სულ უფრო ემსგავსება სექტანტურს, როცა პერსონალი მუდმივად კონტროლდება, და მზად უნდა იყოს ნებისმიერი დავალების შესასრულებლად.

ნეიროლინგვისტური დაპროგრამებისა და ტრანსაქტული ანალიზის გამოყენება მენეჯმენტს საშუალებას აძლევს, იმგვარად ჩამოაყალიბოს თანამშრომლების მენტალური და ქცევითი სტრატეგიები, რათა სრულად გამორიცხოს კრიტიკული დამოკიდებულება კომპანიის მიმართ. ასეთი „სკოლაგავლილი“ მუშაკი დარწმუნებულია, რომ საწარმოს ხელმძღვანელობა ყოველთვის მართალია, მაგრამ, თუ რაიმე პრობლემა წარმოიქმნება, მიზეზი თვით მუშაკია და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული სიტუაციის გამოსწორება. პერსონალი ექსპლუატაციას ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს, ხოლო პრეტენზიების წამოყენება არა მხოლოდ დაუშვებელია, არამედ არანორმალურობაა. მორჩილება ნებაყოფლობის ნაყოფია, სოლიდარობა თანამშრომელთა შორის წარმოუდგენელი გადახრაა.

სექტების გამოცდილება სულ უფრო ფართოდ ვრცელდება. ფრანგი სოციოლოგები **ა. ფურნიე** და **კ. პიკარი** წერენ, რომ სექტების საქმიანობა, „უწინარესად არის ცდა ცოცხალ ორგანიზმზე, რომლითაც დაინტერესებულია სრულად გლობალიზებული ეკონომიკური მსოფლიო“. იმის გამო, რომ მსოფლიო ბიზნესელიტები ადამიანის ყოფიერების პრაქტიკულად ყველა სფეროს კომერციული განზომილებით აფასებენ, თითოეულ მათგანში განმეორდება პიროვნების დათრგუნვის ოკულტურ-სექტანტური მექანიზმები. ყველაფერი ის, რაც ამ პროცესის განხორციელებისას არ ეწერება საერთოდ აღიარებულ მიდგომაში, არსებობის უფლებას არის მოკლებული.

**2.** ევროპელთა ცნობიერების გარდაქმნის საერთო სისტემაში განსაკუთრებული მისია აკისრია **ვატიკანს.** 1990-იან წლებში ორპოლუსიანი მსოფლიოს დაშლის შემდეგ ვატიკანმა გააძლიერა მცდელობა ევროპის ინტეგრაციის პროცესში თავისი ადგილის გასაფართოებლად. თავისი საქმიანობის ამ მიმართულებას იგი ყოველთვის აქტიურად ეწეოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რომის პაპად **იოანე პავლე II** აირჩიეს, ვატიკანმა ეს მიმართულება განსაკუთრებით წარმოაჩინა. აქვე უნდა შევნიშნოს, რომ ვატიკანის ეს საჭეთმპყრობელი ყოველთვის „ოპუს დეის“ მითითებების ზუსტი შესრულებით იყო გამორჩეული. პონტიფიკოსი მუდმივად შეგვახსენებდა, რომ ევროპის ერთობა შექმნილი იყო კათოლიკური რწმენის წყალობით, რომ კათოლიკური რწმენიდან იღებს სათავეს მოდელი „მრავალფეროვნების ერთიანობა“ და უნივერსალური ერთიანობის წევრობის ცნობიერება. ამიტომ ევროპის მშენებლობაში მის მიერ შეტანილი წვლილი აუცილებლად უნდა განმტკიცდეს განსაკუთრებული ლეგალური სტატუსით.

**«წმინდა ტახტი» ევროპულ ცნობიერებას სიმბოლოების მეშვეობითაც უბიძგებს ვატიკანის იდეური როლის აღიარებისკენ. ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის მთავარი სულიერ სიმბოლო, რომელიც ასახულია მის დროშაზე და წარმოდგენილია, როგორც «სრულყოფილება და სისავსე», რელიგიური წარმოშობისაა. მოციქულ იოანეს მე-12 თავში ნათქვამია: «გამოჩნდა ცაში დიდი ნიშანი — დედაკაცი, რომელსაც ემოსა მზე; მის ფერხთით იყო მთვარე და მის თავზე გვირგვინი თორმეტი ვარსკვლავით». მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ევროკავშირის კონსტიტუციას, ისევე, როგორც ხელშეკრულება ЕЭС-ის შექმნის შესახებ, 1957 წელს ხელი მოაწერეს «მარადიულ ქალაქ» რომში**



**„წმინდა ტახტი“ ევროპულ ცნობიერებას სიმბოლოების მეშვეობითაც უბიძგებს ვატიკანის იდეური როლის აღიარებისკენ. ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის მთავარი სულიერ სიმბოლო, რომელიც ასახულია მის დროშაზე და წარმოდგენილია, როგორც „სრულყოფილება და სავსება“, რელიგიური წარმოშობისაა. მოციქულ იოანეს მე-12 თავში ნათქვამია: „გამოჩნდა ცაში დიდი ნიშანი — დედაკაცი, რომელსაც ემოსა მზე; მის ფერხთით იყო მთვარე და მის თავზე გვირგვინი თორმეტი ვარსკვლავით“. მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ევროკავშირის კონსტიტუციას, ისევე, როგორც ხელშეკრულება ЕЭС-ის შექმნის შესახებ, 1957 წელს ხელი მოაწერეს „მარადიულ ქალაქ“ რომში.**

2001 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ გადადგა პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი, რომლითაც ღიად განაცხადა, რომ იგი არა მარტო ევროპული მშენებლობის ლიდერია, არამედ მსოფლიო მასშტაბის სტრატეგიის ლიდერიცაა.

**იოანე პავლე II**-ისა და **ბენედიქტე XVI**-ს დროს ქრისტიანული ცნობიერების გარდაქმნა თავის ლოგიკურ დასასრულამდე, „ისრაელის მარადიულობის“, როგორც ისტორიული ფაქტისა და საღმრთო გეგმის მომასწავლებლობის აღიარებამდე მივიდა: ებრაელი ხალხი დედამიწის კურთხეულ ერად აღიარეს. ვატიკანი ამრიგად ქრისტიანული სიონიზმის პოზიციაზე გადავიდა, ფაქტობრივად, სრულად ჩაეწერა სიონისტურ პროექტში და დაეთანხმა დებულებას, რომ ეკლესიის საკუთარი მისია შეიძლება მხოლოდ შეუერთდეს სამყაროს გადარჩენის იდეას, რომელსაც ებრაელი ერი განახორციელებს. მაგალითად, ეპისკოპოსთა სინოდის სხდომაზე, რომელიც 2008 წლის ოქტომბერში გაიმართა, კათოლიციზმის ისტორიაში პირველად ესწრებოდა რაბინი, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეკლესიამ უნდა ირწმუნოს იუდაიზმის უნივერსალური მნიშვნელობა და იუდეველებთან ერთად გაინაწილოს ესქატოლოგიური ლოდინი.

ღრმად სიმბოლურია, რომ კათოლიკური ეკლესიის იუდეველების წინაშე მონანიების დასკვნით ეტაპზე გადასვლის მომენტისთვის, მას სათავეში ედგა ნაცისტური წარსულის მქონე პაპი **იოზეფ რატცინგერი.**

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „არაბული გაზაფხულის“ დროს ვატიკანის პოლიტიკას განსაზღვრავდა აგრესორ ქვეყნებთან მიერთება. **ვატიკანს ხმა არ ამოუღია ნატოს არაადამიანური ქცევის ფაქტებზე ახლო აღმოსავლეთში, მუამარ კადაფის ბარბაროსულ მკვლელობაზე და ა.შ. ეს მოწმობს, რომ ვატიკანი ღიად უჭერს მხარს მსოფლიოს გლობალური ტრანსფორმაციის ძალადობრივ მეთოდებს, რომლებსაც ანტიქრისტიანული ძალები განახორციელებენ, რაც ააშკარავებს ქრისტიანობის მიმართ მისი დამოკიდებულების ჭეშმარიტ სახეს.**

**3.** მსოფლიოს გარდაქმნის პროცესში, როცა თანმიმდევრულად რეალიზდება იუდაიზმის სიღრმისეული მიზნები, ისრაელი მოგვევლინა ებრაული დიასპორის გლობალიზებული მართვის ცენტრად. ახალი ძალა მოიკრიბა მსოფლიო სულიერი ბატონობის იდეამ, რომელიც „პიპერსიონიზმის“ სახელით რაბინ **ა. შმულევიჩის** ე.წ. მოძღვრებაშია. თუ აქამდე სიონიზმი ითვლებოდა პოლიტიკად, რომელიც რელიგიურ ფაქტორს გამოიყენებდა, დღეს სიონიზმის მმართველი კლანი თვით რელიგიას იყენებს, როგორც პოლიტიკურ ფაქტორს.

სიონიზმი, ფაქტობრივად, ებრაელებისა და არაებრაელების ცნობიერების მანიპულირების ახალ დონეზე გადის და კაცობრიობის გლობალური ეთიკის ფორმულირების მისიას კისრულობს. შეფასებათა ახალი სისტემის ყველაზე ეფექტიან ფორმად მიჩნეულია ქრისტიანობის გახრწნა ახალი ვერსიების გავრცელების გზით.

**მთავარი მიზანია კაცობრიობის მიერ ნებაყოფლობით თალმუდისტური იუდაიზმის მიღება და ებრაელების „მღვდელთა ხალხად“ აღიარება — სწორედ მათი ფასეულობანი უნდა გახდეს სხვა ხალხების ზნეობისა და სამართლის საფუძველი.**

იგულისხმება, აგრეთვე, რომ თალმუდის დებულებები უნდა დაინერგოს საერთაშორისო სამართლის სისტემაში, რაც შეფარულად უნდა გაკეთდეს, ისე, რომ არ გამოაშკარავდეს, მისი ჭეშმარიტი მიზანი — რჩეულთა უფლებების განმტკიცება. ჩანაფიქრის მიხედვით, ეს „სიახლე“ უფლებას დართავს სიონისტურ ხელმძღვანელობას მიითვისოს სხვათა საკუთრება და განაგოს ადამიანების სისოცხლე და ბედისწერა.

სწორედ ამიტომაა, **რომ საერთაშორისო სამართლის სისტემა თანდათან გარდაიქმნება ზეეროვნულ სამართლად, ამის ნათელი მაგალითია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამართალი, რომელიც ყალიბდება ტრანსეროვნული ელიტების დაკვეთით, დგას ეროვნულ სამართალზე მაღლა და მკვეთრად ზღუდავს სახელმწიფოთა სუვერენიტეტს.**

იმის გამო, რომ სახელმწიფო კომპეტენციების სფერო, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას გადაეცემა თანდათან ფართოვდება, გამორიცხული არ არის, სახელმწიფომ სრულად დაკარგოს თავისი სუვერენიტეტი და უფლება განაგოს საკუთარი რესურსები.

**იუდაიზმი ამრიგად მსოფლიო ცივილიზაციის სტანდარტების დაუფარავად წამოყენებაზე გადადის და ამ თვალსაზრისით ევროპა, რომელსაც იგი (იუდაიზმი) განიხილავდა ექსპერიმენტულ ველად, შეიძლება ჩავთვალოთ რადიკალური იუდაიზმიზაციის მაგალითად. სიონისტური ხელმძღვანელობა ევროპელ ებრაელთა კონსოლიდაციას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში წამოჭრილი ახალი ამოცანებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.**

ბოლო ორი წლის განმავლობაში ევროპაში ინტენსიურად მუშაობენ ძველი ებრაული სტრუქტურების განსამტკიცებლად და ახალი სტრუქტურების შესაქმნელად. ამ მიმართულებით მთავარ როლს ასრულებს უკრაინის თემის ხელმძღვანელობა. რომელიც აღიარებულია, ერთ-ერთ ყველაზე შეკრულ და კარგად ორგანიზებულ ებრაულ გაერთიანებად.

**თუ ვიხელმძღვანელებთ იდეით, რომ „ყოველი ადგილი, სადაც ებრაელი ცხოვრობს, სიონად ყალიბდება“, ახალი ებრაული ინსტიტუტები, რომლებიც ევროპაში იქმნება, „დიადი ისრაელის“ ევროპულ ქვედანაყოფად უნდა განვიხილოთ. იგი ითვისებს გარკვეულ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ევროკავშირთან ერთად. ეს პროცესი მიმდინარეობს ევროპელ ებრაელთა დიდი ნაწილის ნებასურვილის საწინააღმდეგოდ.**

დასკვნის სახით ხაზგასმით უნდა განვაცხადოთ: რა სპექტაკლებიც უნდა გაითამაშონ პოლიტიკოსებმა, ისინი კვლავაც დარჩებიან მარიონეტებად მსოფლიოს უმსხვილესი კლანების ხელში, რომლებიც ემზადებიან თავიანთი ტოტალური ძალაუფლების დასამყარებლად მსოფლიოში.

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ილიას განმარტებით, სხვისი ჭკუის კარნახით ცხოვრება და სხვათა მიმბაძველობა ტვინთხელობის შედეგია. ერის მამას მართებულად არ მიაჩნია სხვათა გამოცდილებისა თუ კანონების ბრმად გადმოტანა ქართულ სინამდვილეში, რადგან რიგ შემთხვევებში ამ სიბრმავემ, შესაძლოა, სიკეთის ნაცვლად გვავნოს და წინსვლის ნაცვლად — უკან დაგვხიოს.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ტვინთხელობა
## «უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა»

ერთ-ერთ წერილში ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მიმბაძველობაზე, როგორც ხელისუფალთა საშინელ სენზე, რომელმაც, ფაქტია, ჩვენს სინამდვილეში ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. როგორც ჩანს, ეს პრობლემა არახალია, ძველია და მასზე სერიოზულად ფიქრობდა და მსჯელობდა დიდი ილია ჭავჭავაძე. ილიას განმარტებით, სხვისი ჭკუის კარნახით ცხოვრება და სხვათა მიმბაძველობა ტვინთხელობის შედეგია. ერის მამას მართებულად არ მიაჩნია სხვათა გამოცდილებისა თუ კანონების ბრმად გადმოტანა ქართულ სინამდვილეში, რადგან რიგ შემთხვევებში ამ სიბრმავემ, შესაძლოა, სიკეთის ნაცვლად გვავნოს და წინსვლის ნაცვლად — უკან დაგვხიოს.

„ცხოვრება და კანონის" მეოთხე წერილში ილია თვითმმართველობის ქებას ამ კითხვებით ამთავრებს: „ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს: თუ თვითმმართველობა ეგ არის, მაშ ყოველის მხრით და ყოველგან რად ისმის სამდურავი სოფლის მმართველობაზედ? რატომ მაგ თვითმმართველობამ არ ააყვავა სოფელი? თითონ გლეხობა აგრე ერთხმად რად უჩივის?

...მაშინ დავპირდით მკითხველს, რომ ამ საბუთიანს სიტყვას შესაფერს პასუხს მივცემდით შემდეგს წერილშიო".

ჩვენც დაგპირდით, მკითხველო, რომ ილიას „ცხოვრება და კანონის" მეხუთე წერილის ანალიზს შემოგთავაზებდით, რომელშიც ის ნათლად და დასაბუთებულად გვირჩევს, რატომ არ შეიძლება სხვათა ბრმად მიბაძვა, კონკრეტულად კი ისეთი კანონების გადმოღება, რომლებიც უცხოა და მიუღებელი ქართული მენტალიტეტის, ტრადიციებისა და ხასიათისთვის. მით უფრო, რომ იმთავითვე ვიცით, რასაც ხშირად „მეგობრები" გვთავაზობენ (იქნება ეს ოჯახის სიწმინდის ხელყოფა თუ ერთნაირსქესიანთა ქორწინების პროპაგანდა, მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში განხეთქილების გაჩენა თუ სხვა), მათ ქვეყანაშიც პროგრესული საზოგადოება ებრძვის და ამისთვის განა ცოტა დროსა და ღონეს კარგავს.

ჩვენთვის კი, საბედნიეროდ, ეს ყველაფერი უცხოა და რა, ხელი უნდა შევუწყოთ, ფეხი რომ მოიკიდოს?!

ილიას სიტყვებით თუ ვიტყვით, „ეგ იმას ეგვანება, რომ კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ჰქონდეს სთქვას: სახლს დაგვა უნდაო".

რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან რა სასარგებლოა?"

სწორედ იუვენალური იუსტიციის მეშვეობით ევროპაში ბოლო 20 წლის განმავლობაში ოჯახებს ათიათასობით ბავშვი წაართვა სახელმწიფომ, რადგან იუვენალური იუსტიცია არის კანონი, რომლის წყალობით სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას შვილის ჩამორთმევის საფრთხე ემუქრება. ბავშვის ჩამორთმევის საფუძველი კი შეიძლება გახდეს, მაგალითად: თბილი ტანსაცმლის არქონა, არაკალორიული საკვებით კვება, ვირუსული ინფექციით დაავადება და სხვ. ერთი სიტყვით, დღეს საქართველოში სოციალური მუშაკის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული მრავალი ოჯახის ბედი.

მაგრამ ჩვენ რაში გვჭირდება ეს ყველაფერი?! ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომლისთვისაც დედაშვილობა და მამაშვილობა უწმინდესი მცნებები იყო ყოველთვის?! ისევ ილიას დავიმოწმებ, მის პერსონაჟს, ქართველი დედის განზოგადებულ სახეს — ოთარაანთ ქვრივს: „დედაშვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს?.. ვინ ვისთვისაო, რა საკითხავია დედაშვილობაში?"



**«ტვინთხელობა, რომელიც, საკუთარ ტვინს მოკლებული, სხვისით სცხოვრებს და მარტო ბაძით სულდგმულობს, ამ შემთხვევაში, წინათვე ვიცით, კედელი იქნება და, რამდენიც გინდათ, ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს»**

„ძნელია ნაღვლის უნაღვლოდ თქმა, მაგრამ ზოგან ცარიელი, უფერული თქმაც ნეტარებააო", — ამბობს ილია და დასძენს: „რასაკვირველია, თვითმმართველობას იმისთანა ზოგადი თვისებანიცა აქვს, რომელნიც ყველასათვის ერთნაირად სახეიროა, მაშასადამე ყველგან გამოსადეგია, და იმისთანანიც, რომელნიც ადგილობრივს მოთხოვნილებას და სხვადასხვაობას უნდა შეეფერებოდეს. **ჩამოაცალეთ სოფლის მმართველობას თვითმმართველობის სიკეთენი, ზედ დაუმატეთ, რომ ის მმართველობა სულ სხვა ნიადაგიდამ არის ამოღებული და გადმორგული, მაშინ ცხადად დაინახავთ, რატომ ჩვენს სოფელს არ მოუხდა ეგრეთწოდებული თვითმმართველობა.**

ამ სახით, **მეორე, უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის აღმოცენილი და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ, მის ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ".**

„ჩვენი აზრი ის არის, რომ თვითმმართველობისათვის ყველა წოდების კაცი ერთგვარად უნდა იყოს მიჩნეული. **თვითმმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელიც აბია წარმატების უღელში და ეწევა სხვებთან ერთად. მაშასადამე, გამოკლება ვისიმე თვითმმართველობიდამ დაუძლურებაა ღონისა, წარმატებისათვის მიმართულისა. წარმატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი ძალნი ერობისანი ერთად, ერთგვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწვეულნი. თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთ სახით სწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთგვარად და ერთ სახით გაჭირვების უღელს ეწევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებას და მოვალეობას. საცა ეს არ არის, მაშინ ერთის ამაღლება, ერთის კეთილდღეობა მეორის დამდაბლებაზედ, მეორის გაღარიბებაზედ არის ხოლმე ხშირად დამოკიდებული. უსწორ-მასწორობა ერთმანეთ-შორის, სხვათა შორის, უჯრა-უჯრად დაყოფის შედეგია; ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წაუმატოს; რაც არის, ისიც უნდა დაშალოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს.**

სოფელი, მის ბინადართა კვალობაზედ, ერთი დაურღვეველი აგებულებაა, ნამეტნავად ჩვენში. როგორც გაუქმება ერთის რომელისამე ასოსი ადამიანის აგებულებაში ადამიანს აუძლურებს, ასუსტებს, ისეც სოფელს ასუსტებს და უღონოდ ჰქმნის, როცა მის კეთილდღეობის მზრუნველობაში ერთნი არიან და მეორენი არა. მაშასადამე, **თვითმმართველობა სოფლისა, როგორც ჭეშმარიტი ორღანო სოფლის გამგეობისა და მზრუნველობისა, ღონემოკლებული უნდა იყოს, საცა სოფლის ერთობაზედ არ არის დამყარებული.** რუსეთში რომ სოფელი უჯრა-უჯრად დაჰყვეს, ერთს წყობას მიანიჭეს შვება და აჰკიდეს ტვირთი თვითმმართველობისა და მეორე გამოაკლეს ერთსაც და მეორესაც, იქ ამას ხელმოსაჭიდებელი მიზეზი მაინც ჰქონდა.

**სოფელი, სოფლის საზოგადოება, რუსეთში სულ სხვა ნიადაგზეა დანდობილი და სხვა ნიადაგზე ამოსული. იქ გლეხობა კომლეულობით, მემკვიდრეობით არა ჰფლობს ერთსა და იმავე მიწას; იქ მიწა სახასოა, ესე იგი საერთოა და არავის არა აქვს ისე დაჩემებული სამუდამოდ, როგორც ჩვენში.** ამის გამო იქ სოფელი წარმოადგენს მიწის შესახებ ორნაირს მფლობელობას: ერთის მხრით — სოფლეულად სახასო, საერთო მფლობელობას გლეხთა მიერ, მეორეს მხრით — კერძოობით და განსაკუთრებულს მფლობელობას თავად-აზნაურთა მიერ.

სოფლის გამგეობა, რომელიც თვითმმართველობის შინაგანი არსებაა, ამ ორს, ვითომ ურთიერთის წინააღმდეგს მოპირდაპირე მფლობელობას და მათგან მომდინარეს მოთხოვნილებას ვერ მოითავსებდა, — კანონმდებელთა აზრით, — და მათს ინტერესებს ერთს კვალში ვერ ჩააყენებდა. ამის გამო, საჭიროდ დაინახეს განცალკევება, განთვითეულება გლეხისა და თავად-აზნაურობისა სასოფლო მმართველობაში. ეს დარღვევა სოფლისა, სოფლის ერთობისა, მიბაძვის ბრალიც იყო. თვალწინ ჰყვანდათ სამაგალითოდ ინგლისი კი არა, რომელიც პირველსახეა თვითმმართველობისა და რომელსაც უარყოფილი აქვს სოფლის მცხოვრებთა შორის განთვითეულება, როგორც მომაკვდინებელი სენი თვითმმართველობისა, არამედ ერთი სხვა სახელმწიფო, რომელიც ამგვარებში ყველა სხვა სახელმწიფოებს უკან ჩამორჩა და რომელიც ამგვარებში დღესაც იმ აზრებით სულდგმულობს და მოქმედობს, როგორც ნეტარხსენებულ ბატონ-ყმობის დროს. ეს სახელმწიფო გახლავთ გერმანია და უფრო განათლებული პრუსია".

ასე რომ, ილიას არასწორად მიაჩნია ქართულ სოფელში სხვა ქვეყნების მიმბაძველობით, ბრმად მმართველობის ფორმის გადმოღება — არც რუსეთის და არც ევროპის ზემოთ ნახსენები ქვეყნებისა, რადგან **„ჩვენში მფლობელობა კომლეულია, მემკვიდრეობითი და სამუდამო ყველა წოდებათა შორის. მაშასადამე, ამ მხრით განაწილება სოფლად მცხოვრებთა და დარღვევა სოფლის ერთობისა, უსაბუთოა, უმიზეზოა. განსხვავება არის მამულის მეტნაკლებობაში, როგორც თითონ თავად-აზნაურთა შორის, ისეც გლეხთა შორის.** მამულის მეტნაკლებობა საკუთრივ და ქონების მეტნაკლებობა საერთოდ სოფლის მმართველობის საგანს არ შეადგენს და არც მისგან წარიმართება. ამიტომაც **ეგ მეტნაკლებობა სოფლის მმართველობის მსვლელობაში შუღლის მიზეზად ვერ შეიქნება. სოფლის მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება, სარჩო-საბადებელის, ქონების, საკუთრების საერთოდ გაფრთხილება მტაცებლობისა, ქურდობისა და ავაზაკობისაგან, მინდვრების, ვენახების რიგიანი დაცვა წანახედისაგან, კარგის გზების, ხიდების, რუების ქონვა და გამგეობა, კარგი რიგიანი და იაფი სამართალი იქავ თვალწინ მრავალგვარ წვრილმან საქმეებისათვის, საერთო მზრუნველობა სკოლისათვის, საპყართა და უძლურთა პატრონობისათვის, საერთო შველა და ხელის გამართვა შიმშილობის დროს და სხვა უბედურობის დღეს, თანასწორი განაწილება სახელმწიფო სამსახურისა, ხარჯისა, ბეგარისა, საერთო საჭიროებისათვის შუამდგომელობა უმაღლეს მთავრობასთან, ერთის სიტყვით — ყოველ შინაურ სოფლის საქმისა კეთილად დაწყობა და სამართლის გამგეობა, — ეს იმისთანა საგნები არიან თვითმმართველობისა, რომელნიც ერთნაირად შეეხებიან სოფელში მცხოვრებთ თავად-აზნაურთა და გლეხთა, ერთნაირად სანატრელია და საზრუნველი ყველასათვის, ვინც-კი სოფლის საზოგადოებაში სცხოვრობს".**

კიდევ ერთი თავისებურება: **„ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენელობა ჰქონდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს — არა, და ერთს ამით ეჩაგრა** ▶

**«თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთ სახით სწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთგვარად და ერთ სახით გაჭირვების უღელს ეწევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებას და მოვალეობას»**

# „ჩამოაცალეთ სოფლის მმართველობას თვითმმართველობის სიკეთენი, ზედ დაუმატეთ, რომ ის მმართველობა სულ სხვა ნიადაგიდამ არის ამოღებული და გადმორგული, მაშინ ცხადად დაინახავთ, რატომ ჩვენს სოფელს არ მოუხდა ეგრეთ-წოდებული თვითმმართველობა“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეორე. ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა. თუ რაიმე მაგალითებია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენს ხელმწიფეებს კრება მოუხდენიათ და მოუწვევიათ სამღვდელონი და დიდკაცნი რჩევისათვის, ეგ ამ წოდებათა განსაკუთრებითს უფლებას კი არ მოასწავებდა, არამედ უფლებას თვით ხელმწიფისას, რომელიც, თავისის სურვილისამებრ, თუნდა მოიწვევდა და თუნდა არა. ამის გამო, იმ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაპყრობად, გასავრცობად, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა, და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არა ჰქონია.**

ჩვენ ამით იმის თქმა-კი არ გვინდა, რომ ჩვენ ცხოვრებაში სრულიად არ ყოფილა ელემენტები, რომელთ მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე და შეხეთქებამდე მიიყვანდა, თუ დასცალდებოდა. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ, რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკებად დაყოფაც ერისა არ იქნებოდა, არ იყო წყობ-წყობად განცალკევების მიზეზიც ჩვენს ერობაში, რომელიც, თუ თვის ცხოვრებაში უნუგეშობას რასმეს ჰგრძნობდა, საერთოდ ჰგრძნობდა, რადგანაც ყველანი, როგორც ზევითა ვსთქვი, ერთნაირად იყვნენ უფლებას მოკლებულნი, ერთნაირად უხმონი და უტყვნი ქვეყნის საქმეთა გამგეობაში. თუ ევროპას მივხედავთ, იქ სულ სხვა ამბავი იყო.

**შუა საუკუნოებში ერთი განსაკუთრებითი ხელთმოქმედება იყო ევროპაში. ის ხელთმოქმედება მიწის შემუშავება იყო და მის გამო მიწა შეიქმნა ცილების საგნად, რადგანაც იგი იყო პირველი და მხოლოობითი წყარო ქონებისა. ამიტომაც იქ ერობის ორი უპირველესი წოდება — თავად-აზნაურობა და სამღვდელოება — იმის ბრძოლაში დასრულდა, რომ მიწა მარტო ხელში ჩაეგდო და, როცა ჩაიგდო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უფლებაც განმარტოებით დაიპყრა.** პირველი გამოისახა ფეოდალობაში და მეორე მასში, რომ მარტო მიწათმფლობელობა შეიქმნა წარმომადგენელად სახელმწიფო საქმეთა გამგეობასა და წარმართვაში.

მერე, როცა ერი წარმატებაში შევიდა, როცა ვაჭრობა გახშირდა, გახშირდა საფაბრიკო და საქარხნო ხელთმოქმედება, მაშინ ქონებითმა ძალამ სხვა სახე მიიღო. მაშინ მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში. მაშინ მოძრავთა სიმდიდრის პატრონნი შეეცილნენ საზოგადოებრივს და სახელმწიფოებრივს უფლებას მიწისმფლობელთა თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას. ეს შეცილება გათავდა საფრანგეთის დიდ რევოლუციით. ამ რევოლუციამ წამოაყენა მესამე წოდება „ბურჟუაზია“, რომელმაც მიწათმფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგიერად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა.

ამ ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ მოითალა და ის კი, რამაც საკუთრივ შეჰქმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი — შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშაკაცია.

...დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედააზრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა.

ჩვენ ეს მცირედი შენიშვნა იმის საჩვენებლად მოვიყვანეთ, რომ **ევროპაში მიზეზია — და დიდ საბუთიანად, — წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხეთქებისა, ერთმანეთის ცილობისა.**

ჩვენში რა არის, აბა, მაგის მსგავსი? **ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხსენიებოდა და გლეხი კი არა.**

...ეკონომიური ძალი კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწისმფლობელობიდამ წარმოდგება, და ყოველივე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს **ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამა-პაპით დაჩემებული აქვს. თითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავადაზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ამის მაგალითი ხშირია იმერეთში.**

**რაკი ესენი იყო, რაკი უფლება ქვეყნის გამგეობისა მარტო ხელმწიფესა ჰქონდა და არავის სხვას, — ერთსა რა უნდა შეჰშურებოდა მეორესი, ერთი იმისთანას რას დაეხარბებოდა მეორეს, რომ ამით ერთი წყობა მეორეს განზედ გასდგომოდა და ჩაენერგა ის განთვითეულების, გაცალკევების გრძნობა წოდებათა შორის, რომელიც ეხლანდელის ევროპის მწვავს ტკივილს შეადგენს.** აქ, რასაკვირველია, ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც, მაგრამ ჩვენ იმაზედა ვართ დამყარებული, რომ **წოდებათა შორის უფლების ცილება, ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება — რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა.** ამიტომაც არც ზნეობით, არც აზრით, არც გრძნობით, არც მიმართულებით და არც ჩვეულებით, ჩვენი თავად-აზნაურობა არ დაჰშორებია **გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან.** ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ერთს წყობად, ერთს დასად. განა ჩვენში თავადი, აზნაური, ისე მიუკარებელია გლეხისათვის, როგორც სხვაგან?“

ილიას მოჰყავს მაგალითები გლეხთა და თავადაზნაურთა შორის ნათელმირონობისა და დამოყვრებისა, ერთმანეთთან ნადიმობისა, ჭირსა და ლხინში თანადგომისა, რომელთა მოწმეც თავად ყოფილა: **„ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს; რომ ერთმანეთს არამც თუ ეუცხოებიან,**







## ჩვენთვის, საბედნიეროდ, ეს ყველაფერი უცხოა და რა, ხელი უნდა შევუწყოთ, ფეხი რომ მოიკიდოს?! ილიას სიტყვებით თუ ვიტყვით, «ეგ იმას ეგვანება, რომ კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ჰქონდეს სთქვას: სახლს დაგვა უნდაო». რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან რა სასარგებლოა?»

**არამედ ერთმანეთისკენ მიიზიდებიან. ერთის სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს“**

**ილიას აზრით, სწორედ ეს არის ის, რასაც უნდა** შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. თუმცა, „ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება, ხოლო დიდი შეცდომა იქნება, ამისი მიზეზი თითონ წოდებათა წყობას, მის შინაგანს არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედამ წარმომდგარ მიდრეკილებას მივაწეროთ. ამისი მიზეზი იგივეა, რაც თვითოეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა.

...ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთს კვალში ჩაყენება სანატრელი არ უნდა იყოს ყველასათვის? ნუთუ ყოველი ჩვენგანი არ უნდა ცდილობდეს სრულად აღმოიფხვრას, ჩვენთა წოდებათა შორის განხეთქილების მიზეზნი, რომ ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებულის ძალისას? ამიტომაც **დიდად სცოდვენ ქვეყანასა და ხალხსაც, ნამეტნავად ჩვენში, ისინი, ვისაც გულში ჩაუდვია, გინდა თუ არა, განხეთქილება უნდა იყვესო წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო.** განა ევროპა ცოტა დროსა და ღონესა ჰკარგავს, ცოტა სისხლსა ჰღვრის, რომ ეგ განხეთქილება მოსპოს?

**მაშ, საცა ეგ არ არის, რად გვინდა რომ იყოს? ეგ იმას ეგვანება, რომ კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ჰქონდეს სთქვას: სახლს დაგვა უნდაო.**

რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი, ან რა სასარგებლოა? მაგრამ რა? ტვინთხელობა, რომელიც, საკუთარ ტვინს მოკლებული, სხვისით სცხოვრებს და მარტო ბაძით სულდგმულობს, ამ შემთხვევაში, წინათვე ვიცით, კედელი იქნება და, რამდენიც გინდათ ცერცვი შეაყარეთ, არ დაიჭერს“.

„ჩვენის სოფლის თვითმმართველობითი წყობა წარმომადგენელია მარტო ერთის წოდებისა და არა მთელის სოფლის საზოგადოებისა. მთავრობითი მხარეც რომ გავუსინჯოთ ჩვენს სოფლის მმართველობას, აქაც ბევრს სანუგეშოს ვერას ვიპოვით“.

ილია იქვე ყურადღებას ამახვილებს სოფლის მმართველობის იმ ნაკლზე, რომლის წყალობითაც „სოფლის სამმართველო გლეხკაცს მარტო მაზრის უფროსის ჯოხად მიაჩნია, რომელიც დღე მუდამ მის სახლის დირეზედ მიყუდებულია“, ამიტომ „იგი უფრო ნაკლებ სანდომია გლეხკაცისათვის. რაც უნდა იყოს, კაცს ყოველთვის ენდომება, რომ თავში საცემი ჯოხი პატარა შორს იყოს და არა ცხვირწინ, რაკი უამისობა შეუძლებელია. ამიტომაც გლეხკაცი ვერაფრად აფასებს თავის სამმართველოს, რომელიც მისთვის ყველგან არ არის გამოსადეგი არც ფარად, არც ხმლად; ამიტომაც თავის სამმართველოს მოხელე კაცი და თითონ კანონიც მისთვის ჰგონია მოგონილი, რომ მარტო მე მადინოს ცხვირში ძმარიო“.

რაკი არც მოხელე და არც კანონი მოსარჩლედ და მფარველად არ გამოსჩენია, „იმედი აქვს აყრილი კანონზედაც, მის ძლიერებაზედაც, მის მიუდგომელობაზედაც“ და „ამიტომაც იგი ისე გულგრილად ეკიდება მოხელეთა არჩევანის საქმეს: მისთვის სულ ერთია, პეპია იქნება თუ დათუნა. მე ხომ ჩემი ხარჯი და ბეგარა არ ამცდებაო და გაჭირვებაში კიდევ არც ერთს შეუძლიან შველა, და არც მეორესაო, ამბობს გლეხი“.

ილია სინანულით აღნიშნავს, რომ „ამ სახით ჩვენს თვითმმართველობას სოფლისას ჩამოთლილი აქვს ის მხარეც, რომლითაც იგი წარმომადგენელი უნდა იყოს საზოგადოებისა, ესე იგი მთელის სოფლისა, და ის მხარეც მთავრობითის წარმომადგენლობისა, რომლითაც იგი უფრო სანატრელია გლეხკაცობისათვის. ჩვენმა წესდებამ თუმცა კარგა ფართო მოედანი შემოუხაზა სოფლის თვითმმართველობას სავარჯიშოდ და სამოქმედოდ, მაგრამ თითონ ფალავანს-კი ხელ-ფეხი შეუკრა; ამიტომაც ჩვენის სოფლის თვითმმართველობა ასე უნაყოფოა, ასე უმოქმედოა იმ სიკეთისათვის, რომელსაც ყოველი კაცი სამართლიანად გამოელოდა თვითმმართველობისაგან.

**სიკეთისათვის ხომ ასე ფრთამოკვეცილია ჩვენის სოფლის თვითმმართველობა, ბოროტისათვის-კი ფართო გზა აქვს“.**

„თვითმმართველობასა აკლია:

1. ხმა და არჩევნის უფლება უნდა მინიჭებული ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებს, — და არა აქვს;

2. ადგილობრივ სამმართველოსყოველსფერში ყველანი უნდა ექვემდებარებოდნენ, ვინც კი მის წრეშია, და არ ექვემდებარებიან;

3. ყოველივე მოხელე პასუხმგებელი უნდა იყოს ყოველის წინაშე, ვისაც რასმე დაუშავებს, და უნდა იდევნებოდეს საზოგადო სამართლით, და არ იდევნება.

მეოთხე საფუძველიც, თუ დარღვეული არ არის მთლად, შერყეული კი ძალიან არის, სახელდობრ მით — რომ ადგილობრივ მოხელეთა და მოსამართლეთა ყველა, სოფელში მცხოვრები ბინადარი, არ ირჩევს და ირჩევს მხოლოდ გლეხი, ცალკე კომლად კამერალიის აღწერაში ხსენებული.

ყოველ ამის გამო ჩვენის სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს.

**ამას ისიც დაუმატეთ, რომ პირველ ხანებში — და ბევრგან ეხლაც — ჩვენის სოფლის მმართველობას იმისთანა მაზრის მოხელენი შეხვდნენ, რომელთაც, გაუნათლებლობისა და სიბრიყვის გამო, არ ესმოდათ სიკეთე თვითმმართველობისა**... მათ სოფლის სამმართველოს ჩამოაცილეს ის მცირედი სიკეთეც საზოგადოებრივი, რომელიც ნაპერწკალსავით ბჟუტავს წესდების ზოგიერთს მუხლში“.

**„აი ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ გლეხკაცობა არა ჰგრძნობს და არც გამოელის თავის სამმართველოსაგან არარაიმე სიკეთეს და ყველა იგი არც თავისად მიაჩნია; აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის სამმართველო ყოველმხრივ ღონემიხდილია სიკეთისათვის; აი აქ არის სათავე იმ სამდურავისა, რომელიც ყოველ მხრიდამ ისმის სოფლის სამმართველოზედ და მის მოხელეებზედ; აი ეს არის მიზეზი, რომ სოფლის მმართველობას კაი კაცი ერიდება და მოხელეობას არა კისრულობს; აი ეს არის მიზეზი, რომ გლეხკაცი თავს არ იცხელებს, კაი კაცი ამოვირჩიოვო, და თითონ არჩევანიც თამაშისთვის მოგონილი ჰგონია“.**

დასკვნა კი ერთია: „სხვა წესით და სხვა რიგად უნდა მოეწყოს ჩვენში ეს საქმე“.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ლგბტ-თემი დასავლეთს თავის წესებს უკარნახებს



ერიხ ფენინგი (მარჯვნივ), პირველი ღია ჰომოსექსუალი აშშ-ის ქვეითთა ჯარების სათავეში, და მისი „მეორე ნახევარი“

### სოდომელები საზოგადოებას ატერორებენ

კანადის ქალაქ მონრეალში გაიმართა გეიაღლუმი, რომლის საპატიო სტუმარი ბრძანდებოდა ირლანდიის მთავრობის ახალი მეთაური **ლეო ბარადკარი** (არ აგერიოთ ქართულ მიმართვაში: ლეო, ბარი დაჰკარი). ბარი დაჰკარი კი არა, იმ დონის პირველი პოლიტიკოსია, ვინც არ მალავს თავის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას, რომლის აღსრულებისას ბარისა და ცოცხის (სააკაშვილის ჟამიანობის დროინდელი საქართველოს გამოცდილება) გამოყენება საჭირო არ არის: საკუთარი ბუნებრივი საშუალებებითაც იოლად გადიან — არჩევანი — მე, არადანი — შენ, და მიდი, მიაწექ, ამხანაგო ლეო!

არადა, აქამდე ირლანდია კათოლიციზმის ერთ-ერთ საყრდენ ქვეყნად ითვლებოდა.

მართალია, ლეოზე დასავლეთის პრესა ბევრს წერდა, მაგრამ პირველობა მაინც ვერ მოუპოვა. პირველი არატრადიციული სექსუალი მაინც სხვა დარჩა. ეს სხვა **იოჰანა სიგურდარდოტირია** — ირლანდიის მთავრობის პრემიერმინისტრი. ქალიც ეგ არის და კაციცა, რადგან ჯერ (პირველ ქორწინებაში ყოფნისას) სამი ბიჭი შვა, მაგრამ შემდეგ ეს ქალბატონი სუსტ სქესზე გადაერთო და ადგილობრივ ჟურნალისტ ქალზე იქორწინა. სიგურდარდოტირი მარტო რომ იყოს, აიტანდა ევროპული საზოგადოებრიობა, მაგრამ აქ მთელი სიაა მამათმავალთა და ტრანსგენდერთა: ბელგიას 13 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჰომოსექსუალი **ელიო დი რუპო.** 2013 წელს ლუქსემბურგის მთავრობას სათავეში ჩაუდგა **ქსავიე ბეტელი**, რომელმაც ოფიციალურად დაარეგისტრირა გეიქორწინება.

ახლახან კი გაუგონარი ამბავი მოხდა. მართლმადიდებლურ სერბეთში მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელად დაინიშნა ლესბოსელი **ანა ბრნაბიჩი.**

გაცილებით მეტი გეია ერთი რანგით დაბლა მდგომ მოხელეთა შორის. ლგბტ-თემის წარმომადგენელია აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდალი **ერიკ ფენინგი;** ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი



ემანუელ მაკრონზე დადის ჭორი, რომ მეუღლე მხოლოდ საფარია, მისი „განსაკუთრებული“ გადახრებისთვის

**ედგარ რინკევიჩი;** იტალიის სიცილიისა და აპულიის გუბერნატორები — **როზარიო კროჩეტა** და **ნიკი ვენდოლა,** პარიზის ექსმერი — **ბერტრან დელანოე;** ბერლინისა — **კლაუს ვოვერაიტი** და ჰამბურგისა — **ოლე ბოისტი.** ასევე, ბევრი გავლენიანი კანონმდებელი და მოხელე კონსერვატიულ ისრაელშიც კი.

### ბრიტანეთის სექსსათვისტომო

მავანი იტყვის: „კისერიც უტეხიათ! მთავარია, ადამიანი იყოს წესიერი და საქმის მცოდნე“. ლოგიკურია. მაგალითად, **კლაუს ვოვერაიტმა** ბერლინი სტუმრიანობით ევროპის მესამე ქალაქად აქცია. ჩამორჩა მხოლოდ ლონდონსა და პარიზს. სიცილიის „ცისფერი ბოსი“ კი ისე წარმატებით ებრძოდა მაფიას, რომ მას სამჯერ დაესხნენ თავს.

მაგრამ საკითხი მხოლოდ საქმეს რომ ეხებოდეს, პრობლემა არ იარსებებდა. 2013 წელს **ვლადიმერ პუტინმა** ჟურნალისტის შეკითხვას არატრადიციონალისტების შესახებ ასე უპასუხა: „რუსეთის ფედერაციაში არავინ არღვევს სექსუალური უმცირესობების უფლებებს. ეს ადამიანები სარგებლობენ ყოველგვარი უფლებით და თავისუფლებით. სამსახურში მათ აწინაურებენ. თუ დაიმსახურებენ, ორდენებითა და მედლებით აჯილდოებენ, საპატიო წოდებებს ანიჭებენ. ასეთია ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკაა. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი დარჩება ისე, როგორც ამჟამადაა“.

დასავლეთში არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია თვითმიზანი და თვითშეფასების საზომი ხდება. ნეოლიბერალური პრესა ლგბტ-თემის წარმომადგენლების ძალაუფლების სტრუქტურებში გამოჩენას „ტოლერანტობის გამარჯვებად“ გვიხატავს, მაშ, ჰეტეროსექსუალის დანიშვნა დამარცხებაა?! რა საჭიროა საქმის დაკავშირება საწოლის ვნებებთან?! საჭიროა თურმე იმიტომ, რომ უმრავლესობას გაუჩნდეს ბრალის გრძნობა „სხვანაირთა“ მიმართ და ამიტომ მათთან გადაკიდება გულში არ უნდა გავივლოთ. „ცისფერმა ლობიმ“ ამ მიმართულებით სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

გასული საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში რესპექტაბელურ პრესაში შეიძლებოდა ბრიტანეთის მთავრობაში გეების მოძალების საკითხის გადაყენება. ჟურნალისტები წერდნენ, რომ თანამდებობებს არიგებენ სექსსათვისტომოს პრინციპით, რაც ვნებს სახელმწიფოს ინტერესებს, დღეს ამგვარი წერილების გამოქვეყნება წარმოუდგენელია.

### უშვილძირო ევროელიტა

დასავლელმა ჟურნალისტებმა ახლახან ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ევროპელი ლიდერები ერთი საერთო ნიშნით გამოირჩევიან. გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი,** დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი **ტერეზა მეი,** საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი,** შვედეთის პრემიერი **სტეფან ლევენი,** იტალიის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი **პაოლო**



ჰამბურგის ექს-მერი ოლე ბოისტი ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად

**ჯენტილონე** და მისი ნიდერლანდელი კოლეგა **მარკ ტიურე,** ასევე, ევროკომისიის თავმჯდომარე **ჟან კლოდ იუნკერი** — ყველანი უშვილოები არიან. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ისინი ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა შორის სიყვარულის მიმდევრები არიან. მთავარი სხვაა: ისინი თავიანთ პრიორიტეტად არ მიიჩნევენ ტრადიციული ოჯახური ინტერესების დაცვას.

ლგბტ და ტოლერანტობა რომ სინონიმებია, მითია და სიცრუე. ისინი მხოლოდ საკუთარ ღირებულებებს იცავენ და ღმერთმა დაიფაროს ყველა, ვინც მათ წინააღმდეგ გალაშქრებას გაბედავს. მწერალი **მიხეილ ფრიდმანი** აღწერს შემთხვევას, როცა ამერიკელმა მოსწავლემ მაღაზიაში დაუკვეთა მაისური წარწერით „ჩემი პრაიდი“ და ფოტოსურათით, რომელზეც ხელჩაკიდებული დგანან გოგო და ბიჭი, ყმაწვილს უჩივლა ლესბოსელმა ქალმა. საქმეში ჩართეს სკოლის დირექტორი. ბიჭი აიძულეს, გაეხადა მაისური. მაგრამ ამერიკულ ანკეტებში „დედისა“ და „მამის“ დასახელების გაუქმების ფონზე, ეს ფაქტი მხოლოდ ყვავილნარია.

სხვათა შორის, ჰიტლერი ხელისუფლებაში **ერნსტ რემის** აგრესიულმა მამათმავალმა „მოიერიშეებმა“ მიიყვანეს. მათაც სურდათ ერის კულტურული კოდის შეცვლა. ეს მისწრაფება 1934 წელს მათთვის „გრძელი დანების ღამის“ ტრაგედიით დასრულდა.



პარიზის ექს-მერი ბერტრან დელანოე (მარცხნივ) გეი აღლუმზე ლაიზა მინელისთან ერთად



ლუქსემბურგის პრემიერმინისტრი ქსავიე ბეტელი (მარჯვნივ) ქმართან ერთად

**მაღალი საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების მიუხედავად, შვედეთი გამოირჩევა ძალადობრივი დანაშაულის ბევრი შემთხვევით, რომელთა ძირითადი წყარო ქუჩის ბანდები და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები არიან. ამ ქვეყანაში იშვიათი არ არის არც ციხეების შტურმი „ავტორიტეტების" გასათავისუფლებლად და არც პოლიციის განყოფილებისთვის ხელყუმბარების სროლა. ჩვეულებრივ ამბად იქცა შეიარაღებული ძარცვა და სროლები ქუჩაში, რადგან სამეფოში ბევრია იარაღი და არც მისი შოვნაა რთული საქმე.**

მულტიკულტი-რიჟიმის კრახი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შვედებს შვედეთიდან აძევებენ

**შვედეთის არაბული პარტია გამოვიდა მოწოდებით, ქვეყნიდან გაასახლონ მკვიდრი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი მიგრანტებისა და „მრავალფეროვნების" იდეის მიმართ. ცოტა ხნით ადრე ქვეყანაში აღირიცხა ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების მიერ ჩადენილი ქუჩაში ძალადობის, ანტისემიტიზმისა და ხულიგნობის ბევრი შემთხვევა, რაც გასაკვირია ამ მაღალ განვითარებულ სკანდინავიურ ქვეყანაში. რა ელის შვედეთს?**



ერთი თვეა, რაც შვედეთის არაბული პარტია დარეგისტრირდა, მაგრამ სახელი გაითქვა ლოზუნგით, რომლის მიხედვითაც შვედეთიდან უნდა გააძევონ ის შვედები, რომლებსაც არ მოსწონთ მულტიკულტურიზმისა და ეთნიკური მრავალფეროვნების პრინციპები.

არადა, ქვეყნის მოსახლეობის, სულ ცოტა, მეხუთედია ასეთი. 2018 წლის არჩევნებში ნაციონალისტურმა პარტიამ („შვედი დემოკრატები"), რომელიც მიგრაციის მკვეთრად შემცირებას მოითხოვს, ამომრჩეველთა ხმების 19% მოიპოვა და მესამე ადგილზე გავიდა.

**„თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ. თქვენი შვედეთი, რომლის დაბრუნებაც გსურთ, წარსულს ჩაბარდა",** — ასე გააფრთხილა შვედები არაბული პარტიის მდივანმა **კრარ ალ-ჰამედემ,** პარტიის ძირითადმა პროპაგანდისტმა, რომელმაც მთავარ სააგიტაციო მოედნად „ფეისბუკი" აირჩია.

**ალ-ჰამედეს აზრით, გადასახლება ყველას წაადგება, განსაკუთრებით შვედ პენსიონერებს, რომლებისთვისაც ძალიან მძიმეა ახალ რეალობასთან შეგუება. ახლა მათი სახლი შეიძლება იყოს პოლონეთში, ახალ ზელანდიაში ან ტაილანდში, ხოლო შვედეთის სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა დაიკისროს ამ არასაკმარისად ტოლერანტული მკვიდრი მოსახლეობის ახალ ადგილებზე გადასახლებისა და საცხოვრებლით მათი უზრუნველყოფის ხარჯები.**

კრარ ალ-ჰამედეს აზრით, არანაირი მკვიდრი მოსახლეობა არ არსებობს და ჩვენ, ყველანი, რომელიღაც თაობის მიგრანტები ვართ, უახლოესი მომავლის საერთო ამოცანა კი ერთმანეთში არევა და ჰარმონიულად ცხოვრებაა.

ამ განცხადების მიუხედავად, **არაბების პარტიას განზრახული აქვს, ზოგიერთი შვედი, განსაკუთრებით ნეოკონსერვატორი, ქვეყნიდან ძალის გამოყენებით გააძევოს უმცირესობის მიმართ გამოხატული აშკარა შოვინიზმის გამო. არაბებმა განაცხადეს, რომ სიას შვედებისა, რომლებიც ქვეყნიდან გაძევებას იმსახურებენ, მალე წარმოადგენენ.**

ამ თავხედობის შეფასება, ალბათ, თავგადაკლულ ლიბერალებსაც კი გაუჭირდებათ. შვედეთის სამეფო, უკვე დიდი ხანია, სამოთხედ ითვლება მიგრანტებისთვის, რომლებმაც ეს აყვავებული ქვეყანა ლამის ჯოჯოხეთად აქციონ.

რამდენიმე დღის წინათ დანიელმა მემარჯვენე აქტივისტებმა 2 ყურანი არადანიშნულებისამებრ გამოიყენეს — ერთი დაწვეს, მეორეთი ფეხბურთი ითამაშეს. ამის საპასუხოდ **გაიმართა დიდი მიტინგი, ოღონდ არა დანიაში, არამედ შვედეთის ქალაქ მალმეში. მიტინგის მონაწილეებმა ჯავრი ქალაქის ინფრასტრუქტურაზე იყარეს, პარალელურად ანტიებრაულ სიმღერებს მღეროდნენ. არაბულმა პარტიამ ამ ინციდენტის შემდეგ განაცხადა, რომ დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის ხარჯები დანიელმა პროვოკატორებმა უნდა გაიღონ.**

ზემოხსენებული კრარ ალ-ჰამედეც მალმეში ცხოვრობს — ქვეყანაში სიდიდით მესამე ქალაქში, რომლის მოსახლეობის ნახევარს მიგრანტები და მათი შვილები შეადგენენ. **მალმეს უწოდებენ შვედეთის კრიმინალურ დედაქალაქს, რომლის ზოგიერთ რაიონში სასწრაფო დახმარებისა და კომუნალური სამსახურის თანამშრომლები პოლიციის გარეშე შესვლას ვერ რისკავენ.**

შვედეთი, მაღალი საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების მიუხედავად, გამოირჩევა ძალადობრივი დანაშაულის ბევრი შემთხვევით, რომელთა ძირითადი წყარო ქუჩის ბანდები და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები არიან. ამ ქვეყანაში იშვიათი არ არის არც ციხეების შტურმი „ავტორიტეტების" გასათავისუფლებლად და არც პოლიციის განყოფილებისთვის ხელყუმბარების სროლა. ჩვეულებრივ ამბად იქცა შეიარაღებული ძარცვა და სროლები ქუჩაში, რადგან სამეფოში ბევრია იარაღი და არც მისი შოვნაა რთული საქმე. **სპეციალისტთა გათვლებით, 1995-2016 წლებში შვედეთში დანაშაულის უმრავლესობა ბანდების წევრებმა ჩაიდინეს, მაგრამ შვედეთის პრემიერმინისტრმა სტეფან ლევენმა მხოლოდ 2019 წელს აღიარა კავშირი ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევების მატებასა და მიგრაციას შორის.** ამ საკითხზე დისკუსია ძალიან გამწვავდა ბოლო პერიოდში, რადგან შვედეთმა მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით მეტი ლტოლვილი მიიღო ახლო აღმოსავლეთიდან, ავღანეთიდან და აფრიკიდან. შვედური **„ღია კარის" პოლიტიკის სხვა შედეგი არის ანტისემიტიზმი და ისლამიზმი, რომლის რუპორებიც არაერთხელ გამოსულან მოწოდებებით, შვედეთი გაეწმინდათ ებრაელებისა და ურწმუნოებისგან. ოღონდ ამ რუპორებს ადრე აღიქვამდნენ, როგორც ექსტრემისტებს, ახლა კი მსგავსი პროგრამით ლეგალური არაბული პარტია 2022 წელს პარლამენტში შესასვლელად ემზადება.**

> **არაბული პარტია მაქსიმალურად შორს დგას წვეროსნებისგან, რომლებიც ოცნებობენ სრულიად ევროპაში შარიათის კანონების დაწესებაზე, თავისი სახელწოდების საწინააღმდეგოდ, ის მაქსიმალურად ახლოს არის გლობალურ მემარცხენე ინტერნაციონალიზმთან, მათ შორის იმ «ანტიფასთან», რომელიც ახლა «იმპერიალისტურ აშშ-ს» ანგრევს**



ამბობენ, რომ ამ პარტიის უკან ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები და რადიკალურად განწყობილი მოლები დგანან, მაგრამ სინამდვილეში ის გაცილებით სახიფათოა და ბევრი რამის გაფუჭება შეუძლია.

არაბული პარტია თავის პოტენციურ წევრებს მიგრანტების საზომით დრაკონულ მოთხოვნებს უყენებს: **პარტიელებმა შვედეთში უნდა დაამთავრონ კოლეჯი, სჯობს — უნივერსიტეტი, და არ ჰქონდეთ არა მხოლოდ ნასამართლეობა, არამედ, პოლიციის განყოფილებაშიც კი არ უნდა იყვნენ ნამყოფი ბოლო 5 წლის განმავლობაში. ამასთანავე, პარტია, რომელიც თავს არაბი ხალხის წარმომადგენლად მიიჩნევს, სოციალისტური პრინციპების დამცველია.** ეს ამ პარტიას მიაკუთვნებს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის პანარაბულ მოძრაობას, როდესაც ნაციონალიზმი გაერთიანებული იყო მარქსიზმთან და რომელსაც მხარს საბჭოთა კავშირი უჭერდა. სხვა საქმეა, რომ **გამალ აბდელ ნასერის, ბაშარ ასადის, მუამარ კადაფის, სადამ ჰუსეინისა** და სხვათა რეჟიმებმა, სურვილის მიუხედავად, ვერ განაგრძეს მარცხნივ ისე სვლა, როგორც თანამედროვე შვედმა არაბებმა. **არაბული პარტიის წევრებს აკრძალული აქვთ ნებისმიერი რელიგიური ატრიბუტიკის გამოყენება, ამასთანავე, პარტიის რიგებში შესვლისკენ აქტიურად მოუწოდებენ ქალებს, ებრაელებსა და გეებს. პარტიის პროგრამის რამდენიმე თეზისში ლაპარაკია ფემინიზმის მხარდაჭერასა და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვაზე.**



მოკლედ, არაბული პარტია მაქსიმალურად შორს დგას წვეროსნებისგან, რომლებიც ოცნებობენ სრულიად ევროპაში შარიათის კანონების დაწესებაზე, და თავისი სახელწოდების საწინააღმდეგოდ, მაქსიმალურად ახლოს არის გლობალურ მემარცხენე ინტერნაციონალიზმთან, მათ შორის იმ „ანტიფასთან", რომელიც ახლა „იმპერიალისტურ აშშ-ს" ანგრევს.

უნდა აღინიშნოს, რომ **შვედეთში პარტიების შექმნა ძალიან ადვილია. ამჟამად მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულია. არის იმიგრანტების პარტიაც, ფემინისტებისა და იმ ადამიანებისაც, რომლებსაც დანიასა და ნორვეგიასთან გაერთიანება სურთ; მათაც, ვინც შვედეთის სამხრეთით მდებარე პროვინცია სკონეს (სხვათა შორის, მალმე სწორედ იქ არის) დამოუკიდებლობას მოითხოვს.** არაბულმა პარტიამ შეიძლება ან პატარა პარტიების რიგები შეავსოს, რომლებსაც გავლენა არ აქვთ, ან წარმატებას მიაღწიოს.

საქმე ის არის, რომ შვედეთში არაბული დიასპორა, რომლის მხარდაჭერის იმედიც აქვს პარტიას, საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

**შვედები სიამოვნებით იღებდნენ ერაყელ ლტოლვილებს, შედეგად 2010 წელს შვედეთის მოქალაქეების 5% არაბული წარმოშობის იყო. ახლა, სირიისა და ლიბანის ომების შემდეგ ასეთი მოქალაქეების რაოდენობა გაცილებით მეტია. და რადგან ლაპარაკია ტოლერანტულ შვედეთზე, იქ არაბული ინტერესების გატარება ულტრამემარცხენე ლოზუნგებით გაცილებით იოლია, ვიდრე „შარიათული შეფუთვით" — მემარცხენე ლოზუნგებს შეიძლება ზოგიერთმა შვედმაც კი დაუჭიროს მხარი.** აქედან გამომდინარე, არაბულ პარტიას პარლამენტში მოხვედრის შანსი აქვს. პარტია არაბული დიასპორისთვის სოციალური ლიფტი იქნება, მემარცხენეებისთვის — იდეური მოკავშირე კაპიტალიზმთან, იმპერიალიზმთან, ფაშიზმსა და სექსიზმთან ბრძოლაში.

სხვა საკითხია, ვის ინტერესებს დაიცავს ეს პარტია და ჩაერთვებიან თუ არა მის საქმიანობაში დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებსაც აქვთ რესურსი და პოლიტიკური გავლენის მოპოვებას ცდილობენ. აი ამ საკითხების გადაწყვეტა მოუწევთ შვედებს, სანამ ისინი ჯერ კიდევ არ გაუსახლებიათ ახალ ზელანდიაში.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

## ჯიბის წიგნაკიდან

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საააკაძის გამწვანებულ მოედანზე წამოყუდებული სახლის რვა სართულზე აკრული ერთი ყოფილი მინისტრის, ამჟამად დეპუტატობის კანდიდატის გიგანტური პორტრეტი თავისი ცათამბჯენობით დიდი მოურავის ძეგლს ბავშვების სათამაშო ჯარისკაცის ციცქნობამდე აკნინებს.**



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33, 2020 წ.)

# ჩანაწერები არაფერზე

## იმიერ ძალებთან წინასაარჩევნოდ შეკრული ხელისუფლება

ხომ არნახული იყო 2020 წლის 28 აგვისტოს მეხთატეხა ქობულეთში, „სასწაული" მაინც უფრო ადრე მომხდარა — წლევანდელი მზიანი ივნისის ერთ მშვიდ საღამოს.

— მოულოდნელად შავმა ღრუბელმა დაფარა აქაურობა, — იხსენებს ბატონი გოგი გოგიტიძე, — ჩამობნელდა, თავსხმა წვიმა წამოვიდა, იჭექა, იქუხა, იგრიალა და, როგორც შემდეგ მეზობლებმა მითხრეს, ეს ჩემი სასტუმრო ელვის თვალისმომჭრელ ნათებაში გაეხვია.

ჩვენ შინ ვიყავით *(გოგიტიძეები იქვე, სასტუმროს პირველ სართულზე ცხოვრობენ. —* ***ა.ს.****)*, მაგრამ ვერაფერი ვიგრძენით. მეხი იყო თუ ელვა, დღემდე არ ვიცი, ხოლო, რაც ბუნების ამ სასწაულს მოჰყვა, სრულად ვიგრძენი, რადგან დიდ ზარალად შემომიბრუნდა.

სასტუმროში მოწყობილი მქონდა კარგად აღჭურვილი ჩემი კერძო საკაბელო სტუდია, შვიდი სატელევიზიო არხის ჩვენება შემეძლო. სწორედ ეს სტუდია, ყველა ელექტროგამტარი და ელექტრომოწყობილობა შეიწირა იმ გაელვებამ, გადაიწვა ლიფტის ძრავა, ექვსსართულიანი შენობის სასიცოცხლო არტერია.

გაითიშა ყველა ტელეარხი. გადარჩა მხოლოდ ერთი... როგორ გგონიათ, რომელი?

— ვერაფერს გეტყვით.

— გადარჩა მხოლოდ „იმედი", როგორც ოპოზიცია ამბობს, „სახელისუფლო ტელეარხი".

ამბობს. მაგრამ, **თუ სააკაშვილის დანაბარებს გადავიდნენ და გაზეთების კითხვა დაიწყეს, თუ შემთხვევით ჩვენი პუბლიკაციიდან ამ ფაქტის შესახებაც შეიტყვეს, მაშინ, გიყვარდეს, პლანეტარულ კუდს გამოაბამენ: საქართველოში მხოლოდ ერთპიროვნული რეჟიმი კი არ მძვინვარებს, არამედ იგი (ეს რეჟიმი) იმიერ (საიქიო) ძალებთან არის შეკრული და ბუნების მოვლენებიც კი წინასაარჩევნო პროპაგანდის საშუალებად აქვს გამოყენებულიო.**

აბა, სხვანაირად რით შეიძლება აიხსნას, რომ „ომეგა-117"-ში მხოლოდ „იმედი" გადაურჩა გადაწვას, სხვა ყველა არხი კი გაითიშა?!

არ იტყვიან?!

ამაზე დიდი სისულელე არ გსმენიათ ნაცებისა და მათი ანასხლეტებისგან? „მართალში რას იძლევი, ტყუილი რომ გითხრა?"

ამიტომ საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგები, როგორიც გინდა იყოს, ამთავითვე გაყალბებულად უნდა ჩაითვალოს! სახელისუფლო რესურსის გამოყენება მასთან რა მოსატანია: დედაკაცების ორლობეში წაჭორიკნებასავითაა.

ჯერ კიდევ როდის თქვა თბილისის აშუღმა **საიათნოვამ:**

**„საიათნოვა მქვია,**
**არუთინა ვარ,**
**სიტყვას ვიტყვი,**
**ცამ ქუხილი დაიწყოს".**

ესენიც იტყვიან! სააკაშვილის სინდის-ნამუსი დამიდვია ფსონად.

ქუხილი იყო? — იყო. სიტყვა ითქვა? — ითქვა.

არუთინა ვინ არის, ჩემი შეხსენება არ გჭირდებათ...

ამასობაში გოგი გოგიტიძემ სასტუმროს ლიფტი აამუშავა.

ძვირი კი დაუჯდა... სიტყვამ მოიტანა და ერთი შენიშვნის უფლება მეც ხომ მაქვს? — მაქვს.

თემა: არჩევნები და გემოვნება. ფაქტი: **საააკაძის გამწვანებულ მოედანზე წამოყუდებული თხუთმეტ (თუ თექვსმეტ) სართულიანი სახლის რვა სართულზე აკრული ერთი ყოფილი მინისტრის, ამჟამად დეპუტატობის კანდიდატის გიგანტური პორტრეტი, რომელიც თავისი ცათამბჯენობით დიდი მოურავის ძეგლს ბავშვების სათამაშო ჯარისკაცის ციცქნობამდე აკნინებს.**

საქართველოში არასოდეს, **სტალინის** სიცოცხლეშიც კი, არ გამოუფენიათ ბელადის ასეთი ჰიპერტროფიული მოცულობის პორტრეტი, „დინამოს" ფეხბურთელების — კი. ეტყობა, ჩვენი დიდების ზღვარი აქ გადის მაინცდამაინც, ჩვენ კი არაფერი ვიცოდით აქამდე. „ლელომ" იცოდა, თორემ დეპუტატობის თავისი კანდიდატის უზარმაზარ პორტრეტს სოციალისტური შრომის ორგზის გმირის ვარსკვლავივით არ მიუკიდებდნენ „ოცნებისას"...

„დაინტერესებულ ძალებს" „ოცნების" საარჩევნო შტაბში საგანგებოდ ხომ არ ჰყავთ შეგზავნილი ისეთი პიარტექნოლოგები, რომლებიც თავიანთი გრანდიოზომანიით გამიზნულად აღიზიანებენ ხალხს და საზოგადოებრიობას „ქართული ოცნების" წინააღმდეგ განაწყობენ?!

## როცა ოფიცერი რაინდია

ყურს თუ ყოველდღე ახალი ამბები არ ესმის, დაყრუვდებაო, — ამბობს ქართული ანდაზა. ამბავი, რომელსაც ახლა გოგი გოგიტიძე მოგვითხრობს, მეორე მსოფლიო ომის დროინდელია. მაშასადამე, ძველი.

რამდენჯერაც ვთხოვე, საკუთარ ცხოვრებაზე მოეთხრო რამე, მამაზე იწყებს ლაპარაკს.

ამჯერადაც ასეა.

— ამ ამბავს ერთი თოფის ისტორიაც შეიძლება დავარქვათ. ეს სანადირო იარაღი კაიზერების ოჯახის სახელოსნოში გაუკეთებიათ. ერთადერთი ეგზემპლარია. უნომრო. უნიკალური მახასიათებლებით საუკეთესო და გამორჩეული. დამზადებულია 1892 წელს ბერლინში ოსტატ ფორესტერის მიერ, რაც დაახლოებით იმავეს ნიშნავს, ვიოლინოზე რომ იტყვიან, სტრადივარიუსის ნახელავიაო.

წითელი არმია კენიგსბერგის, ახლანდელი კალინინგრადის მისადგომებთან უტევს ფაშისტებს. მამაჩემის განკარგულებაშია დივიზიის მძიმე მძიმე არტილერიის საგანგებო დაზვერვის ბატალიონი. მამას, კადრის ოფიცერს, 1942 წელს ფრუნზეს აკადემიაში სასწრაფოდ დაამთავრებინეს უმაღლეს ოფიცერთა კურსები (წითელ არმიას მაშინ კატასტროფულად აკლდა ოფიცერთა შემადგენლობა)



პოდპოლკოვნიკი რუსლან გოგიტიძე



ის უნიკალური თოფი

**გაითიშა ყველა ტელეარხი. გადარჩა მხოლოდ ერთი... როგორ გგონიათ, რომელი? გადარჩა მხოლოდ «იმედი», როგორც ოპოზიცია ამბობს, «სახელისუფლო ტელეარხი»**



„სასწაული" ასეთ ღამეს მოხდა

და მას შემდეგ მოქმედ არმიაში პოდპოლკოვნიკის წოდებით იბრძოდა.

ბატალიონის დანიშნულებაა, შეტევის მოსამზადებლად მტრის ზურგში ფარულად შეაღწიოს, დაზვეროს და შეარჩიოს ტექნიკის გადაადგილების გზები, ხიდები და ა.შ. პლაცდარმების მოსაწყობი ადგილები და შემდეგ წინასწარ შერჩეულ პოზიციებზე ორგანიზებულად გადაიყვანოს „ომის ღმერთად" წოდებული არტილერია.

ამ ქვედანაყოფის ოპერატიულ ქმედებაზე დიდად იყო დამოკიდებული დაგეგმილი ოპერაციის შედეგი. პოდპოლკოვნიკ გოგიტიძის ქვედანაყოფი ყოველთვის წარმატებით ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას.

მაშ ასე, წითელი არმია კენიგსბერგს უტევს. ბატალიონის ოთხკაციანი ჯგუფი, პოდპოლკოვნიკ რუსლან გოგიტიძის მეთაურობით, მტრის ზურგში მოქმედებს.

— აღმოსავლეთ პრუსიის ტყეებში უამრავი ნადირი ბინადრობს: ირემი, შველი, გარეული ღორი, ფრინველები ნაირ-ნაირი. შესანიშნავი სამონადირეო ადგილებია. ამ სიკეთეს მესამე რაიხის ბელადები, განსაკუთრებით, **გერინგი,** მაქსიმალურად იყენებდნენ, — მიყვება ბატონი გოგი გოგიტიძე, — ამიტომ არ გაკვირვებიათ ჩვენებს, ტყეში გაყვანილმა გზამ შესანიშნავ სასახლესთან რომ მიიყვანა — „მონადირის სახლთან". შემდეგ დააზუსტეს, რომ სწორედ აქ იკრიბებოდნენ ვერმახტის მაღალჩინოსნები. მოკრძალებით არ უკითხავთ, შეიძლება გესტუმროთ თუ არაო, შეგრიალდნენ, შელეწეს იმ სასახლის კარი. შენობის მთავარ დარბაზში ორი გაფითრებული და კედელს აკრული ადამიანი დახვდათ, იქაურობის მომსახურე პერსონალი. ხანში შესული მამაკაცი, როგორც ახლა იტყვიან, მენეჯერად, ქალი ამ კაცის ცოლად წარუდგნენ.

კედელზე ნადირ-ფრინველის მიკრულ ფიტულებს შორის თოფების სტენდი იყო მოწყობილი. მამაჩემის ყურადღება სწორედ ამ კოლექციამ მიიპყრო.

აქაური ფუფუნების შემყურე ჩვენი ჯარისკაცები, რომლებმაც უკან მოიტოვეს გადამწვარი, ფაშისტებისგან მიწასთან გასწორებული სამშობლო და კაციჭამიების მიერ უმიზეზოდ დახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობის ცხედრებით სავსე, კოლექტიურ საფლავებად წოდებული თხრილები, ვერ იტყოდი, მეგობრულად იყვნენო განწყობილი. როდის იფეთქებდა სიძულვილის ნაღმი და მილეწავდა აქაურობას, ვერავინ განსაზღვრავდა. თუ იფეთქებდა, ვერავინ შეაჩერებდა. მამამ ეს უცებ იგრძნო. თან ხედავს, რომ იმ კაცის ცოლი ჟესტებით რაღაცას ანიშნებს, თითქოს შველას ითხოვს, ევედრება.

უნდა გითხრათ, რომ კოლომნის სამხედრო სასწავლებელში (რომელიც მამამ თავდაპირველად დაამთავრა) კურსანტებს გერმანულს ასწავლიდნენ, მომავლის შესაძლო ვარიანტები ამ შემთხვევაშიც წინასწარ იყო გათვლილი.

არ გასჭირვებია საბჭოთა ოფიცერს ადგილობრივ მკვიდრთან კონტაქტის დამყარება: რა გაწუხებთო?

იმ ქალმა გვერდით ოთახში გაიყვანა და ორი არასრულწლოვანი გოგონა დაანახვა, ერთმანეთს მიკრული, აკანკალებული და ატირებული, — ესენი გადამირჩინეთო.

— შნაპსი თუ გაქვთო, — შეეკითხა მამა. — კიო, სარდაფი სავსეა შნაპსის ბოთლებით.

ამოიტანეთ და ჩემს ჯარისკაცებს უხვად გაუმასპინძლდითო. სანამ ქალი მის რჩევას ასრულებდა, მამა თოფების სტენდს მიუბრუნდა, ყურადღებით დაათვალიერა და ექსპოზიციიდან ერთ-ერთი ჩამოიღო. ულამაზესი იარაღი იყო და, როგორც შევატყვე, განსაკუთრებით გამორჩეულიო, — იხსენებდა შემდეგ.

გერმანელმა, იმ სახლის მეთვალყურემ, დაუდასტურა, ასეაო. გატყობთ, მონადირე ბრძანდებით და უნდა გითხრათ, ამ კოლექციის საუკეთესო ექსპონატი შეარჩიეთო... მაგრამ თოფების მახასიათებლების შესახებ საუბრის არც დრო მქონდა, არც სურვილი და მე და ჩემმა ჯარისკაცებმა გზა განვაგრძეთო.

კენიგსბერგზე შეტევისას მამა დაიჭრა, ისე მძიმედ, რომ საჭირო გახდა მისი ჰოსპიტალიზაცია.

— სანიტარული ოთხთვალათი გადავყავდით, ბელარუსის ტერიტორიისკენ ვბრუნდებოდით. რკინიგზის გადასასვლელთან შეგვაჩერეს. ვხედავ, ჩვენგან არც ისე შორს, ლტოლვილების რიგში, დგას პატარა პიკაპი, საოჯახო ბარგი-ბარხანით დახუნძლული. მანქანის კარი გაიღო, ვიღაც ქალმა დაკვირვებით დამათვალიერა და ჩემკენ წამოვიდა. ოთხთვალას რომ მოუახლოვდა, კიდევ ერთხელ დამაკვირდა, მუხლებზე დაემხო და ატირდა:

— მადლობელი ვარ, ბატონო ოფიცერო, ოჯახი რომ გადამირჩინეთ.

გავიხსენე, ვინც იყო: ომის ორომტრიალში იმდენი რამ გადაგხდება, ასეთი დეტალები მალე გავიწყდება.

— წამოდექით, უხერხულ მდგომარეობაში ნუ მაგდებთ-მეთქი, — ვთხოვე.

ამასობაში ვხედავ, კაცი ამოუდგა გვერდით, წამოაყენა და მადლობა ისე შემომღაღადა, თითქოს ხატის წინ ლოცულობდა. ვიცანი — იმ ქალის ქმარი იყო, რომელმაც სანადირო თოფის შერჩევა შემიქო.

სანამ ჩვენ ამ „ცერემონიით" ვიყავით დაკავებულები, გზა გაიხსნა.

— სულ ერთი წუთით მომიცადეთ, — შემევედრა ის გერმანელი, შეტრიალდა და თავისი პიკაპისკენ გაიქცა.

იოლი სათქმელია ერთი წუთით მოცდა, მაგრამ, როცა გზაზე დგახარ, რომელზეც ერთი ნაკადი ფრონტისკენ მოძრაობს, მეორე — საპირისპიროდ მიედინება, წუთი საათად გაიჭიმება. თან ორივე მხრიდან გიყვირიან, მოძრაობას ნუ აბრკოლებო.

გავუძელი რაღაცნაირად, მოვარდა აქოშინებული ის გერმანელი და ფუტლარში ჩადებული თოფი სასწრაფოდ შემომაჩეჩა: თქვენ რომ მოგეწონათ, ის არისო.

ვერც უარის თქმა მოვასწარი, ვერც სამადლობელი სიტყვების: ცოტა ხნით შეჩერებულმა ნაკადებმა გზა გაიკვალა და ყველა სურვილი და შესაძლებლობა თან გაიყოლა. საპირისპირო მიმართულებით.

— მას შემდეგ ის თოფი ჩვენთან ინახება, — ეს უკვე ბატონ გოგის სიტყვებია.

**არმაზ სანებლიძე**
**ქობულეთი — თბილისი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



**ჭადრაკისა და კრივის მოყვარულთათვის შექმნილია სპორტის სახეობა CHESS BOXING-ი, რომელშიც კენტ რაუნდებში თამაშობენ ჭადრაკს, ხოლო წყვილებში ერთმანეთს მუშტებით ებრძვიან. გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც დააშამათებს მეტოქეს ან ნოკაუტში ჩააგდებს.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კრივი ორთაბრძოლის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა. მართალია, სპორტის ამ კონტაქტური სახეობის ფესვები უძველეს ისტორიაშია, კრივი ისეთი სახით, როგორსაც დღეს ვხედავთ, XVIII საუკუნეში ჩაისახა.**

# დაუმარცხებელი როკი, ყველაზე მაღალი გოგია, ნოკაუტი 4 წმ-ში და სხვა საინტერესო ფაქტები კრივის ისტორიიდან



**1.** თანამედროვე კრივის **„მამად“** ითვლება ინგლისელი **ჯონ ბოლტონი,** რომელმაც 1743 წელს მოიგონა „მუშტებით ჩხუბი ლონდონის საპრიზო კლუბის წესებით“.

**2.** ერთადერთი მოკრივე, რომელიც რინგზე **არ დამარცხებულა**, არის **როკი მარჩიანო,** წარმოშობით იტალიელი ამერიკელი სპორტსმენი. მარჩიანომ 49 ორთაბრძოლა გამართა და ყველა მოიგო, მათგან 43 ნოკაუტით.

**3. ჩემპიონის ქამარს** გადასცემენ 4 ვერსიაში. სპორტსმენი, რომელიც მოიპოვებს 3 ქამარს, ცხადდება მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად, გამარჯვებულს ქამარი გადაეცემა პირდაპირ რინგზე ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ. ტიტულის დაცვისას მოკრივე რინგზე ქამრით გამოდის, ორთაბრძოლის დაწყების წინ კი თავის სეკუნდანტებს გადასცემს. ეს არის მრავალწლიანი ტრადიცია, რომლის დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას. ქამარი მზადდება ნახევრად ძვირფასი ქვებით და ცოტა მოოქრულია. სპორტსმენს, რომელიც მოიპოვებს ჩემპიონობას, შეუძლია დაამზადოს თავისი ქამრის ასლი, ამისთვის მან 1 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს.

**4.** ყველაზე **ხანგრძლივი ორთაბრძოლა**, რომელიც 7 საათს (110 რაუნდს) გაგრძელდა, 1893 წელს გაიმართა **ენდი ბოუენისა** და **ჯეკ ბერკს** შორის.

**5**. ყველაზე **ხანმოკლე ორთაბრძოლა** მხოლოდ 4 წამს გაგრძელდა. **მაიკლ კოლინზმა** ორთაბრძოლის პირველი წამებზე ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე **პეტ ბრაუნსონი** და გაიმარჯვა.



როკი მარჩიანო

**6.** ყველაზე **სწრაფად მოპოვებული** 20 მლნ დოლარი. **მაიკ ტაისონს** 91 წამი დასჭირდა 20 მლნ დოლარის გამოსამუშავებლად. მან აღნიშნულ დროში იმხანად საუკეთესო მოკრივე **მაიკლ სფინქსი** ნოკაუტით დაამარცხა.

**7.** 2000 წლის იანვარში „რკინის მაიკი“ (ასე ეძახიან მაიკ ტაისონს) შეხვდა ბრიტანელ **ჯულიუს ფრენსისს.** ორი რაუნდის განმავლობაში ბრიტანელი 5-ჯერ აღმოჩნდა ნოკაუტში, რომლის შემდეგ რეფერიმ შეხვედრა შეაჩერა და გამარჯვება ტაისონს მიაკუთვნა. ბრიტანელ მოკრივეს მაინცდამაინც არ უდარდია დამარცხება, რადგან რამდენჯერმე შეძლო თავისი ფეხსაცმლის ლანჩაზე გამოსახული რეკლამის ჩვენება ტელემაყურებლისთვის და სარფიანი კონტრაქტის პირობის შესრულება.




ასე აჩვენებდა ჯულიუს ფრენსისი მაყურებელს ლანჩებზე დაწერილ რეკლამას



**8.** ჭადრაკისა და კრივის მოყვარულთათვის შექმნილია სპორტის სახეობა Chess boxing-ი, რომელშიც კენტ რაუნდებში თამაშობენ ჭადრაკს, ხოლო წყვილებში ერთმანეთს მუშტებით ებრძვიან. გამარჯვებულად ცხადდება ის, ვინც დააშამათებს მეტოქეს ან ნოკაუტში ჩააგდებს.

**9.** მოკრივეთა შორის ყველაზე დიდხანს იცოცხლა გერმანელმა **მაქს შმელინგმა.** ის 1905 წლის 28 სექტემბერს დაიბადა და 2005 წლის 2 თებერვალს 99 წლისა გარდაიცვალა.

**10.** მოკრივე-გოლიათი. კრივის ისტორიაში ყველაზე მაღალ მოკრივედ ითვლება რუმინელი **გოგია მიტუ.** მისი სიმაღლე იყო 2 მ და 49 სმ.

**11.** დაახლოებით 132 000 ადამიანი მივიდა მეხიკოს სტადიონ „აცტეკაზე“ **გრეგ ჰოგენისა** და **ხულიო ჩავესის** ორთაბრძოლის სანახავად.

**12.** ყველაზე დიდხანს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა ამერიკელმა **ჯო ლუისმა,** რომელმაც 12 წლის განმავლობაში ატარა ეს წოდება და 25-ჯერ დაიცვა.



ფლოიდ მეივეზერი და მენი პაკაიაო



ჯო ლუისი



მაიკ ტაისონი



გოგია მიტუ

**13.** ლეგენდარულ ფილმ „როკის“ მეოთხე ნაწილის გადაღებისას **სილვესტერ სტალონემ დოლფ ლუნდგრენს** შესთავაზა, ორთაბრძოლის სცენა რეალურ ვითარებაში გადაეღოთ; შვედმა მსახიობმა სტალონე ისე გალახა, რომ ერთი კვირა საავადმყოფოში მკურნალობდა.



სილვესტერ სტალონე და დოლფ ლუნდგრენი

**14.** კრივის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული იყო 2015 წლის 3 მაისს გამართული ორთაბრძოლა **ფლოიდ მეივეზერსა** და **მენი პაკაიაოს** შორის. გაიმარჯვა მეივეზერმა, რომლის ჰონორარმა 120 მლნ შეადგინა, პაკაიაომ 80 მლნ მიიღო.

**15.** კრივის ისტორიაში **ყველაზე ხანდაზმული ჩემპიონი** ამერიკელი **ბერნარდ ჰოპკინსია.** მან ეს საპატიო ტიტული 47 წლისამ მოიპოვა.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# ამერიკელი ექსპერტები: 2021 წელს მსოფლიოს უმძიმესი ფინანსური კრიზისი ელის



ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, კონსალტინგური (საკონსულტაციო) კომპანია Dent Research-ის დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა, აგრეთვე, HS Dent Publishing-ის დირექტორმა და გამოცემა Economy and Markets-ის რედაქტორმა ჰარი დენტმა განაცხადა, რომ 2012 წელს მსოფლიოს თავს დაატყდება ბოლო ასწლეულებში ყველაზე მძიმე ფინანსური კრიზისი, — წერს პორტალი Business insider-ი.

დენტის აზრით, ეს იქნება ბაზრების ყველაზე ცუდი ჩამოშლა ამ საუკუნეში. მისი პროგნოზი ეფუძნება ბაზრების ხანგრძლივ შესწავლას და მათში წარმოქმნილ ე.წ. ბუშტებს.

„ბოლო გლობალური ბუშტი იყო 1925-1929 წლებში. მსგავსი კრიზისები ხდება ერთხელ ორი თაობის განმავლობაში და მას 90-წლიანი ციკლი აქვს. ჩვენ ზუსტად ამ წერტილში ვიმყოფებით", — აღნიშნა დენტმა და დასძინა, რომ 2021 წლის დასაწყისში ეკონომიკის დაქვეითება გარდაუვალია.

დენტს ბევრი ექსპერტი ეთანხმება.

topcor.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ჩინური HUAWEI-ს ინვესტიციების ვექტორი აშშ-დან რუსეთში გადააქვს




**აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების სიაში ჩართვის შემდეგ ჩინურმა სატელეკომუნიკაციო გიგანტმა კომპანიამ გადაწყვიტა, თავისი საინვესტიციო ნაკადები აშშ-დან რუსეთისკენ მიმართოს. ინვესტიციები, ძირითადად, განხორციელდება ახალი პროდუქტების შესაქმნელად საჭირო ღონისძიებებში.**

Huawei უკვე აქტიურად აფართოებს საქმიანობას რუსეთის ბაზარზე. მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში გახსნილ ოფისებს დაემატა წარმომადგენლობები ნოვოსიბირსკსა და ნიჟნი ნოვგოროდში, იგეგმება ოფისის გახსნა ყაზანში.

ამერიკის მთავრობას დაძაბული ურთიერთობა აქვს ჩინურ კორპორაციასთან. აშშ, ფაქტობრივად, ბლოკავს კომპანიასთან თანამშრომლობას.

Huawei-სთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა ტაივანურმა კომპანია Taiwan Semicenductor Manufacturing Company-მ, რომელიც სმარტფონებისთვის მაღალხარისხიანი მიკროსქემების მწარმოებელია. სპეციალისტების აზრით, ჩინური კომპანია მიმდინარე წელს საწყობებში შენახული მიკროსქემებით გავა ფონს, მაგრამ უახლოეს 2 წელიწადში მას სერიოზული პრობლემები შეექმნება და, თუ ამ პრობლემებს არ მოაგვარებს, მაშინ მას, როგორც იაფი და ხარისხიანი სმარტფონების მწარმოებელ კომპანიას, ჯვარი დაესმება.

exspert.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**



# 5 პროდუქტი, რომლებსაც ვყიდით და ვყიდულობთ რუსეთში

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2020 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 7, 022 მლრდ დოლარი შეადგინა. ეს წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,7 პროცენტით ნაკლებია. საანგარიშო პერიოდში რუსეთში პროდუქციის იმპორტი 2,1%-ით, ხოლო ექსპორტი 21,4%-ით შემცირდა.**

**საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია:**

* ყურძნის ნატურალური ღვინოები — 70 150 800 დოლარი;
* ფეროშენადნობები — 68 117 900 დოლარი;
* მინერალური და მტკნარი წყლები —26 519 700 დოლარი;
* სპირტიანი სასმელები — 19 194 000 დოლარი;
* გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი, ქლიავი და ღოღნაშო — 17 093 900 დოლარი.

**რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები:**

* ნავთობი და ნავთობპროდუქტები — 86 763 900 დოლარი;
* ხორბალი და მესლინი — 68 880 400 დოლარი;
* აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები — 24 402 800 დოლარი;
* მზესუმზირის ზეთი —20 833 400 დოლარი;
* სატელეფონო აპარატები — 19 141 800 დოლარი.

bpn.ge



# სამხედრო წვრთნები «კავკასია 2020» დაიწყო

**21 სექტემბერს რუსეთმა სტრატეგიული წვრთნები „კავკასია 2020" დაიწყო. რომელშიც 80 000-ზე მეტი ადამიანია ჩართული. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, სტრატეგიული წვრთნები „კავკასია 2020" სამხრეთ სამხედრო ოლქის რამდენიმე საწვრთნელ ადგილზე ტარდება.**

წვრთნებში რუსეთთან ერთად სომხეთის, ბელარუსის, ჩინეთის, მიანმასა და პაკისტანის სამხედრო ნაწილები მონაწილეობენ. აზერბაიჯანის, ინდონეზიის, ირანის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და შრი-ლანკის წარმომადგენლები კი დამკვირვებლის როლს შეასრულებენ.

სტრატეგიული წვრთნები „კავკასია 2020" სამხრეთ სამხედრო ოლქის ტერიტორიაზე, შავ და კასპიის ზღვებში 26 სექტემბერს დასრულდება.



# სლოვენიაში მელანია ტრამპის ახალი სკულპტურა დადგეს

**სლოვენიის ქალაქ სევნიცასთან ახლოს მელანია ტრამპის ბრინჯაოს ქანდაკება გახსნეს. ის დადგეს აშშ-ის პირველი ლედის ხის სტატუის ნაცვლად, რომელიც უცნობმა პირებმა ივლისში დაწვეს.**

მელანიას სტატუა არის სიმბოლო მიგრანტებისა, ქალისა, რომელიც მიგრაციის მოწინააღმდეგე პრეზიდენტის ცოლია.

ახალი სკულპტურის ავტორია ამერიკელი მხატვარი **ბრედ დაუნი**. ბრინჯაოს სტატუა ასლია ხის ქანდაკებისა, რომელიც უცნობმა პირებმა 4 ივლისს დაწვეს. სკულპტურა მელანია ტრამპს გამოსახავდა იმ ცისფერ კაბაში, რომელიც მას ეცვა დონალდ ტრამპის ინაუგურაციაზე 2014 წლის იანვარში.

1970 წელს დაბადებული მელანია ტრამპი სლოვენიის ქალაქ სევნიცაში გაიზარდა, 1996 წელს ნიუ-იორკში გადასახლდა. ორი წლის შემდეგ კი დონალდ ტრამპი გაიცნო. წყვილმა 2005 წელს იქორწინა.




# უკრაინის საგარეო ვალმა 122,8 მლრდ დოლარს მიაღწია

დასავლურ ფასეულობებს ნაზიარები უკრაინის, ისევე როგორც საქართველოს, საგარეო ვალმა კიდევ მოიმატა.

უკრაინის ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2020 წლის მეორე კვარტალში ქვეყნის საგარეო ვალმა 2,2 მლრდ დოლარით მოიმატა და ახლა ის 122,8 მლრდ დოლარს შეადგენს. მშპ-ის მიმართ ვალმა 78,8 პროცენტამდე (75,7%-დან) მოიმატა.

ეს გამოწვეულია საგარეო ვალდებულებების მომატებით.



# საქართველოში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გარდაცვლილთა რაოდენობამ ახალშობილთა რაოდენობას გადააჭარბა

**საქსტატმა 2020 წლის პირველი ნახევრის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა. ამ მონაცემების თანახმად, 2020 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში ქვეყანაში დაიბადა 22 142, ხოლო გარდაიცვალა 23 448 ადამიანი. გარდაცვლილთა რაოდენობა ახალშობილებს 1 306-ით აღემატება.**

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ყველაზე მეტი ადამიანი თბილისში, იმერეთისა და აჭარის რეგიონებში დაიბადა, ყველაზე ცოტა კი — რაჭა-ლეჩხუმში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში. მიმდინარე წელს, გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით, 981-ით ნაკლები ადამიანი დაიბადა.

alt-info.com

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009